პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ, ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- კომუნისტ დეპუტატების შეკითხვა რეიხსტაგში.
- უთანხმოება სარეპარაციო კონფერენციაზე.
- ჩინეთში ომი დაიწყო გუანსის და გუანდუნის კორპუსებს შორის.
- ვოლდემარასზე თავდამსხმელთა დასჯისათვის დანიშნულია ჯილდო.
- დაარსდა ინგლის-ფინეთ-საბჭოთა კავშირის ხეზე მომუშავეთა მთლიანობის კომიტეტი.
- მიწისძვრის შედეგები სპარსეთში.

პარასკევი, 10 მაისი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 104 (2450)

პარასკევს, მაისის 10 საღამოს 8 საათზე
შესდგება
ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
საღამოს 7 საათზე კო—ცაკის პრეზიდიუმის კომფრაქციის სხდომა.
წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.
ს. ს. ცაკის მდივანი: ს. თოდრია

ბიუროკრატიზმთან ბრძოლა და აპარატის წმენდა

საკავშირო კომპარტიის ამას წინად დამთავრებულ მე-16-ე კონფერენციის დღის წესრიგის ძირითად საკითხთა შორის იდგა „ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შედეგები და უახლოესი ამოცანები“. ეს საკითხი შემთხვევით როდი გახდა კონფერენციის მსჯელობის საგნად: ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გაძლიერებას გადაჭრით გვიკარნახებს მთელი ჩვენი ეხლანდელი მდგომარეობა. ჩვენ მტკიცე გეზი გვაქვს აღებული ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ, სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციისა და მის სოციალისტურ გარდაქმნისაკენ. ამ ამოცანებს ზედმიწევნით უნდა შეუგუოთ სახელმწიფო აპარატი და მისი მუშაობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ წარმატებით გადაჭრაზე ლაპარაკი ფუჭი იქნება. ამასთან, გაშლილი სოციალისტური შეტევა, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, ბუნებრივად იწვევს კლასობრივ ბრძოლის გამწვავებას, კულაკის და ნეპმანის სასტიკ წინააღმდეგობას. ისინი ერთგვარ გავლენას ახდენენ ჩვენს სახელმწიფო აპარატზე, სადაც ჯერ კიდევ ბლომად არიან მოკალათებულნი მერყევი და უცხო, საბჭოთა წყობილებისადმი პირდაპირ მტრულად განწყობილი ელემენტები. ისინი არამც თუ უგულოდ ეკიდებიან ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას და მშრომელ მასების მოთხოვნილებებს, არამედ ხშირად ბოროტ საბოტაჟს გვიწევენ, ხელს გვიშლიან ჩვენს მუშაობაში, არ ასრულებენ პარტიის და ხელისუფლების დირექტივებს და ღონისძიებებს, ამახინჯებენ მათ. აქედან—აპარატის გადახალისება და გაჯანსაღება აუცილებელი პირობაა პროლეტარულ-კლასობრივი პოლიტიკის გადაუხრელად განხორციელებისა და სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის.

ამისათვის, სხვა ღონისძიებათა შორის, საჭიროა მმართველობის სისტემის გაუმჯობესება, რომ იგი უკეთ შეეფერებოდეს ეხლანდელ პერიოდის ამოცანებს და საჭიროებებს. ცალკე დაწესებულებათა ფუნქციების და უწყებათა ურთიერთი დამოკიდებულების უფრო მკაფიოდ განსაზღვრა, ადგილებისათვის მეტი უფლებების მინიჭება და ამავე დროს ცენტრის საერთო ხელმძღვანელობის გაძლიერება, დაწესებულება - წარმოების ხელმძღვანელთა და თვითეულ მუშაკის პასუხისმგებლობის დაწესება ყოველ შესრულებულ მუშაობისათვის, საერთოდ აპარატის რაციონალიზაცია, —აი რას უნდა მიექცეს ყურადღება. ამას შედეგად უნდა მოყვეს მეტი გეგმიანობა, აპარატის გამარტივება, საქმის გაჭიანურების და ბიუროკრატიულ ნაშთების აღმოფხვრა, უნაყოფო ხარჯების მოსპობა და მომჭირნეობის გატარება, დავალებათა დროზე და ჯეროვანად შესრულება, მუშურ-გლეხურ მასების მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილება. ამ მიმართულებით მუშაობა კარგა ხანია სწარმოებს და მიღწევებიც თვალსაჩინო გვაქვს. მიღებული შედეგები უნდა განვამტკიცოთ და გავაღრმავოთ რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანებთან შეფარდებით.

მმართველობის სისტემის რაციონალიზაცია არ არის საკმარისი ბიუროკრატიზმის აღსაკვეთად, თუმცა იგი ამისათვის ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს. რაც უნდა კარგი იყოს აპარატი თავისი წყობით, თუ უვარგისი და შეუფერებელია მისი პირადი შემადგენლობა, რომელიც ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობას ეწევა, ცხადია, სასურველ ეფექტს ვერ მივიღებთ. ამ მხრივ კი, ესე იგი აპარატის შემადგენლობის მხრივ მდგომარეობა ოდნავადაც არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩავთვალოთ. ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ საბჭოთა დაწესებულებებში ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით მოიპოვებიან პროლეტარიატის დიქტატურისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები. ამავე დროს იქ ბლომად შეხვდებით საქმის უცოდინარ, ზარმაც, დაუდევარ და სხვა ამნაირ თანამშრომლებს.

ყოველივე ეს ჩვენს წინაშე აყენებს საბჭოთა აპარატის საფუძვლიანად გაწმენდის ამოცანას. ყველა ასეთი ხალხი ჩვენ რკინის ცოცხით უნდა გამოვგავოთ აპარატიდან. რა პრინციპებით უნდა ვიხელმძღვანელოთ დაწესებულებათა წმენდის დროს? ამაზე მე-16-ე პარტკონფერენციის რეზოლიუცია სრულიად გარკვეულ პასუხს გვაძლევს: „წმენდა უნდა ხდებოდეს პირველ ყოვლისა და უმთავრესად მუშაობის ხარისხის შეფასების საფუძველზე და არა მარტო კლასობრივ წარმოშობის ნიშნების მიხედვით. პროლეტარული წარმოშობა და კომპარტიის წევრობა არავითარ შემთხვევაში, არ უნდა გადაიქცნენ წმენდისაგან დაზღვევად“. პარტია დიდად აფასებს ყოველ ნამდვილად პატიოსან და საჭირო მუშაკს, მიუხედავად მისი კლასობრივი შთამომავლობისა, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ასეთ მუშაკს. საეჭვო ელემენტებს კი, რომელიც პროლეტარიატისადმი მტრულ ტენდენციებს ააშკარავებენ, თავის თავად ცხადია, ერთი წუთითაც ვერ მოვითმენთ და აპარატში ვერ გავაჩერებთ. და ამ მხრივ თვითეულ მუშაკისადმი კლასობრივ-პოლიტიკური მიდგომა სავსებით გასაგებია და აპარატის გაჯანსაღების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

საჭიროა თვითეულ თანამშრომლის დაკვირვებული შემოწმება როგორც საქმიანი, ისე კლასობრივი თვალსაზრისით. აქ მოსალოდნელია სხვადასხვა შეცდომები, მაგრამ მათი აცილება, ან, ყოველ შემთხვევაში, მინიმუმამდე დაყვანა შესაძლებელია, თუ აპარატის წმენდის კამპანიაში ფართე მასებს აქტიურად ჩავაბამთ.

ამავე დროს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებას: ჩვენ წმენდა არა ერთხელ ჩაგვიტარებია, უვარგისი და ბოროტმოქმედი თანამშრომლები არა ერთხელ მოგვიხსნია სამუშაოდან; ბევრი მათგანი პასუხისგებაშიაც ყოფილა მიცემული და დასჯილი. მაგრამ ხშირია შემთხვევა, როცა ერთ დაწესებულებიდან გაძევებული პირი მალე სხვა დაწესებულებაში შეპარულა, ისიც ზოგჯერ უფრო საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ეს აიხსნება ერთი მხრით ჩვენში გავრცელებული ნათლიმამობით და პროტექციით, მეორე მხრით—დაუდევრობით და სათანადო ინფორმაციის უქონლობით მისაღები მუშაკის შესახებ. ამ მოვლენას გადამჭრელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. ამ ხრივ კერძოდ საგულისხმოა პარტკონფერენციის რეზოლიუციის შემდეგი ადგილი: „კატეგორიულად უნდა აიკრძალოს სხვა თანამდებობაზე და სხვა დაწესებულებაში ისეთი პირების მიღება, რომელნიც დათხოვნილი იქნებიან სახელმწიფო აპარატში მუშაობის უფლების აღკვეთით (განსაზღვრული ვადით ან, განსაკუთრებით ბოროტი ელემენტები, სამუდამოდ); ასეთ პირთა სიები საყოველთაო ცნობისათვის უნდა გამოქვეყნდეს პრესაში“. ამ ზომის გატარება ბოლოს მოუღებს ისეთ მდგომარეობას, როცა „კარებიდან გაგდებული ფანჯრიდან მოძვრება“.

აპარატის შემადგენლობის წმენდა ჩვენს წინაშე აყენებს ახალი კადრებით მისი შევსების საკითხს. სად უნდა გამოვნახოთ ეს კადრები? რა თქმა უნდა, მუშათა და გლეხთა მასებში, მათ აქტივში. მაშასადამე, საქმე პირველ ყოვლისა ეხება სამუშაოებზე მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლების დაწინაურებას. უნდა ითქვას, რომ დაწინაურებას ჯერ-ჯერობით კიდევ არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. დასაწინაურებელთა შერჩევის, მათი მომზადების და უკვე დაწინაურებულთა გამოყენების საქმეში მრავალ ნაკლს აქვს ადგილი. არის ისეთი შემთხვევები, როცა დაწესებულებათა ხელმძღვანელებიც კი, რომ არ ვილაპარაკოთ დანარჩენ მუშაკებზე, დაწინაურებულ მუშას მტრულად ხვდებიან, მის გარშემო არ ჰქმნიან ამხანაგურ თანამშრომლობის ატმოსფერას და მის მუშაობას, ხელის შეწყობის მაგიერად, აფერხებენ. საქმისადმი ასეთი მიდგომა ძირფესვიანად უნდა იქნას აღმოფხვრილი, მეტი ყურადღება დაწინაურების საქმეს, მეტი მზრუნველობა დაწინაურებულებზე, რომ მათ პირნათლად შესძლონ თავის მოვალეობათა შესრულება,—აი საითკენ უნდა მივმართოთ ჩვენ საქმიანობა. დაწინაურების საკითხის წარმატებით გადაჭრა აპარატის გამუშურების და ბიუროკრატიზმის აღმოფხვრის ერთ-ერთი მთავარი საწინდარია.

მმართველობის სისტემის რაციონალიზაციასა, აპარატის წმენდასა და მუშების დაწინაურებასთან ერთად, შესრულების შემოწმებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაწესებულებების მუშაობის გაჯანსაღებისა და მთელი სოციალისტური მშენებლობისათვის. აი რას ამბობდა ამის შესახებ ლენინი 1922 წელს: „ადამიანების შემოწმება და საქმის ფაქტიური შესრულების შემოწმება,—ერთხელ კიდევ ეს და მხოლოდ ეს არის ახლა მთელი მუშაობის, მთელი პოლიტიკის მთავარი ამოცანა“. ეს დირექტივა დღემდე სუსტად ტარდება, და ესაა ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი. ამ ნაკლის ასაცილებლად მუშგლეხინმა და სხვა სათანადო ორგანოებმა უნდა გაათკეცონ მუშაობა. ამასთან ამ საქმეში ფართედ უნდა მიზიდულ იქნან მუშათა მასები. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჩვენი ხაზის და ღონისძიებათა სისწორით გატარება ერთი მხრით, მეორეთი—პარტიის და ხელისუფლების დირექტივების და განკარგულებათა მიზანშეწონილების შემოწმება.

ასეთია მთავარი ამოცანები ბიუროკრატიზმთან ბრძოლისა და აპარატის გაჯანსაღების დარგში. ამ ამოცანების გარშემო უნდა დავრაზმოთ მთელი პარტიული და საერთოდ მშრომელთა საზოგადოებრივი აზრი.

მსოფლიო პროლეტარიატის პროტესტი მენშევიკ ჯალათების წინააღმდეგ

ოუენ იუნგის პროექტი გერმანიის რეპარაციების შემცირების შესახებ

ამანულას ჯარები 60 კილომეტრით დაუახლოვდნენ ქაბულს

ქაბულის გზაზე რამოდენიმე დღეა გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს

მუშები გმობენ მოღალატე მენშევიკებს

საპროტესტო მიტინგები ბერლინში მომხდარი ამბების წინააღმდეგ

პრაღა, 8 მაისი. პრაღის და სხვა ქალაქების ქარხნებში გაიმართა საპროტესტო მიტინგები 1-ლ მაისს ბერლინში მომხდარ ხოცვა - ჟლეტის წინააღმდეგ. მიღებულ რეზოლიუციაში გმობენ სოციალ - დემოკრატების მოქმედებას. ზოგიერთი მიტინგი პოლიციამ გარეკა. (ადს).

მუშები გმობენ ცერგიბელს

ბერლინი, 8 მაისი. ბერლინის მუშათა უმრავლესობამ საქარხნო კრებებზე მიიღო რეზოლიუციები, რომლებშიაც მუშები აღშფოთებით აცხადებენ პროტესტს და გმობენ ცერგიბელის მოქმედებას მუშათა კლასის წინააღმდეგ. კრებებზე მოითხოვენ ცერგიბელის გადაყენებას. ბერლინის ლუდის სახდელი უდიდესი ქარხნის მუშათა კრებაზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ცერგიბელის გამორიცხვას პროფკავშირიდან. (ადს).

სასწრაფო შეკითხვა

ბერლინი, 8 მაისი. რეიხსტაგის კომუნისტმა დეპუტატმა ტელმანმა და ლეოვმა რეიხსტაგში შეიტანეს სასწრაფო შეკითხვა წითელ ფრონტელთა კავშირის აკრძალვის გამო. ისინი აღნიშნავენ, რომ წითელ ფრონტელთა კავშირის აკრძალვის დასაბუთება იმ კანონით, რომელიც ვერსალის ხელშეკრულების განხორციელებას შეეხება, აშკარად მოწმობს, მთავრობის მზადყოფნას მიიღოს მონაწილეობა იმ გალაშქრებაში, რომელიც მზადდება მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

მიტინგები მოსკოვში

მოსკოვი, 9 მაისი. მოსკოვის ბევრ ფაბრიკასა და ქარხანაში, გერმანიის ამბებთან დაკავშირებით, გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგები. **მუშები თავის რეზოლიუციებში სამარცხვინო დაღს ასვამენ სოციალ-მკვლელებს და მხურვალე სალამს უგზავნიან გერმანიის პროლეტარიატს. (ადს)**

საპროტესტო დემონსტრაციები ლენინგრადში

ლენინგრადი, 9 მაისი. ბერლინის საპირველმაისო დემონსტრაციების მსხვერპლთა დაკრძალვის დღეს ლენინგრადში გაიმართა გრანდიოზული საპროტესტო დემონსტრაციები.

დონის როსტოვი, 9 მაისი. ცნობებმა ბერლინში მომხდარი ამბების შესახებ როსტოვის მუშათა მასების სტიქიური აღშფოთება გამოიწვია. მუშათა რაიონებში, კლუბებსა და საწარმოებში მოეწყო მთელი რიგი მიტინგები. ლენინის რაიონის მუშები თავიანთ მხურვალე პროლეტარულ სალამს უძღვნიან გერმანელ მუშებს, რომელნიც გმირულად ებრძვიან ბურჟუაზიას და მის ყურმოჭრილ სოციალ-დემოკრატებს. მუშები უდიდესი ინტერესითა და თანაგრძნობით ადევნებენ თვალყურს თავიანთი გერმანელი ამხანაგების ბრძოლას. სიმხეცე პოლიციისა, რომელსაც სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობდნენ, საერთო გულისწყრომას და აღშფოთებას იწვევს (ადს).

სარეპარაციო კონფერენციაზე

პარიჟი, 8 მაისი. ინგლისის დელეგაციამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია იუნგის ახალ მემორანდუმს, რომლითაც შემცირებულია სარეპარაციო წილი საფრანგეთისა 7 მილიარდ მარკამდე, იტალიისა— 1 მილიარდ მარკამდე, ინგლისისა — 700 მილიონ მარკამდე, ბელგიისა — 650 მილიონ მარკამდე და წვრილი კრედიტორების— აგრეთვე 650 მილიონ მარკამდე.

გერმანიის წარმომადგენელი შახტი შეეცადა — შენიშვნებისათვის რედაქციის გაკეთება გადასცემოდა ინგლისის ექსპერტს სტემპს, მაგრამ მოკავშირეებმა უარჰყვეს ეს, მათ არ მოისურვეს „გერმანიის სწორ და ამომწურავ მოსაზრებათა ნაცვლად, საქმის დაჭერა ამერიკის ციფრებთან და ინგლისის შენიშვნებთან“.

საღამოს გაზეთების ცნობით, იუნგის წინადადებამ მეტად ნერვიული მდგომარეობა შექმნა სარეპარაციო კონფერენციაზე.

ხის დამმუშავებელთა მთლიანი ფრონტი

მოსკოვი, 9 მაისი. მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის ხეზე მომუშავეთა და ინგლისის მეავეჯეთა მთლიანობის კომიტეტის დამფუძნებელი კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ ინგლისის მეავეჯეთა კავშირის თავმჯდომარე გარისი, კავშირის მდივანი გოსიპი და საბჭოთა კავშირის ხეზე მომუშავეთა კავშირის ცეკას პრეზიდიუმის წევრები ამხ. ლობანოვი და კარნაუხოვი

კონფერენციამ გადასწყვიტა საბჭოთა კავშირის ხეზე მომუშავეთა და ინგლისის მეავეჯეთა მთლიანობის კომიტეტის და რუსეთ-ფინეთის ხეზე მომუშავეთა კომიტეტის ნაცვლად შეიქმნას ხეზე მომუშავეთა ინგლის-რუსეთ-ფინეთის მთლიანი კომიტეტი.

კონფერენციამ სათანადო წინადადებით მიმართა ფინეთის ხეზე მომუშავეთა კავშირს. კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება ომის საფრთხესთან ბრძოლის შესახებ. ორივე მხარე კისრულობს ამხილონ ბურჟუაზიული და რეფორმისტული პაციფიზმი, განავითარონ ფართო კამპანია განიარაღების საბჭოთა წინადადების სასარგებლოდ და გასწიონ აგიტაცია კომიტეტში — „ხელები შორს საბჭოთა კავშირისაგან“, შესვლისათვის. (ადს)

სამოქალაქო ომი ჩინეთში

სამხედრო მოქმედება გუანსისა და გუანდუნს შორის

შანხაი, 8 მაისი. გუანსისა და გუანდუნის პროვინციებს შორის დაიწყო ომი. გუანსის ჯარი შეიჭრა გუანდუნის პროვინციაში, დაიჭირა ქალაქი ფუნძიუნი (გუანდუნ - გუანსის საზღვრიდან 20 კილომეტრის მანძილზე), აგრეთვე დიდი ქალაქი ტაკინი (საზღვრიდან 70 კილომეტრის მანძილზე).

კანტონში გუანდუნის ჯარი მზად არის საბრძოლველად. კანტონის ბევრმა მცხოვრებმა დასტოვა ქალაქი და გაემართა გონკონგისაკენ.

„ნორტ ჩაინა დეილი ნიუს“-ის ცნობით, გუანსიელების ბელადმა ლი ჩუნ-ჟენმა, რომელიც ნანკინის მთავრობამ დააპატიმრა გომინდანის მესამე ყრილობის დროს, დაგზავნა ცირკულიარი, რომელშიაც აცხადებს, რომ ის ოპოზიციაში უდგას ნანკინს და ბრალს სდებს ნაციონალურ მთავრობას იმაში, რომ მან ჩინეთისა და გომინდანის ინტერესებს უღალატა. (ადს).

იოსიზავას საუბარი პრესის წარმომადგენლებთან

ტოკიო, 8 მაისი. ტოკიოში მოსულმა იაპონიის ელჩმა ჩინეთში იოსიზავამ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მის მთავარ ამოცანას შეადგენს ჩინეთ-იაპონიის სავაჭრო ხელშეკრულების დადება. მანჯურიის შესახებ იოსიზავამ სთქვა: ჟან სიუეჟლიანი მოითხოვს, რომ ყველა დიპლომატიური საქმე ნანკინის მთავრობის საშუალებით გადაიჭრას, ჩემის აზრით კი, ადგილობრივი პრობლემები ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა გადაჭრას.

დასასრულ, იოსიზავამ განაცხადა: ნაციონალური მთავრობის ცნობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ის დიპლომატიური დოკუმენტები, რომლებსაც ჩვენ ერთმანეთს ვუგზავნით, უკვე მოწმობს, რომ იაპონია სცნობს ნაციონალურ მთავრობას (ადს).

ანტი-იაპონური დემონსტრაცია

ხარბინი, 8 მაისი. შანდუნის ოკუპაციის წლის თავის გამო, ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა ხელმძღვანელობით მოხდა სკოლების მოსწავლეთა ანტი-იაპონური დემონსტრაცია (ადს).

მოძრაობა ბოიკოტის გამოსაცხადებლად

ხარბინი, 8 მაისი. მუკდენში დაიწყო მოძრაობა იაპონური საქონლისთვის ბოიკოტის გამოსაცხადებლად. იაპონიის გენერალურმა კონსულმა ხელისუფლების წარმომადგენლებს პროტესტი განუცხადა.

შტრერუვიცის საპროგრამო სიტყვა

ვენა, 8 მაისი. პარლამენტის სხდომაზე ახალმა საკავშირო კანცლერმა შტრერუვიცმა წაიკითხა ახალი მთავრობის პროგრამა. შტრერუვიცის საპროგრამო სიტყვამ და ცალკე პარტიების დეკლარაციებმა ურთიერთი შეთანხმების ნიშნით ჩაიარა.

თავის სიტყვაში შტრერუვიცმა ხაზგასმით აღნიშნა პროგრამის ეკონომიური ნაწილი. მან მოუწოდა სოციალ - დემოკრატებს მრეწველობაში მშვიდობიანობის განხორციელებისა და პარლამენტის შრომის უნარიანობის უზრუნველყოფისაკენ. შემდეგ შტრერუვიცი შეეხო საგარეო პოლიტიკას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გერმანიასთან დამოკიდებულების გაღრმავება, მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის განვითარება, ხოლო ერთა ლიგასთან თანამშრომლობის გაგრძელება.

სოციალ-დემოკრატების მხრივ დეკლარაციით გამოვიდა რენერი. მან განაცხადა, რომ შტრერუვიცმა თავი იჩინა, როგორც „ლოიალურმა პარტნიორმა“ პროფკავშირებთან მოლაპარაკებაში. რენერი გაილაშქრა კაბინეტში სამხედრო მინისტრის, ქრისტიანულ სოციალისტის, ვოგოინის დატოვების წინააღმდეგ და გააფრთხილა შტრერუვიცი — არ განაგრძოს ზეიპელის პოლიტიკა, ესე იგი მხარი არ დაუჭიროს ფაშიზმს.

პანგერმანული პარტიის წარმომადგენელმა სატავამ პესიმისტურად დაახასიათა სოციალ - დემოკრატებთან შერიგება და განაცხადა: ჰეიმვერების (ფაშისტური შეიარაღებული ორგანიზაციების) მტრული განწყობილება პარლამენტის წინააღმდეგ და მათი მისწრაფება ფაშიზმის დასამყარებლად, მხოლოდ მაშინ შენელდება, როცა სოციალ-დემოკრატები დაამტკიცებენ, რომ ისინი მზად არიან ითანამშრომლონ პარლამენტში (ადს).

ბრძოლა ავღანისტანში

ამანულას ჯარები უახლოვდებიან ქაბულს

თერმეზი, 8 მაისი. გაზაფხულის დადგომასთან და უღელტეხილებზე გზების გახსნასთან ერთად ავღანისტანში არაჩვეულებრივად გაძლიერდა ბრძოლა. **ხაბიბულას, რომელმაც ზამთრის განმავლობაში ხელში ჩაიგდო ქაბული და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები ჩრდილოეთ - აღმოსავლეთ რაიონებში, ამ ბოლო დროს თავს ესხმიან ის ტომები, რომელნიც მხარს უჭერენ ამანულას და ნადირ-ხანს.** აპრილის დამლევს ამანულამ გაზნის მახლობლად ყანდაგარის მხრიდან თავი მოუყარა 1.000 რეგულიარულ ჯარის კაცს და რამდენიმე ათასს არარეგულიარულ მებრძოლს და მხნედ შეუტია გაზნის და ქაბულს.

გაზნში ამანულას ჯარმა ალყა შემოარტყა ხაბიბულას სამხედრო მინისტრს. გადამწყვეტი მოქმედების დროს ამანულას ჯარს ზურგიდან თავს დაესხნენ გილზაელთა ტომები (სულეიმან ხოილი, ტოხი და ანდარი), რომელთაც გაზნი—ყანდაგარის გზაზე, მუკურის რაიონში, დაანგრიეს ხიდები. ამანულა იძულებული გახდა წასულიყო ჩრდილოეთისაკენ თანამგრძნობ ტომების ვარდაკის და მაიჩნის რაიონში და ბაზისი გადაეტანა ხოზარიელთა ოლქში.

უკანასკნელი ცნობების თანახმად, **ამანულამ დაიწყო შეტევა უშუალოდ ქაბულზე, დაიკავა შეიხაბადი** (ქალაქი ქაბულის სამხრეთით, 60 კილომეტრის მანძილზე) **და დაამარცხა ხაბიბულას ჯარის ჯგუფი, რომელიც იბრძოდა გაზნის რაიონში. უკვე რამდენიმე დღეა გაცხოველებული ბრძოლა სწარმოებს.**

ურგენტის დაბლობში (ქაბულის ჩრდილოეთ - აღმოსავლეთით, 150—100 კილომეტრის მანძილზე) ბრძოლაა ხაბიბულას ჯარსა და ხაზარიელებს შორის. იქ ბრძოლას ხელმძღვანელობს ხაბიბულას თანამებრძოლი და მეგობარი ჰუსეინი.

უკანასკნელი ცნობების თანახმად, ნადირ-ხანის ჯგუფი, რომელმაც დაიჭირა ალტიმურის უღელტეხილი და მიაღწია ლოგარის დაბლობს, შეაჩერა ხაბიბულას ჯარმა და აიძულა უკან დაეხია მდინარე გარდეზისაკენ.

იმავე ცნობის თანახმად, **ნადირ-ხანის ძმამ შახმახმუდმა 400 კაცით დაიპყრა ბარახი, რაჯანი, შახმაზარი** (4 კილომეტრის მანძილზე ქაბულის სამხრეთით).

ქაბულში მდგომარეობა ნერვიულია. მოსახლეობა ხაბიბულას წინააღმდეგ არის განწყობილი. ამასთან დაკავშირებით, ბოლო დროს გახშირდა დაპატიმრება და სიკვდილით დასჯა (ადს).

გადატრიალება გერატში

კუშკა, 8 მაისი. გერატში ბაჩე-საკაოს მომხრეებმა გადატრიალება მოახდინეს. გერატის პროვინციის გუბერნატორმა დასტოვა ქალაქი, რომელიც ბაჩე-საკაოს რაზმებმა დაიჭირეს. ქალაქში არანორმალური მდგომარეობაა. ბაზრები დაკეტილია, მოსახლეობა დამფრთხალია.

გერატიდან ჩამოსულების სიტყვით, ამანულას მომხრე ჯარი თავს იყრის გადატრიალების ლიკვიდაციის მიზნით (ადს).

საბრალმდებლო აქტი იმპერიალისტების წინააღმდეგ

ჟენევაში კომედია დამთავრდა. დაიხურა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მეექვსე სესია, იმ კონფერენციის სესია, რომელსაც ერთა ლიგა სულ იწვევს, მაგრამ თვით მოწვევა ვერას გზით ვერ მოუხერხებია.

ლიტვინოვმა სესიის დახურვის დროს ფარდა ახადა ყოველგვარ დიპლომატიურ მიკიბულ-მოკიბულობას, იგი არ მოერიდა არც იმას, რომ საგნებისათვის ნამდვილი სახელი ეწოდებინა.

„თუ,—სთქვა მან,—კომისიის წინანდელი სესიები ერთ ადგილს სტკეპნიდნენ და არავითარ შედეგებს არ იძლეოდნენ, სამაგიეროდ, ეხლანდელმა სესიამ უკან დაიხია, და მას შეუძლია თავის „აქტივში“ უარყოფითი შედეგები ჩასწეროს“-ო.

შემდეგ მან პირდაპირ განაცხადა: არ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ბურჟუაზიული მთავრობების წარმომადგენელნი პროექტით გათვალისწინებულ განიარაღების გენერალურ კონფერენციაზე სხვა პოზიციას დაადგებიან. და მხოლოდ იმის გამო, რომ საბჭოთა დელეგაცია ანგარიშს უწევს „ხალხის მასების ინტერესებს, იმ მასების, რომელნიც წარმოადგენენ მთავარ მამოძრავებელ ძალას საერთაშორისო ბრძოლაში განიარაღებისა და მშვიდობიანობისათვის“, იგი მოითხოვს კონფერენციის მოწვევასო.

რა მწვავე დისჰარმონია შეაქვს ასეთ სიტყვებს ჟენევის „ფაქიზ“ ატმოსფერაში და „პაციფისტური“ ფრაზების მარჯვე რახარუხში! ტყუილად კი არ გაჯავრდა ერთა ლიგის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გაქნილი ჯამბაზი—საბერძნეთის დიპლომატი პოლიტისი და ლიტვინოვის სიტყვას ნამდვილი „საბრალმდებლო აქტი“ უწოდა.

მართლაც, საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენლის გამოსვლამ, მიუხედავად ერთგვარი თავდაჭერილობისა, რაც აიხსნება სპეციფიური დიპლომატიური პირობებით, ფარდა ახადა ჟენევის „მშვიდობიანობის მოყვარულთა საზოგადოების“ ცრუ დემაგოგიას, იმ საზოგადოების დემაგოგიას, რომელიც ყოველ წელიწადს იკრიბება თავის კონფერენციებსა და სესიებზე გარკვეული და ერთად-ერთი მიზნით—მოატყუოს მშრომელნი.

რაც უფრო გააფთრებული ტემპით სწარმოებს შეჯიბრება შეიარაღებაში, რაც უფრო მეტი მილიარდები მშრომელი მასების კისრიდან ამოღებული იყრება გაუმაძღარი მილიტარიზმის ხახაში, მით უფრო ინტენსიური ხდება ჟენეველ მშვიდობიანობის მოციქულთა საქმიანობა, ვინაიდან მათ ერთ-ერთ დანიშნულებას შეადგენს ის, რომ მასების ყურადღება ჩამოაშორონ კაპიტალისტური სინამდვილის უმნიშვნელოვანეს გადამწყვეტ პრობლემას—ომის საფრთხეს, რომელიც დღითი-დღე იზრდება. ეს იმიტომ, რომ მშრომელი მასები თანდათან უფრო აშკარად გამოხატავენ თავიანთ აღშფოთებას ბურჟუაზიისა და მისი სამხედრო წრეების პოლიტიკის გამო. ამას უკვე უწევენ ანგარიშს უფრო შორსმჭვრეტელი ბურჟუაზიული პოლიტიკოსები.

„ჯერ კიდევ 1914 წლის წინ,—სწერს ინგლისის ყოფილი წარმომადგენელი ერთა ლიგაში ლორდი სესილი, რომელიც იძულებული გახდა გადამდგარიყო,—დიდი მილიტარისტული სახელმწიფოების მთავრობებს უფრო და უფრო უჭირდათ აეძულებინათ თავიანთი ხალხები—დამორჩილებოდნენ ადამიანებისა და ფულის მოკრეფას, უფრო და უფრო ძლიერდებოდა წინააღმდეგობა ამ მოთხოვნებისადმი, არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ეს გარემოება შიშს ჰბადებს სამხედრო წრეების წარმომადგენელთა შორის“ („ნეიშენ“, 27 აპრილი).

და ,აი, იმისათვის, რომ მიაძინონ ხალხები და პასიურ წინააღმდეგობას აქტიურ ფორმებში გადასვლის საშუალება არ მისცენ, დიდი გულმოდგინებით და ერთი-ერთმანეთის მოყოლებით იდგმება ჟენევის „მოქმედებები“.

განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ მხრივ ეხლახან დახურული სესიის უკანასკნელი საფეხური. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გიბსონმა, რომელმაც ამ სესიაზე ესოდენ ენერგიული ინიციატივა გამოიჩინა საბჭოთა დელეგაციის მიერ შეიარაღების გადაჭრით შემცირების სასარგებლოდ შეტანილი მარტივი და ნათელი წინადადებების უარყოფაში, მოულოდნელად წარმოსთქვა სიტყვა ფლოტების შემცირების სასარგებლოდ. მისი წინადადების თანახმად, ვაშინგტონის კონფერენციის გადაწყვეტილებანი ფლოტის მსხვილი ერთეულების ტონაჟის შეზღუდვის შესახებ უნდა გავრცელდნენ უფრო მცირე ტიპებზედაც—კრეისერებზე, ნაღმოსნებზე, წყალქვეშა ნავებზე და სხვებზე. ყოველივე ეს ერთი შეხედვით პაციფისტურ ჟესტად გეჩვენება. ნამდვილად კი ეს არის კელოგის პაქტის მსგავსი ანტი-ინგლისური მანევრი. ამერიკის იმპერიალიზმი ნებას აძლევს თავს—სამშვიდობო წინადადება მისცეს მეტოქეს, რადგან წინდაწინვე იცის, რომ სინამდვილეში, სადაო საკითხების გამო კონკრეტული მოლაპარაკების დროს, აქედან არაფერი არ გამოვა.

სწორედ „სამშვიდობო“ პროექტების ამ კატეგორიას ეკუთვნის ამერიკის იმპერიალიზმის წარმომადგენლის გიბსონის წინადადება. პაციფიზმის სპეკულიანტები ეხლა დიდი ამბით აცხადებენ, ვითომ ეს წინადადება წარმოადგენს რაღაც ახალი მოვლენის დასაწყისს. ამ წინადადების შინაარსი იმით განისაზღვრება, რომ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა ღებულობს საფრანგეთის „პრინციპს“ სამხედრო ფლოტებისათვის საერთო ტონაჟის დაწესების შესახებ, ამ ტონაჟის სამხედრო გემების კატეგორიებზე განაწილებით, მაგრამ იმ უფლებით, რომ ცალკე სახელმწიფოებმა განსაკუთრებულ შემთხვევებში ერთი კატეგორიის ტონაჟი მეორეზე გადაიტანონ. ამგვარი წინადადება იმავე გიბსონმა შეიტანა განიარაღების სამთა კონფერენციაზე ჟენევაში 1927 წელს, მაგრამ ეს წინადადება ჩაიშალა და ჩაიძირა დაუსრულებელ დავაში იმის შესახებ—დაწესებულიყო თუ არა ქვეკატეგორიები და კლასები გემების ცალკე კატეგორიებში და სხვა ტეხნიკურ დეტალებში.

რა თქმა უნდა, ტეხნიკა ამ შემთხვევაში წარმოადგენს პოლიტიკის მეორე მხარეს. და მხოლოდ მაკდონალდის ტიპის თინბაზებს, რომელნიც სპეკულიაციას ეწევიან ჩამორჩენილი მუშების ფსიქოლოგიაზე, შეუძლიათ განაცხადონ, რომ საქმე გააფუჭეს ადმირალებმა — ტეხნიკურმა ექსპერტებმა, პოლიტიკოსებს შორის კი საქმე სულ სხვანაირად წავიდოდაო. რა სისულელეა! სწორედ პოლიტიკაში, ინგლისის და ამერიკის იმპერიალისტების საერთო პოლიტიკურ და ეკონომიურ წინააღმდეგობაშია ჩამარხული ძაღლის თავი, გიბსონი თვალთმაქცური გულუბრყვილობით ჰგმობს თავის იმ თანამემამულეებს, რომელნიც სვამენ ასეთ კითხვას: რატომ სტოვებს ბრიტანეთი ფლოტს ეხლანდელ დონეზე, თუ არა იმიტომ, რომ იგი გამოყენებულ იქნას ჩვენს წინააღმდეგ? ამის საპასუხოდ ინგლისური კონსერვატიული ჟურნალი „სპექტეიტორ“-ი (27 აპრილის) აცხადებს, რომ „ინგლისელს ასეთივე უფლებით შეუძლია დასვას ასეთივე კითხვა ამერიკის სამხედრო-საზღვაო მშენებლობის შესახებ“-ო. „თუ,—განაგრძობს ეს კონსერვატიული ორგანო,—ჩვენ თავს ამ ტეხნიკური მსჯელობით გატაცების ნებას მივცემთ, დავრწმუნდებით, რომ ფლოტის მშენებლობის საქმეში დავადექით ძველი მეტოქეობის აღდგენის გზას. ეს კი პირდაპირი გზაა ომისაკენ“. მაგრამ „სპექტეიტორ“-ის აზრით, საქმე შეიძლება გამოსწორდეს, თუ ინგლისი შეუთანხმდება ამერიკას, რომ ეს ორი სახელმწიფო გადაიქცეს „ზღვის მფარველ დებად“.

კონსერვატიული ჟურნალისტი თავს იკატუნებს, ვითომ არ ესმის, რომ თვითეული ეს ანგლო-საქსელი დაია მზად არის თვალები დაჰკაწროს მეორეს სწორედ იმ ზღვების ეგრედ წოდებული თავისუფლებისათვის, რომლებიც მათ, ვითომ, ერთად უნდა დაიცვან. ამერიკის სენატმა ამ ცოტა ხნის წინად ტყუილად არ მიიღო სენატორ ბორას წინადადება საერთაშორისო უფლების გადასინჯვის შესახებ ომიანობის დროს ნეიტრალური გემების ცურვის საკითხებზე, რაც წარმოადგენს პირდაპირ გამოწვევას ინგლისისას, რომელსაც აქვს იმის პრეტენზია, რომ ბლოკადა მოუწყოს თავის მოწინააღმდეგეებს საზღვაო დიქტატურის თითონ მის მიერ შემუშავებული „უფლების“ მიხედვით.

ზღვაზე ბატონობა ხომ მსოფლიოზე გაბატონების წინასწარი პირობაა, ასე რომ არავითარი შეთანხმება არ არის შესაძლებელი ამ ორ უდიდეს იმპერიალისტურ სახელმწიფოს შორის. ბრძოლა მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლოა, და როდესაც ჟენევის მოსამზადებელი კომისია აცხადებს, რომ იგი ხსნის საზღვაო შეთანხმების საკითხს, სანამ დიდი საზღვაო სახელმწიფოები თითონ არ შეუთანხმდებიან ერთმანეთსო,—ეს წარმოადგენს თავის სრული სამარცხვინო გაკოტრების საჯაროდ აღიარებას. ერთა ლიგის დიპლომატებმა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ მოლაპარაკება ორ უდიდეს იმპერიალისტურ სახელმწიფოს შორის, როდესაც თვითეული მათგანი მსოფლიო ჰეგემონიისაკენ მიილტვის, წინდაწინვე განწირულია—ასეთი მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდება.

„ტაიმს“-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი წინასწარვე იუწყება, რომ „ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა სავსებით დასთანხმდება, რომ განიარაღების საკითხი, რომელიც მოსამზადებელი კომისიის მსჯელობის ნაცვლად გადაიქცა ორი მთავრობის მოლაპარაკების საგნად, ხანგრძლივად დარჩეს ამ სახელმწიფოების ხელში“.

ბატონი მილიტარისტები არ ჩქარობენ განიარაღებას, ორივე მხარე ემზადება აუცილებელ გადამწყვეტ შეტაკებისათვის და ისწრაფვის მოკავშირეთა შეძენას.

ინგლისი ფარულად შეუთანხმდა საფრანგეთს (ცნობილი საზღვაო კომპრომისი). ამჟამად ამერიკის წარმომადგენელი ჟენევაში გიბსონი სცდილობს მოიმხროს საფრანგეთი. იგი აცხადებს — ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა უარჰყოფს თავის ძველ პოზიციას გაწვრთნილი რეზერვების საკითხში: ამიერიდან ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა თანახმაა, რომ შეიარაღების შემცირება რეზერვებზე არ გავრცელდესო. ესეც დათმობას წარმოადგენს ყველაზე უფრო დაინტერესებული კონტინენტალური სახელმწიფოს — საფრანგეთის სასარგებლოდ. საფრანგეთის იმპერიალისტები და მათი პოლონელი, ჩეხო-სლოვაკელი და სხვა ვასალები აღტაცებულნი არიან: მათ შეუძლიათ, ყოველივე დაბრკოლების გარეშე, ერთა ლიგისა და მდიდარ ამერიკელ ძიას ლოცვა-კურთხევით, გაადიდონ ხმელეთის ჯარები (მით უფრო მაგრა მოჰხვდა გერმანელ ლოკარნისტებს, რომელთაც ერთხელ კიდევ იწვნიეს დასავლეთის ორიენტაციის გემო). ზედიზედ დამარხეს საბჭოთა პროექტები განიარაღების შესახებ, მოხსნეს დღის წესრიგიდან საზღვაო განიარაღების საკითხი, ბოლო მოუღეს ხმელეთის ჯარის განიარაღებას, და მოსამზადებელ კომისიასაც დამშვიდებით შეუძლია „გადასდოს“ თავისი შემდგომი მუშაობა კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

მთელი ეს რეჟისურა ეფექტიური იქნებოდა, ჟენევის მაყურებელთა დარბაზში მთელი წარმოდგენის განმავლობაში, რომ არ სმენოდათ ხმა, რომელიც მოუთხრობდა მაყურებელთ იმის შესახებ, თუ რა ხდება მოქმედების დროს კულისებში. საბჭოთა დელეგაციამ გაახუნა მთელი ეფექტი. ყოველ სხდომაზე, ყოველი მარჯვე შემთხვევის გამო იგი პირდაპირ უყენებდა ბურჟუაზიულ დიპლომატებს კითხვას — სურთ თუ არა მათ განიარაღება. და თუმცა ბევრს ეცადნენ თავი დაეღწიათ, მაგრამ ისინი მაინც იძულებული გახდნენ ელიარებინათ, რომ ჟენევაში მათ თავი მოიყარეს არა მშვიდობიანობის საქმის მოსაგვარებლად, არამედ ომის მოსამზადებლად. ამაშია გამართლება ბურჟუაზიული სახელმწიფოების წარმომადგენლებს შორის საბჭოთა კავშირის დელეგაციის დასწრებისა იმპერიალისტური ინტრიგების ცენტრში — ჟენევაში.

თავისი გამოსვლების დროს ლიტვინოვმა კვალდაკვალ ამხილა იმპერიალისტური სახელმწიფოების წარმომადგენელთა მახინაციები, დაუნდობლად ახადა მათ პაციფისტური ნიღაბი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბურჟუაზიულმა დიპლომატებმა, გაითვალისწინეს რა მხურვალე სიმპატია და უდიდესი ყურადღება, რომელიც გამოიჩინეს დასავლეთის მშრომელებმა საბჭოთა დელეგაციისადმი, იძულებულნი გახდნენ შერიგებოდნენ საბჭოთა დელეგაციის დასწრების ფაქტს. ლიტვინოვის საბრალმდებლო ოქმმა სავსებით ახადა ფარდა ჟენევაში ომის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებას.

„პრავდა“, 9 მაისი.

ბასმაჩების მოქმედება ავღანისტან-საბჭოთა კავშირის საზღვარზე

ბასმაჩების დამარცხება

ტაშკენტი, 9 მაისი. 5 მაისს კალაიხუმბის (ქალაქი 120 კილომეტრის მანძილზე გარნის აღმოსავლეთით) აღმოსავლეთ რაიონში წითელი არმიის რაზმები თავს დაესხნენ ფაიზულოს ბანდას, რომელიც შესდგებოდა 400 ბასმაჩისაგან. წითელი არმიის რაზმებმა დიდი ზიანი მიაყენეს ბანდას. ბანდის დარჩენილი ნაწილები ჩრდილოეთ აღმოსავლეთისაკენ მიიმართებიან. (ადს).

ბასმაჩების გამოცოცხლება

კუშკა, 9 მაისი. უკანასკნელ დღეებში, აქტიობას იჩენენ ბასმაჩების ბანდები. ეს ბანდები გერატის პროვინციაში სდგებიან. 4 მაისს, დიდი ბანდა შეეცადა საზღვარზე გადმოსვლას იორუჩაკის (100 კილომეტრის მანძილზე კუშკის აღმოსავლეთით) რაიონში, მაგრამ იგი უკუაგდო სანაპირო ჯარმა. ღამით 5 მაისს იმავე ადგილას საზღვარზე გადმოვიდა ბანდა აზიარბეგის მეთაურობით. ეს ბანდა გაემართა ჩრდილოეთისაკენ, კარაკუმში.

ადგილობრივ მცხოვრებთა სიტყვით, გერატის ჩრდილოეთ - აღმოსავლეთით მდებარე ყიშლაღებში დაბანაკდა რამდენიმე ბანდა, რომლებსაც განზრახვა აქვთ გადმოვიდნენ საზღვარს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ სამოქმედოდ.

ხმა დადის, რომ, ბანდებს აწყობს ბასმაჩების ცნობილი მეთაური ჯუნაიდხანი.

გაბათილებული ჭორი

სტამბოლი, 8 მაისი. კომუნისტების საქმესთან დაკავშირებით, ზოგიერთმა გაზეთებმა, კერძოდ „ჯუმურიეთ“-მა, აგრეთვე „სონსაათ“-მა გამოაქვეყნეს ცილისწამებით აღსავსე შენიშვნები, რომლებშიაც იუწყებოდნენ, თითქოს საპირველმაისო პროკლამაციების გავრცელებაში მონაწილეობა მიუძღვით საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციების, კერძოდ არკოსის თანამშრომლებს. ამასთანავე გაზეთები აღნიშნავდნენ, თითქოს ზოგიერთი თანამშრომელი დააპატიმრეს. 7 მაისს „ჯუმურიეთ“-მა გამოაქვეყნა პოლიციის უფროსის ოფიციალური წერილი, რომელიც უარყოფს ზემოდაღნიშნულ ხმებს. (ადს)

მექსიკის პრეზიდენტის ორპირობა

ნიუ-იორკი, 8 მაისი. მექსიკის პრეზიდენტმა პორტეს ხილმა განაცხადა, რომ ის მზადაა ითანამშრომლოს კათოლიკურ ეკლესიასთან. პორტეს ხილი მიმართავს რევოლიუციონურ ფრაზეოლოგიას: იგი მოუწოდებს მუშებსა და გლეხებს — შეადგინონ მთლიანი ფრონტი კაპიტალიზმთან საბრძოლველად. ეს ხელს არ უშლის ხილს —გაანიარაღოს გლეხები.

კომუნისტები ააშკარავებენ მთავრობის დაპირებათა სიყალბეს და გლეხებს ურჩევენ —იარაღი არ დაჰყარონ (ადს).

გაფიცვა ჩაშალეს

ლონდონი, 8 მაისი. „ტაიმს“-ის თეირანელი კორესპონდენტი გადმოგვცემს დაწვრილებით ცნობებს იმ ამბების შესახებ, რომლებიც მაისის დასაწყისში მოხდა აბადანის კუნძულზე, სპარსეთის ყურეს ჩრდილო - დასავლეთ ნაწილში, სადაც თავმოყრილია ინგლის - სპარსეთის ნავთის ტრესტის ნავთსაწმენდი საწარმონი. საწარმოთა მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. ისინი მოითხოვენ ექვსი საათის სამუშაო დღის შემოღებას, ხელფასის მინიმუმად თვეში 40 რუპის (დაახლოვებით 40 მანეთი) დაწესებას და მუშათა წარმომადგენლობის უზრუნველყოფას საწარმოთა მართვა - გამგებლობაში. „ტაიმს“-ის კორესპონდენტი, სხვათა შორის, სწერს:

„უნდა ვიფიქროთ, რომ აგიტაცია ინგლის - სპარსეთის ნავთის ტრესტის მუშებს შორის დაიწყო საბჭოთა კავშირის წაქეზებით“.

ნავთის საწარმოთა მუშების გაფიცვა ჩაშალეს. სპარსეთის ხელისუფლებამ გაფიცვის გამოცხადებისთანავე დააპატიმრა გაფიცვის ხელმძღვანელნი და ჯარი გაგზავნა გაფიცვის რაიონში. ინგლის - სპარსეთის ტრესტის ცნობაში ნათქვამია, რომ კუნძულზე დაპატიმრებულია 45 კაცი. (ადს).

ანტი-ინგლისური მოძრაობა

ლონდონი, 8 მაისი. „დეილი ექსპრეს“-ის კორესპონდენტი ბასრიდან იუწყება ინგლისის სამხედრო გემის „ციკლამენ“-ის გასვლის შესახებ სპარსეთის ყურესაკენ. სამხედრო გემის გაგზავნა გამოწვეულია „სერიოზული მღელვარებით“ აბადენის კუნძულზე.

მეამბოხეებმა ქვები დაუშინეს ნავთის საწმენდ ნაგებობებს, რომლებიც ინგლის-სპარსეთის ნავთის ტრესტს ეკუთვნის. კუნძულზე ავრცელებენ პროკლამაციებს, რომლებშიაც მოუწოდებენ ინგლისელების წინააღმდეგ. ადგილობრივი პოლიცია ამტკიცებს, რომ არეულობა გამოწვეულია „უცხოელი კომუნისტების პროპაგანდით“. (ადს)

მიწისძვრის შედეგები სპარსეთში

თეირანი, 8 მაისი. გაზეთები აქვეყნებენ კუჩანის გუბერნატორის დაწვრილებით ცნობებს მიწის ძვრის შესახებ. კუჩანისთვის მიწის ძვრას განსაკუთრებული ზიანი არ მიუყენებია. მიწის ძვრამ ბევრი შენობა დაანგრია შირვანში, აგრეთვე სანაპირო სოფლებში. შირვანის რაიონის მოსახლეობა თითქმის სრულებით უთავშესაფროდ დარჩა. ბევრია ადამიანის მსხვერპლი. მსხვერპლთა რიცხვი დეპეშაში არ არის აღნიშნული. როგორც ბუჯნურდიდან იუწყებიან, იქ მიწის ძვრისაგან დაინგრა 40 სახლი. მახლობელ რაიონებში დაინგრა 50 სახლზე მეტი. დაღუპულთა რიცხვი ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული. ფიქრობენ, ეს რიცხვი 200-ს აღემატება. „წითელი ლომის და მზის“ ორგანიზაციის ცენტრალურმა გამგეობამ ყველა თავის განყოფილებას დაუგზავნა ცირკულიარი, რომელშიაც იგი აღნიშნავს, მოსახლეობის დიდი მატერიალურ ზარალს მიწისძვრისაგან. ცირკულიარი წინადადებას იძლევა — სასწრაფოდ მოეწყოს დახმარება დაზარალებულთათვის. „წითელმა ლომმა და მზემ“ „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო ორგანიზაციას ჟენევაში, აგრეთვე „წითელი ჯვრის“ სათანადო ორგანიზაციებს პარიზში და ამერიკაში მიმართა თხოვნით — აღმოუჩინონ დახმარება მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ. გაზეთ „ეტელაათ“-ის ცნობით, შაჰი წინააღმდეგია მოეწყოს შემოწირულებათა შეგროვება მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის. შაჰი აცხადებს, რომ მთავრობა თვითონ მიიღებს საჭირო ზომებს დაზარალებულთა დასახმარებლად. (ადს).

დიდი ჰუმანიურობისა და მეგობრობის აქტი

აშხაბადი, 9 მაისი. სპარსეთის გენერალურმა კონსულმა აშხაბადში მოლავამ ინახულა საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. სკალოვი და **სპარსეთის მთავრობის სახელით მადლობა გამოუცხადა თურქმენისტანის მთავრობას იმ დახმარებისათვის, რომელიც მან გაუწია მიწისძვრისაგან დაზარალებული ხორასნის პროვინციის მოსახლეობას.**

„სპარსეთის მთავრობა, — განაცხადა მოლავამ,—**ამას სთვლის დიდი ჰუმანიურობის, მეგობრობის და კეთილმეზობლური დამოკიდებულების აქტად**“.

ამასთან გენერალურმა კონსულმა განაცხადა, რომ სპარსეთის მთავრობამ დაავალა, ხორასნის გენერალ - გუბერნატორს და საბაჟო ხელისუფლებას — მაქსიმალურად ხელი შეუწყონ თურქმენისტანის მთავრობის მიერ მოწყობილ დამხმარე ექსპედიციას.

15-ის საქმე

კოვნო, 8 მაისი. საოლქო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი 15 კაცის საქმის გამო. მათ ბრალდებოდათ კომპარტიის წევრობა. ბრალდებულნი შარშან იქეთ საპატიმროში სხედან. ერთს, გროსმანს, აბრალებდნენ პარტიის მდივნობას და კონსპირატიულ მუშაობას, სამს — გროსმანთან თანამშრომლობას. ამათ მიუსაჯეს რვა-რვა წლის კატორღა თითოს; ორს მიუსაჯეს 6 წლის კატორღა და ორს ოთხი წლის კატორღა. ამნისტიის ძალით სასჯელი ყველას გაუნახევრეს. 7 ბრალდებული უდანაშაულოდ იცნეს (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საიდუმლოებით მოცული ისტორია

პილსუდსკიმ სამსახურიდან დაითხოვა გენ. ნინკევიჩი

მოსკოვი, 9 მაისი. „იზვესტია“-ს ვარშაველი კორესპონდენტი იტყობინება:

პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში დიდი სენსაცია გამოიწვია საზღვრების დამცველ კორპუსის კომანდირის —გენ. მინკევიჩის, მოულოდნელად სამსახურიდან დათხოვნამ, რომელიც შემდეგ პირობებში მოხდა:

პილსუდსკიმ იხმო გენერალი მინკევიჩი და მოკლეთ განუცხადა მას სამსახურიდან დათხოვნის შესახებ. თანვე დაუმატა, რადგან თქვენი დათხოვნა ხდება არაჩვეულებრივი წესით, პრესაში გამოქვეყნებული იქნება სათანადო ახსნა-განმარტება სამხედრო მინისტრის სახელით, რაიც შეუძლებელს გახდის ჭორების გავრცელებას.

ამ საუბრის შემდეგ დაუყოვნებლივ დალუქულ იქნა გენ. მინკევიჩის კანცელარიის ყველა დოკუმენტები.

გაზეთებში მართლაც გამოქვეყნებულ იქნა სამხედრო მინისტრის წერილი, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა და მეტი საიდუმლოების ბურუსი მოჰფინა გენ. მინკევიჩის არაჩვეულებრივი წესით სამსახურიდან მოხსნის ფაქტს. სამხედრო მინისტრი თავის წერილში აღნიშნავს, რომ გენ. მინკევიჩის სამსახურიდან დათხოვნას ეს ფორმა აუცილებელი იყო, რადგან პოლონეთში მაღალ თანამდებობის პირთ, როცა მათ სამსახურიდან ითხოვენ, ჩვეულებად აქვთ დოკუმენტების გადამალვა, რომ გაუძნელონ მუშაობა თავიანთ შემცვლელთ. საჭირო დოკუმენტებს ხშირად მალავენ კერძო პირებთან.

პოლიტიკურ წრეებში დაბეჯითებით აცხადებენ, რომ გენ. მინკევიჩის დათხოვნა დაკავშირებულია მთელ რიგ დიდ მნიშვნელოვან ამბებთან.

ურალის ნავთის გარშემო

მოსკოვი, 9 მაისი. როგორც ამ რამოდენიმე დღის წინად გადმოგცემდით, ურალის ცენტრალურ რაიონში აღმოჩენილ იქნა ნავთის წყაროები. ამ დღეებში სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ მოისმინა ინფორმაციული მოხსენება აღნიშნული საკითხის შესახებ და თავის დადგენილებაში აღნიშნა ურალის ნავთის წყაროების აღმოჩენის განსაკუთრებული ეკონომიური მნიშვნელობა. ამასთანავე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ აუცილებლად სცნო, რომ ეხლავე დაიწყოს ურალის ცენტრალური რაიონის ნიადაგის გამოკვლევა, მიმდინარე წელშივე მოსკოვიდან დანიშნულების ადგილას მიემგზავრება სამი გეოლოგიური ექსპედიცია. ჭაბურღილი მოეწყობა ხუთ ადგილას. დღეს ურალის რაიონებში უკვე გაემგზავრა სპეციალისტების ერთი ჯგუფი.

მოსკოვ-კასპიის ზღვის ნავთსადენი

მოსკოვი, 9 მაისი. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში თქვენს კორესპონდენტს აცნობეს, რომ მიმდინარე წლის ზაფხულში დაიწყება გამოკვლევები მოსკოვ-კასპიის ზღვის ნავთსადენის გასაყვანად. ახალი ნავთსადენში ყოველწლიურად უნდა გატარდეს 1.600.000 ტონა ნავთობი. ვინაიდან ნავთსადენის ასეთ დიდ მანძილზე გაყვანა საბჭოთა კავშირში ახალი საქმეა, გადაწყვეტილია საკონსულტაციოთ მოწვეულ იქნან ამერიკის ცნობილი სპეციალისტები.

საქართველოს
ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

მენშევიკ-ჯალათების მსხვერპლთა დაკრძალვა

დაკრძალვას დიდძალი ხალხი დაესწრო.—ახალი შეტაკებები პოლიციასა და მუშებს შორის

ბერლინი, 9 მაისი. გუშინ დაკრძალეს ბერლინის ამბების მსხვერპლნი. საპირველმაისო კომიტეტის მოწოდებას ნაშუადღევს მუშაობის დემონსტრატიულად შეწყვეტის შესახებ მთელი რიგი წარმოებები გამოეხმაურა. მიუხედავად გაცხარებული პროპაგანდისა, რომ მუშაობა არ შეეწყვეტათ, ბევრ წარმოებაში გაიმართა სამგლოვიარო კრებები. ამ კრებებზე მუშებს გამოჰქონდათ მეტად მკაცრი რეზოლიუციები სოციალ-დემოკრატიული მინისტრების წინააღმდეგ. ბერლინის ქუჩებსა და მუშათა უბნებში შავ არშია შემოვლებული მრავალი წითელი დროშა ფრიალებდა.

სამგლოვიარო პროცესიაში ხალხის თვალუწვდენელ მასებს გარდა, მონაწილეობას ღებულობდა ორასამდე დელეგაცია, რომელთაც მიჰქონდათ დროშები და გვირგვინები. გერმანიის კომპარტიის სახელით სიტყვა წარმოსთქვა—ამხ. ტელმანმა. აღნიშნა რა სოციალ-დემოკრატიული ლიდერების დანაშაულებრივი როლი, ტელმანმა გერმანიის კომპარტიისა და წითელფრონტელთა კავშირის სახელით, „რომელიც არავის ნებას არ მისცემს, რომ იგი დაშალონ", მოუწოდა დამსწრეებს დასდონ ფიცი, რომ ისინი ისე, როგორც დაპული მებრძოლები მოახდენენ ყველა რევოლიუციონური ძალის მობილიზაციას, და როდესაც დადგება გადამწყვეტი მომენტი, ხელიდან არ გააგდებენ იარაღს მანამდე, სანამ საბოლოოდ არ იქნებიან დამარცხებულნი ბურჟუაზია და მისი სოციალ-დემოკრატიული ლაქიები, და სანამ არ დამყარდება პროლეტარიატის დიქტატურა".

რემედასის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. პიკმა. მის შემდეგ კი—მთელი რიგი ქარხნების წარმომადგენლებმა. მიუხედავად იმისა, რომ წითელ ფრონტელთა და წითელმეზღვაურთა კავშირები აკრძალეს, დაკრძალვას დაესწრო გამბურგის მეზღვაურთა კავშირის დელეგაცია კავშირის ფორმაში.

პოლიციამ მეტად დიდ ძალას მოუყარა თავი სასაფლაოს რაიონში—ფრიდრიხსფელდში.

დახოცილთა დაკრძალვის შემდეგ, პოლიციის პროვოკაციული საქციელის გამო, ადგილი ჰქონდა მთელ რიგ შეტაკებებს. პოლიციამ დააპატიმრა 18 კაცი (ადს).

მუშები „ფორვერტსის"-ის წინააღმდეგ

ბერლინი, 9 მაისი. ბერლინის მუშათა მასაში ძლიერდება აღშფოთება იმ პოზიციის გამო, რომელიც „ფორვერტს"-მა დაიკავა ბერლინის ამბების მიმართ. ეს დამოკიდებულება აშკარად გამოიხატა გუშინ ნაშუადღევს, ბერლინის ქუჩებში დახოცილთა დასაფლავების წინ გამოშვებულ გაზეთის ნომერში, რომელშიც ერთი სიტყვა არ იყო მუშების დასაფლავებაზე, მაგრამ პირველ გვერდზე, როგორც მთავარი სენსაცია, მოთავსებული იყო დიდი დასურათებული ცნობა სეზონის გახსნის შესახებ ვარიეტეში (სასეირნო ადგილი ბერლინის ახლო).

ჰამბურგის პარლამენტი

ბერლინი, 9 აპრილი. ჰამბურგის პარლამენტში მღელვარე სცენები გაიმართა, როცა დაიწყო განხილვა კომფრაქციის წინადადების —წითელფრონტელთა კავშირის დაშლის გაუქმების შესახებ. კომუნისტ-დეპუტატების ნაწილი სენატში გამოცხადდა წითელფრონტელთა ფორმაში. კომფრაქციის წარმომადგენლები სასტიკად აკრიტიკებდნენ სენატის მოქმედებას, რისთვისაც ისინი გამორიცხულ იქნენ რამდენიმე სხდომიდან. ამის შემდეგ კომფრაქციამ დასტოვა სხდომის დარბაზი.

ბრძოლა ავღანისტანში

იცნეს ამანულას ძალა-უფლება

თერმეზი, 8 მარტი. ბაჩე-საკაოს მომხრეების ცდა შეენარჩუნებინათ ძალა-უფლება დეიდალის ციხე-სიმაგრეში (მაზარ-ი-შერიფიდან დასავლეთით 10 ვერსის მანძილზე), უნაყოფო გამოდგა. 7 მაისს ციხის გარნიზონმა და მთელმა მოსახლეობამ იცნო ამანულას ძალაუფლება ციხეში შემოსული გულიამ ნაბის სახით. საბჭოთა ტერიტორიაზე გადასულ ლტოლვილების სიტყვით, მაზარ-ი-შერიფსა და დეიდალში ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება (ადს).

გადატრიალება გერატში

კუშკა, 8 მაისი. გერატიდან ჩამოსული ლტოლვილების სიტყვით, იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ ქალაქიდან მაზარ-ი-შერიფის მიმართულებით გაიგზავნა სამხედრო ნაწილები, სამღვდელოება და ამანულახადმი მტრულად განწყობილი ელემენტები ძლიერ ამოძრავდნენ. მოლებმა და ფეოდალებმა კავშირი გააბეს ბაჩე-საკაოს ნაწილებთან რომლებიც გერატისაკენ მიემართებიან. და ქალაქში გადატრიალება მოახდინეს ქაბულის მთავრობის სასარგებლოდ. გერატში დაიწყო ძარცვა-გლეჯა და მკვლელობა, ქალაქში საალყო წესები გამოცხადდა. გერატის რაიონის მესაქონლეებს ეშინიათ რეპრესიებისა და ქონების დატაცებისა. ამიტომ ისინი საბჭოთა ტერიტორიაზე გადმოდიან (ადს).

გერატი ხაბიბულას ჯარმა დაიჭირა

ლონდონი, 9 მაისი. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი სიმლიშიდან (ინდოეთი) იუწყება, რომ გერატი ხაბიბულას ჯარმა დაიჭირა (ადს).

სკოტლანდ-იარდის ისტორია

ლონდონი, 9 მაისი. დასრულდა სკოტლანდ-იარდის სისხლის სამართლის დეპარტამენტის საგანგებო განყოფილებიდან საიდუმლო მასალის დაკარგვის საქმის გამოძიება. ამ ისტორიის გარშემო თავის დროზე დიდი განგაში ასტეხეს. გაზეთები ჩიოდნენ, რომ კომუნისტებს გზა გაკვლეული აქვთ ინგლისის პოლიტიკური პოლიციის საიდუმლო საქმეებისაკენ. საქმე დასრულდა იმით, რომ სამსახურიდან დაითხოვეს ორი მოსამსახურე, რომელნიც საიდუმლო ცნობებს აწვდიდნენ განსაზღვრულ ფასებში სენსაციების მოყვარული ბურჟუაზიული გაზეთების რედაქციებს.

ჩერჩილის განცხადება

ლონდონი, 9 მაისი. თემთა პალატის სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა ჩერჩილმა განაცხადა, რომ სარეპარაციო წინადადებები, რომელთა შესახებ იუწყება პრესა (ე. ი. ოუენ იუნგის გეგმა) მიუღებელია ინგლისისათვის და რომ ინგლისის მთავრობას არ შეუძლია მოლაპარაკება გამართოს ამ წინადადებათა გარშემო (ადს).

მღელვარება ბომბეიში შესწყდა?

ლონდონი, 9 მაისი. გაზეთების ცნობით, მღელვარება ბომბეიში შესწყდა. 42-მა საფეიქრო ფაბრიკამ განაახლა მუშაობა. მღელვარებასთან დაკავშირებით დააპატიმრეს 630 კაცი.

საჩოთირო საკითხი

ბერლინი, 8 მაისი. რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე კომუნისტმა დეპუტატებმა გაილაშქრეს ზევერინგის წინააღმდეგ იმისათვის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო დახმარებას უწევდა ორლოვს და, საერთოდ, ყალბი დოკუმენტების მკეთებლებს.

პასუხად ზევერინგმა განაცხადა, რომ მოახდენს წმენდას საზოგადოებრივი წესრიგის კომისარიატში. კომუნისტი დეპუტატები შეეკითხნენ ზევერინგს— მართლა აძლევდა თუ არა კომისარიატი ფულს ორლოვსო. მაგრამ ზევერინგმა შეკითხვაზე არ უპასუხა (ადს).

50.000 ლიტი ჯილდო

კოვნო, 8 მაისი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ვინც დაიჭერს ვოლდემარასზე თავდამსხმელებს, ჯილდოთ მიეცემა 50.000 ლიტით (ადს).

ავსტრიის კომპარტიის მოწოდება

ვენა, 8 მაისი. „როტე ფანე"-ში დაბეჭდილია ავსტრიის კომპარტიის მოწოდება. კომპარტია მოუწოდებს ავსტრიის პროლეტარიატს — 8 წუთით შესწყვიტოს მუშაობა ყველა საწარმოში ბერლინის სისხლიანი ამბების 24 მსხვერპლის დაკრძალვის გამო.

პაუკერის დაპატიმრება

ვენა, 8 მაისი. ბუქარესტის გაზეთების ცნობით, ბუქარესტში დააპატიმრეს კომუნისტი მარსელ პაუკერი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი წევრი, რომელსაც 1926 წელს, მის დაუსწრებლად, 10 წლით დაპატიმრება მიუსაჯეს. პაუკერი, ვითომ, დიდხანს სცხოვრობდა არალეგალურად რუმინეთში, სადაც ის დობროჯეანუსთან ერთად ჩამოვიდა. პაუკერთან ერთად დააპატიმრეს სტუდენტი ქალი იაროსლავსკაია. გაჩხრეკის დროს პაუკერს, ვითომ, წერილები და სხვადასხვა პირთა მისამართები უპოვეს. პაუკერი დაუყოვნებლივ მიცემული იქნა სამხედრო სამართალში. დაკითხვის დროს, როგორც გაზეთები იუწყებიან, მან ყოველგვარი ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა.

პოლიცია გულმოდგინედ განაგრძობს შემდგომ ძებნას. ის დარწმუნებულია, რომ რუმინეთში არალეგალურად კიდევ 14 კაცი ჩამოვიდა.

რუმინელი გაზეთი „დიმინეაცა"-ს ცნობით, პაუკერმა 5 მაისს შიმშილობა გამოაცხადა.

მოსკოვის პარტაქტივის კრება

მოსკოვი, 8 მაისი. კავშირთა სახლის საკოლონო დარბაზში გაიმართა მოსკოვის პარტაქტივის კრება. მოსმენილ იქნა მოხსენება ცეკას უკანასკნელი პლენუმის და მე-16 პარტკონფერენციის შედეგების შესახებ. კრება თავის რეზოლიუციაში ერთხმად იწონებს პარტკონფერენციის და პლენუმის ყველა გადაწყვეტილებას (ადს).

როგორ სრულდება დირექტივა მუშების დაწინაურების შესახებ

მოსკოვი, 9 მაისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას საინფორმაციო განყოფილებამ შეამოწმა, თუ როგორ სრულდებოდა პარტიის დირექტივა სახელმწიფო აპარატში მუშების დაწინაურების შესახებ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში. 30 გუბერნიასა და ოლქში 1923 წელს დაწინაურებულ იქნა 568 კაცი, 1924 წელს—3.096 კაცი, 1925 წელს —7.459 კაცი, 1926 წელს—სწორი ცნობები არ არის, ხოლო უკანასკნელ 1827—28 წელს 28 პარტორგანიზაციაში დაწინაურებულ იქნა 14.500 კაცი. დაწინაურებულთაგან საგრძნობ უმრავლესობას დაზგის მუშები შეადგენენ. მუშათა დაწინაურება ჯერ-ჯერობით უმთავრესად საწარმოთა შიგნით ხდება. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა უპარტიო მუშების დაწინაურების მხრივ. პარტორგანიზაციები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა განსაზღვრული დავალებანი (დაწინაურების საკონტროლო ციფრები) დაწინაურებულთა რეზერვების შესაქმნელად. ბევრ ადგილას დაწინაურებას საფუძვლად არ უდებდნენ იმას, რომ აპარატის სწორედ უვარგისი ბიუროკრატიული ელემენტების ნაცვლად მიიღონ მუშები. მაგალითად, 3 საკავშირო ტრესტში დასახულ იქნა 12 თანამდებობის პირის გამოცვლა და 50 მუშაკის შემოწმება. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთი მათგანი უნდა იქნას გადაყენებული, როგორც უცხო ელემენტი, დანარჩენები კი სავსებით დამაკმაყოფილებლად მუშაობენ. სახელმწიფო აპარატში დაწინაურებულთა რეზერვები უნდა შეიქმნას დაწინაურების საკონტროლო ციფრების მიხედვით. (ადს).

პროფკავშირების კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა

მოსკოვი, 9 მაისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ მიიღო დადგენილება პროფკავშირთა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ეს მუშაობა ეხლანდელ პირობებში უნდა გადაიქცეს მასების სოციალისტური აღზრდისა და მათი სახელმწიფოს მართვაგამგეობაში ჩაბმის უმნიშვნელოვანეს იარაღად, აგრეთვე ბიუროკრატიზმთან უაღრესად აქტიური ბრძოლის საშუალებად.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პროფკავშირთა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა უნდა შეეხოს მუშათა კლასის ფართო მასებს, ამ მუშაობამ უნდა აღმოფხვრას აპოლიტიურობისა და შეზღუდული კულტურული მუშაობის ელემენტები და ახალ საფუძვლებზე გარდაქმნას თავისი მეთოდები. დადგენილება აღნიშნავს მთელ რიგ კონკრეტულ ამოცანებს, სახელდობრ პროლეტარიატის ფართო მასების კლასობრივი შეგნების და წარმოებისადმი სოციალისტური შეგნებული დამოკიდებულების განვითარებას, ხელის შეწყობას განათლების სახალხო კომისარიატის ორგანოების მუშაობისათვის, კერძოდ, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში, დახმარების გაწევას დაწინაურებულ მუშებისათვის და პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმულ მუშათა აქტივისათვის.

დადგენილება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა წვრილბურჟუაზიულ შეხედულებებსა და განწყობილებებთან მუშათა კლასის ჩამორჩენილ, განსაკუთრებით ახალ ფენებს შორის და იმისი პოპულიარიზაცია, თუ რა მნიშვნელობა აქვს კულტურულ დასვენებებს და გართობას, აგრეთვე საჭიროდ სთვლის ახალი ყოფაცხოვრების ელემენტების განვითარებას.

მთელი ეს მუშაობა ნაციონალური რესპუბლიკების მუშებს შორის უნდა სწარმოებდეს მათ ენაზე.

დადგენილება, აღნიშნავს, რომ საჭიროა კულტფონდების გადიდება პროფორგანიზაციების ბიუჯეტებში, კულტმუშაკთა კადრების გაუმჯობესება. დადგენილება აგრეთვე აღნიშნავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მთელ ამ მუშაობაში დახმარებას სახელმწიფო ორგანოების, მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატების და პარტორგანიზაციების მხრივ. (ადს).

ეროვნული საკითხის შესწავლა

მოსკოვი, 9 მაისი. 8 მაისს კომუნისტური აკადემიის პრეზიდიუმმა მოისმინა ეროვნული საკითხის შემსწავლელი კომისიის საანგარიშო მოხსენება.

კომისიის სამეცნიერო - საგამომკვლევო მუშაობის ძირითადი საკითხები შემდეგია: ეროვნული კულტურის, ეროვნული ურთიერთობის და ეროვნული რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაციის პრობლემა.

კომუნისტური აკადემიის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო საბჭოთა და საზღვარ-გარეთის აღმოსავლეთის ეროვნული პრობლემების შემდგომი შესწავლა, შოვინიზმის და მისი მიზეზების შესწავლა, განსაკუთრებით ანტისემიტიზმის შესწავლა, მუშაობის გაფართოვება ჩვენი ეროვნული მშენებლობის მიღწევათა ანალიზისათვის. (ადს)

მუშაობა აღმოსავლეთის ქალთა შორის

მოსკოვი, 9 მაისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მუშა - ქალთა და გლეხქალთა განყოფილებამ აღმოსავლეთის ქალთა შორის მუშაობის ერთ - ერთ საუკეთესო ფორმად სცნო ქალთა კლუბები, მომთაბარეთა წითელი იურტები, გლეხ - ქალთა კუთხეები, მშრომელ ქალთა სახლები და სხ.

საბჭოთა აღმოსავლეთში ამჟამად უკვე არის 101 ქალთა კლუბი, 100 წითელი იურტ და 400 ქალთა წითელი კუთხე. ამ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გასაუმჯობესებლად საჭიროა მუშაკთა კადრების მომზადება და გადამზადება. ამ მიზნით საკავშ. კომპარტიის (ბ) ცეკას მუშა - ქალთა და გლეხ - ქალთა განყოფილებამ მთავარ პოლიტგანთან ერთად გადასწყვიტა 15 ივნისს მოსკოვში გახსნას ცენტრალური კურსები ქალთა პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების გადასამზადებლად. კურსებზე გამოწვეულია 60 ადგილობრივი მუშაკი. კურსები გაგრძელდება 1 ნახ. თვეს. (ადს).

ა.-კ. საბჭოთა მეხუთე ყრილობა

მეოთხე დღე

9 მაისის დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი ა.-კ. სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის გარშემო. ამავე სხდომაზე საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა მომხსენებელმა ამხ. ამბარცუმიანმა და სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გადიდების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჰუსეინოვმა.

კამათი სახ. მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის გარშემო

ამხ. ამბარცუმიანის მოხსენებას ხუთწლიანი გეგმის შესახებ ყრილობაზე არ გამოუწვევია პრინციპიალური ხასიათის კამათი. დელეგატები ერთხმად იწონებენ ხუთწლიან გეგმის ძირითად ხაზს, რომელიც გულისხმობს ამიერკავკასიის გარდაქმნას ინდუსტრიოალურ აგრარულ ქვეყნად. ოპონენტები ეხებოდნენ ზოგიერთ უმნიშვნელო შეუსაბამობას, რომელიც გეგმის ზოგიერთ მუხლს ახასიათებს. მათ შორის, დელეგატების აზრით, აღსანიშნავია გეგმის ხარისხობრივი მაჩვენებლების არა საკმარისი დამუშავება. მათი აზრით, გეგმა არ იძლევა გარკვეულ წარმოდგენას იმაზე, თუ რამდენად უნდა გაიზარდოს სამუშაო ხელფასი, შრომის ნაყოფიერება, რამდენად უნდა შემცირდეს სამრეწველო პროდუქტების თვითღირებულება. გეგმაში არ არის ნაჩვენები აგრეთვე გზები და მეთოდები ჩვენი სახალხო მეურნეობის ხარისხობრივობის ასამაღლებლად.

საერთოთ კი გეგმა თითქმის ამოსწურავს სახალხო მეურნეობის იმ დარგების განვითარების შესაძლებლობას, რომელთა განვითარებისათვის წინასწარ სწარმოებდა მუშაობა და დაგროვილი იყო საკმაო მასალები.

მიუხედავად ამისა, გეგმა სავსებით დამთავრებულად არ შეიძლება ჩაითვალოს, მასში არ შედის ჩვენი მშენებლობის ზოგიერთი დარგები. მაგალითად, არ არის აღნიშნული თუ რა უნდა გაკეთდეს საკურორტო მშენებლობის დარგში, იმ დროს, როდესაც ჩვენი მუშაობის ყოველ დარგში ბოლო ელება უგეგმობას, საკურორტო მშენებლობაში ასეთი უგეგმობა გრძელდება. თითქმის ყოველი კუთხე ცდილობს ააგოს და მოაწყოს აგარაკები და ანგარიში არ ეწევა იმას, არსებობს თუ არა საამისო საშუალება. საგეგმო კომისიას აქაც უნდა განესაზღვრა, თუ სად რა უნდა გაკეთებულიყო და რამდენი უნდა დახარჯულიყო ამ საქმეზე.

გარკვევით არ არის აგრეთვე წარმოდგენილი გეგმაში ადგილობრივი მრეწველობის მშენებლობის გეგმა. გაურკვეველია, თუ რამდენს შეადგენს კაპიტალური დაბანდება ადგილობრივ მრეწველობის განსავითარებლად.

გეგმის ერთ-ერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის, რომ იგი სისწორით ვერ ითვალისწინებს, თუ რამდენად იქნებიან უზრუნველყოფილნი ახლად წარმოშობილი სამრეწველო დარგები ნედლეულით. ნედლეულის მარაგი ა.-კ. დიდძალია, მაგრამ მისი რაციონალური გამოყენებისათვის საჭიროა საწარმოები შენდებოდეს ნედლეულობის ახლო მდებარე ადგილებში.

ამხ. რუხაძე ხუთწლიანი გეგმის დეფექტებს მიაწერს იმ გარემოებას, რომ მის შემდგენელ ორგანოებს ხელთ არ ჰქონდათ წესიერად დამუშავებული ეკონომიურ-სტატისტიკური მასალები მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე. სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების მუშაობის პირობები ვერ არის ნორმალური. ყველგან სტატისტიკოსთა შემადგენლობა დამაკმაყოფილებელი არ არის. ამ დარგში ზოგან მუშაობენ უვიცი პირები, ხოლო მომზადებული სტატისტიკოსები კი ასრულებენ მათთვის შეუფერებელ თანამდებობას. ამით აიხსნება ის, რომ სახელმწიფო სტატისტიკურ სამმართველოს მიერ დამუშავებული მასალა ზოგჯერ არ გამოხატავს ჩვენი სამეურნეო - კულტურული ცხოვრების სინამდვილეს.

შემდეგ დელეგატები დიდხანს შეჩერდნენ ხუთწლიანი გეგმის იმ ნაწილზე, რომელიც სოციალურ - კულტურულ მუშაობას შეეხება. დელეგატთა უმრავლესობის აზრით, კულტურულ - სოციალური პრობლემები გეგმაში საკმაოდ არ არის გაშუქებული. მოსახლეობის კულტურულ დონეს კი დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გეგმის წარმატებით გატარებისათვის. არა მარტო სოფლად, არამედ ქალაქის ბევრ საწარმოებში ჯერ კიდევ დიდია წერა-კითხვის უცოდინარ და პოლიტიკურად ნაკლებ გათვითცნობიერებულ მუშათა პროცენტი. ახალ-ახალ საწარმოების წარმოშობასთან და ძველი საწარმოების გაფართოვებასთან ერთად გაიზრდება სოფლიდან ჩამოსულ გლეხების რაოდენობა ჩვენს საწარმოებში. ეს გარემოება გვიკარნახებს, რომ მეტი ყურადღება მივაქციოთ კულტურულ და პოლიტ - საგანმანათლებლო მუშაობას. ამას მოითხოვს თვით ჩვენი წარმოების განვითარების ინტერესები, რადგან არსად მეურნეობას არ სჭირია კულტურულად და კლასიურად გათვითცნობიერებული მუშა-ხელი, ისე, როგორც ჩვენს სოციალისტურ მეურნეობას. გეგმაში აუცილებლად შეტანილი უნდა იქნეს თანხები საკლუბო და სხვა კულტურულ - საგანმანათლებლო საქმიანობის გასაფართოვებლად.

უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექციათ ხუთწლიან გეგმის ავტორებს პროფტექნიკურ განათლებისათვის. ჩვენში ვითარდება ისეთი დარგები, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში ტრადიცია არა აქვს და რომელნიც საჭიროებენ მაღალი კვალიფიკაციის მუშახელს. მოკლე ვადიანი კურსებით შეუძლებელია რიგიანი მუშა-ხელის მომზადება. აუცილებლად უნდა გაფართოვდეს ერთი მხრივ პროფტექნიკურ სკოლების რიცხვი და მეორე მხრივ საბჭოთა კავშირის სამრეწველო ქალაქებში და აგრეთვე ევროპიულ ქვეყნებში უნდა გაიგზავნოს ახალგაზრდობა სათანადო კვალიფიკაციის მისაღებად. არსებული პროფტექნიკური სკოლები ისე უნდა გადაკეთდეს, რომ მათ ნამდვილად შესძლონ ჩვენი წარმოებისათვის გამოსადეგი მუშა-ხელის მიწოდება. ამისთვის საჭიროა ამ სკოლების სათანადოდ მოწყობა და მათი უზრუნველყოფა მომზადებული პედ.-პერსონალით.

ჩვენი მეურნეობის განვითარებისათვის მწვავე საკითხს წარმოადგენს აგრეთვე სპეციალისტების საკითხი. ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები ვერ მოგვცემენ ამ ხუთი წლის განმავლობაში სპეციალისტთა საკმაო რიცხვს, რასაც ამტკიცებს ის გარემოება, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დღემდე გამოუშვა მხოლოდ 22 ინჟენერი. ამ საქმეში ფულის დაზოგვა სახელმწიფოს მეტ ვნებას მოუტანს, ვიდრე სარგებლობას. სპეციალისტების მოსამზადებლად აუცილებლად უნდა მივმართოთ საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდობის გაგზავნას. უნდა ვიზრუნოთ აგრეთვე ძველი სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ის სპეციალისტები, რომლებმაც დაამტკიცეს თავისი უნარიანობა და საქმიანობა, უნდა გაიგზავნონ საზღვარგარედ ახალი გამოცდილების მისაღებად.

რამოდენიმე ორატორი შენიშნავს, რომ გეგმაში უყურადღებოდ არის დატოვებული შრომის ორგანიზაციის საკითხები. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. გეგმა არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს შრომა, რომ შრომის ნაყოფიერებამ თანდათანობით მოიმატოს. მუშა ხელისთვის უნდა შეიქმნეს ისეთი პირობები, რომ იგი თავის უნებურად არ აცდენდეს სამუშაო საათებს, რისთვისაც საჭიროა საწარმოები ყოველთვის უზრუნველყოფილი იქნენ ნედლეულის მარაგით, საჭირო იარაღ-მანქანებით, საწვავი და საზეთი მასალით და სხვ.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის საბინაო საკითხს. ჩვენში ბევრია კიდევ საწარმოები, რომელთაც არა აქვთ მუშათა საცხოვრებელი შენობები; მუშებს ცხოვრება უხდებათ ქალაქის გარედ და საწარმოებისაგან დაშორებულ რაიონებში. მუშათა საბინაო მშენებლობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. არც ერთი ფაბრიკა-ქარხანა არ უნდა აშენდეს, თუ მის გვერდით აშენებული არ იქნება სახლები მუშათა დასაბინავებლად. გეგმა გარკვევით უნდა ამბობდეს, თუ რამდენი თანხა უნდა დაიხარჯოს მუშათა საბინაო მშენებლობაზე. სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების დაცვაც აუცილებელი პირობაა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. პროფესიონალურ დაავადებასაც უნდა მიქცეოდა ჯეროვანი ყურადღება, რაც გეგმაში არ არის აღნიშნული. საერთოდ, ჯანმრთელობის დაცვის საკითხი გეგმაში გათვალისწინებული არ არის. მრეწველობის ზრდა იწვევს მუშათა რიცხვის გადიდებას; ჯანმრთელობის ორგანოების არსებული ქსელი ამ მოკლე ხანში ვერ დააკმაყოფილებს ამ გადიდებულ მოთხოვნილებას. ჯანმრთელობის ქსელის გაფართოვება აუცილებელია სოფლებისათვისაც. რაც მოითხოვს ექიმ-სპეციალისტთა კადრების და საშუალო მედპერსონალის რიცხვის გადიდებას.

შემდეგ ორატორები ეხებიან რა სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს, ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ მთავრობა ვერ შესძლებს ამ გეგმის განხორციელებას სოფლის მუშაკთა იმ კადრით, რომელიც დღეს არის ჩაბმული მუშაობაში. აუცილებელია სოფლის აპარატი უზრუნველვყოთ უფრო მომზადებული და შეგნებული მუშაკებით. ხუთწლიან გეგმამ ამას ანგარიში უნდა გაუწიოს და გამოიმუშაოს რადიკალური ღონისძიებები ამ საკითხის მოსაწესრიგებლად.

დასასრულ, ორატორები ხაზს უსვამენ მიწად-მოწყობის დაჩქარების და მიწად-მოწყობის ახალი მეთოდების გამომუშავების აუცილებლობას.

ყრილობის დღიური

9 მაისის დილის სხდომაზე დამთავრდა კამათი ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმის გარშემო.

რეზოლიუციის გამოსამუშავებლად ყრილობამ აირჩია კომისია 29 კაცისაგან.

ამავე სხდომაზე სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გასადიდებლად მისაღებ ღონისძიებების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გუსეინოვმა.

საღამოს სხდომაზე ამავე საკითხზე თანამოხსენებებით გამოვიდნენ ამხ. ბუნიატ-ზადე და ამხ. ერზინკიანი.

საღამოს სხდომის დასასრულს ყრილობამ ამხ. კარინიანის წინადადებით დაადგინა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს სრულიად უკრაინის საბჭოთა მე-11 ყრილობას, რომელიც დღეს იხსნება.

ამხ. ამბარცუმიანის საბოლოო სიტყვა

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. ამბარცუმიანი ამბობს შემდეგს:

ის შეუსაბამობანი და დეფექტები, რომელნიც ა.-კ. სახ. მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმას ახასიათებს, საერთოა ყველა რესპუბლიკების გეგმებისათვის, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ გეგმის შემდგენი ორგანოები მოკლებული იყვნენ საბოლოოდ დამუშავებულ მასალებს. ამიტომ არის, რომ გეგმა ვერ იძლევა გარკვეულ და მტკიცე ხარისხობრივ მაჩვენებლებს. თანდათანობით მუშაობის პროცესში, მასალების დამუშავების მიხედვით, ეს ნაკლიც გამოსწორდება. არ არიან მართალი დელეგატები, რომლებიც ამტკიცებენ, თითქოს ჩვენს გეგმაში ნაკლები ყურადღება ექცეოდეს სოციალურ - კულტურულ საკითხებს. ჩვენი შეჯამებული ბიუჯეტი 27-28 წელს უდრიდა 188.000.000 მანეთს. აქედან კულტურულ საჭიროებებს მოხმარდა 58 მილიონი მანეთი. 5 წლის დამლევს ეს ბიუჯეტი მიაღწევს 339 მილიონ მან. აქედან კულტურულ საჭიროებას მოხმარდება 160 მილიონი, ე. ი. თითქმის ნახევარი. ასეთი პროპორციაა დაცული ცალკე რესპუბლიკების ბიუჯეტში, რაც მოწმობს ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას სოციალურ - კულტურულ საკითხებისადმი. ზოგი ამხანაგი მოითხოვს, რომ მეტი თანხები იქნეს გაღებული პროფტექნიკური განათლებისათვის. ასეთი მიდგომაც არ არის მისაღები. პროფტექნიკურ განათლებას ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ, მაგრამ ამავე დროს ვერ დავივიწყებთ საერთო საგანმანათლებლო მუშაობას, რადგან ჩვენი მშრომელი მოსახლეობის კულტურულ - პოლიტიკური დონე ჯერ კიდევ დაბალია და საჭიროებს განსაკუთრებულ ღონისძიებების მიღებას, რათა ჩვენი ქვეყნის კულტურული ჩამორჩენილობა დაუძლეველ დაბრკოლებად არ გადაეღობოს წინ ჩვენი მეურნ. განვითარებას. საჭირო და აუცილებელი იყო მეტი თანხები კულტურულ მშენებლობისათვის, მაგრამ მეტის გამონახვა ჩვენ ვერ შევძელით. ისედაც დეფიციტიანობა ჩვენს სამეურნეო კაპიტალურ მშენებლობაში ამ ხუთი წლის განმავლობაში ნახევარ მილიარდს აღწევს.

დასასრულ, მომხსენებელი იზიარებს დანარჩენ საკითხებზე გამოთქმულ შენიშვნებს, კვლავ იმეორებს მოხსენების დროს გამოთქმულ აზრს, რომ ეს დიდი გეგმა, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს მთელი პარტიის პრაქტიკული მუშაობის პროგრამას ამ ხუთი წლის განმავლობაში, მოითხოვს მთელი მშრომელი მოსახლეობის მობილიზაციას, მთელი ჩვენი ენერგიის და ყურადღების დაძაბვას. მხოლოდ მასების აქტიური მონაწილეობით შეიძლება იმ დაბრკოლებათა გადალახვა, რომელიც სახალხო მეურნეობის ხუთწლიან გეგმის განხორციელებას ელობება.

რეზოლიუციის შესამუშავებლად ა.-კ. სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ ყრილობამ გამოყო კომისია 29 ამხანაგის შემადგენლობით.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. გუსეინოვის მოხსენება სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გასადიდებლად მისაღებ ღონისძიებების შესახებ.

ღონისძიებები სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გასადიდებლად

მომხსენებელი ამხ. გუსეინოვი

უკანასკნელ წლებში, ამბობს მომხსენებელი, განსაკუთრებით საგრძნობი გახდა დისპროპორცია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შორის. მაშინ, როცა მრეწველობის მრავალი დარგი გაშორდა ომის წინანდელ დონეს, სოფლის მეურნეობის მრავალ დარგს დღემდე ამ დონემდე არ მიუღწევია. ეს გარემოება საფრთხის ქვეშ აყენებს არა მარტო ჩვენი სოფლის მოსახლეობის ძირითად მასის კეთილდღეობას, არამედ თვით ჩვენი მრეწველობის განვითარებასაც.

სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა არა თუ გაიზარდა, არამედ ომის წინა დროსთან შედარებით დაეცა. მაგალითად, თუ ჰექტარზე ომამდე მოსავალი შეადგენდა საშუალოდ 40 ფუთს, ეხლა იგი მხოლოდ 38 ფუთს აღწევს.

სოფლის მეურნეობის ასეთი დაბალი ნაყოფიერების მიზეზი მრავალია. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ სოფლის მეურნეობა დაქსაქსულია და არ ემორჩილება გეგმიან ორგანიზაციულ ზეგავლენას. რევოლიუციის შემდეგ ეს დაქსაქსულობა კიდევ უფრო გაიზარდა, სახნავ-სათესი მოედანი დანაწილდა, დაწვრილმანდა, რაც შეუძლებელს ხდის სოფლის მეურნეობის წინსვლას.

მეორე გარემოება, რომელიც აბრკოლებს სოფლის მეურნეობის განვითარებას, არის მისი დაბალი ტექნიკა და საწარმოო საშუალებათა სიმცირე. მსოფლიო და სამოქალაქო ომების შემდეგ მუშა-საქონლის რიცხვიც საგრძნობლად შემცირდა, ხოლო სამუშაო იარაღი, ინვენტარი გაფუჭდა, განადგურდა.

ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, სოფლის მეურნეობის გამოსაყვანად ამ მდგომარეობიდან არსებობს ორი გზა: გზა კაპიტალისტური და გზა სოფლის მეურნეობის განზოგადოებისა, სოფლის მეურნეთა კოოპერატიული შეკავშირებისა. საბჭოთა ხელისუფლება, რასაკვირველია, დაადგა მეორე გზას, ჩვენი გეზი იქითკენ არის მიმართული, რომ გავაძლიეროთ სოციალისტური სექტორი სოფლის მეურნეობაში, შევაკავშიროთ დაქსაქსული მეურნეთა მასა, რომ უფრო მოვაქციოთ იგი სოციალისტური განვითარების ზეგავლენის ქვეშ. კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობა, საბჭოთა მეურნეობის დაარსება—არის ჩვენი ერთ-ერთი საშუალება სოფლის მეურნეობის აღსადგენად. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უყურადღებოდ ვსტოვებდეთ ინდივიდუალურ მეურნეობათ, რომელთა ხვედრითი წონა ჩვენს სახალხო მეურნეობაში ჯერ ძალიან დიდია, ჩვენი ამოცანაა ერთი მხრივ გავაძლიეროთ კოლმეურნეობათა მშენებლობა და მეორე მხრივ დავეხმაროთ კოოპერატიულად შეკავშირებულ ცალკე გლეხურ მეურნეობათ.

ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობას საბჭოთა კავშირში უჭირავს განსაკუთრებული ადგილი, სახალხო მეურნეობის მთელს სისტემაში მას სპეციალური ფუნქცია აქვს დაკისრებული. ჩვენი ქვეყანა უმთავრესად უნდა გახდეს ძვირფასი და ტეხნიკური კულტურების ქვეყნად. ჩვენი ღონისძიებები უმთავრესად მაღალ კულტურების განვითარებისაკენ იქნება მიმართული, მაგრამ ამასთან ერთად დიდი ყურადღება მიექცევა ხორბლეულობის მეურნეობას და მესაქონლეობის განვითარებასაც.

ხორბლეულის კულტურების მოსავლიანობის გადიდებით ჩვენ უნდა შევამციროთ ჩვენი ქვეყნის პურეულის დეფიციტიანობა, ხოლო მესაქონლეობისათვის ხელის შეწყობით ჩვენ უნდა გავადიდოთ ერთი მხრივ ნედლეულობის მარაგი ჩვენ საფეიქრო მრეწველობისათვის და მეორე მხრივ უზრუნველვყოთ მუშა-საქონლით სოფლის მეურნეობა.

რა ღონისძიებით მივაღწევთ ჩვენ დასახულ ამოცანებს?

პირველ ყოვლისა ჩვენ დაგვჭირდება დავაჩქაროთ მიწადმოწყობა. მიწის ისეთი დაქუცმაცების დროს, რომელიც დღეს გვაქვს, არავითარი კულტურულ მეურნეობაზე არ შეიძლება ფიქრი. მიწების მოსაწყობად დიდი მუშაობა იყო ჩატარებული, მაგრამ წინანდელი ნამუშევარი ჩვენ დღევანდელ მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებს. მიწადმოწყობა უნდა შეუფარდდეს კოლმეურნეობათა მოძრაობას, მიწები უნდა მოეწყოს არა კომლობრივ, არამედ ჯგუფურად, ასეთი მიწადმოწყობა არც ერთ რესპუბლიკაში არ წარმოებულა. ეხლა კი ეს აუცილებელია, ამ წესით ჩვენ უნდა დავამთავროთ მიწადმოწყობა უახლოეს შვიდი წლის განმავლობაში.

შემდეგი ღონისძიება მოსავლიანობის გასადიდებლად არის მელიორაცია. ამიერ-კავკასიაში დიდძალი მიწაა გამოუყენებელი იმის გამო, რომ არ ირწყვება. პირველ რიგში ჩვენ უნდა აღვადგინოთ ძველი სარწყავი სისტემები, დავამთავროთ უკვე დაწყებული არხების გაყვანა და შემდეგ ვაწარმოოთ კვლევა-ძიებითი სამუშაოები ახალი სარწყავი სისტემის მოსაწყობად. ჩვენ არ უნდა გავიმეოროთ წინად დაშვებული შეცდომები: არ უნდა დავიწყოთ ისეთი არხების გაყვანა, რომელთა დამთავრება ჩვენს რესურსებს აღემატება. უნდა გავაძლიეროთ აგრეთვე სამელიორაციო ამხანაგობათა მოწყობა, მათ უნდა დაეკისროს ადგილობრივი მნიშვნელობის არხების გაყვანა.

მოსავლიანობის გადიდება მოითხოვს აგრეთვე აგრონომიული დახმარების გაძლიერებას. ჯერ-ჯერობით სოფლად მომუშავე აგრონომთა რიცხვი და აგრონომიულ პუნქტთა რაოდენობა ამიერ-კავკასიის ყველა ქუთხეში უმნიშვნელოა. მაგალითად, 1927—28 წელს აზერბეიჯანში ერთი აგრონომი მოდიოდა 6.600 მეურნეზე, საქართველოში—4.000 მეურნეზე. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა უნდა გააკეთოს ერთმა აგრონომმა იმ უგზოობის პირობებში, რომელშიც ჩვენი რაიონები იმყოფებიან. აუცილებლად უნდა გავადიდოთ, როგორც აგრონომთა რიცხვი, ისე აგრონომიული პუნქტები. ამავე დროს უნდა მივიღოთ ზომები აგრონომიული ცოდნის გასავრცელებლად გლეხობაში, სახელმწიფო გამომცემლობამ და მიწადმოქმედების კომისარიატმა გლეხობისათვის უნდა გამოსცენ პოპულიარული სახ.-სამ. ბროშურები.

ეს ღონისძიება არაა საკმაო, ჩვენი სოფლის მეურნეობა უნდა უზრუნველვყოთ მუშა-საქონლით, ერთ-ერთი გარემოება, რომელიც აფერხებს ჩვენში მესაქონლეობას, არის საკვების ნაკლებობა. ჩვენ უნდა შემოვიღოთ საკვები ბალახეულობის თესვა, რომ ჩვენმა გლეხობამ შესძლოს მუშა-საქონლის შენახვა, საკვები ბალახეულობის შემოღებას გვიკარნახებს აგრეთვე თესლ-ბრუნვაც, რომელზედაც უნდა გადავიყვანოთ ჩვენი საველე მეურნეობა. ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე მუშა-საქონლის შერჩევას, სადაც შესაძლებელია ხარ-კამეჩი უნდა შევსცვალოთ ცხენით.

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებას სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გასადიდებლად. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ მანქანა-იარაღების მიწოდება და ამ მიწოდების ტემპი.

პირველ რიგში ზემოდ დასახელებული ღონისძიებები უნდა გავატაროთ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში. პატარა კოლექტივების მოწყობას არავითარი აზრი არა აქვს. ჩვენ უნდა მოვაწყოთ დიდი კოლექტივები, რომელნიც შეძლებენ დიდი მანქანების დატვირთვას, არაფრად არ ღირს ისეთი კოლექტივი და იგი ვერ გახდება სოფლის მეურნეობის განვითარების ფაქტორად თავის რაიონში, თუ მას არ ექნა ერთი ტრაქტორი მაინც და სხვა გაუმჯობესებული იარაღები. უდიდესი ყურადღება უნდა მივაქციოთ კონტრაქტაციას, რომელიც წარმოადგენს გლეხობის კოოპერატიული შეკავშირების საშუალებას და ამასთან ერთად შეაქვს გლეხობაში მიწის კულტურული დამუშავების ტეხნიკა.

ამ ღონისძიებების გატარების დროს ჩვენ უმთავრესად უნდა დავეყრდნოთ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემას, რომელმაც უკვე გაიდგა ფეხი გლეხობაში. თუ 24 წლის პირველ ოქტომბერს საკრედიტო კოოპერაცია აკავშირებდა გლეხობის 3,2 პროც.; 28 წლის 1 ოქტომბერს მის მიერ შეკავშირებულ მეურნეთა რიცხვი 31 პროც. გასცილდა. ამავე ხნის განმავლობაში საკრედიტო ქსელის ბალანსი 12-ჯერ გაიზარდა.

შემდეგშიაც სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემა უნდა გავხადოთ ჩვენი სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთ ბერკეტად.

ამხ. გუსეინოვის მოხსენებით დამთავრდა დილის სხდომა.

9 მაისის საღამოს სხდომაზე თანამოხსენებები სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის განსავითარებლად მისაღებ ღონისძიებების შესახებ გააკეთეს ამხ. ბუნიატ-ზადემ და ამხ. ერზინკიანმა, რომლებიც შეეხნენ სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გადიდების ისეთ საკითხებს, რომლებსაც ამხ. გუსეინოვი არ შეხებია.

ამხ. ბუნიატ-ზადეს თანამოხსენება

ამხ. ბუნიატ-ზადე ყრილობას აცნობს იმ ღონისძიებებს, რომელიც გამოიმუშავა აზერბეიჯანის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გასადიდებლად. მისი გადმოცემით, უკანასკნელ წელს აზერბეიჯანის საცდელმა სადგურებმა გააფართოვეს თავიანთი მუშაობა. დაიწყო საცდელი მუშაობა ნიადაგის შესასწავლად და სხვადასხვა სასუქი მინერალების გამოსაყენებლად. პირველ წელს მიღებული შედეგები იძლევიან სრულ საფუძველს იმისათვის, რომ მემცენარეობის ზოგიერთ დარგში მოსავლიანობა 40—60 პროცენტით იქნეს გადიდებული. ასეთი შედეგის მიღწევა შესაძლებელი გახდა მებამბეობის დარგში მინერალური სასუქების გამოყენებით, მიწის რაციონალური დამუშავებით და ნაყოფიერი ბრძოლით მავნებლებთან.

სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, კალიის გავრცელების წინააღმდეგ მიღებულ ღონისძიებებს, დღემდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა, რაც დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს. უკანასკნელ გამოანგარიშებით, ამიერ-კავკასიაში სოფლის მეურნეობას მავნებლები ყოველწლიურად 17 მილიონ მანეთს ზარალს აძლევენ. მავნებლებთან ბრძოლის სათანადოთ დაყენება აუცილებლად ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის ნაყოფიერების გადიდებას. აზერბეიჯანში მხოლოდ ეხლახან მოეწყო ენტიმოლოგიური სადგური, რომელიც უკვე შეუდგა მავნებელ მწერთა შესწავლას. მავნებლებთან ბრძოლაში ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ამერიკისა და ევროპის საცდელ სადგურების ცოდნა და მათ მიერ გამომუშავებული მეთოდები.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციას წინ უნდა უძღოდეს ჩვენი ნიადაგის პირობების გამოკვლევა, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ შერჩეულ იქნეს ამა თუ იმ ადგილისათვის შესაფერი იარაღ-მანქანები. მექანიზაცია აზერბეიჯანში წარმატებით მიმდინარეობს, თითქმის ყველა ტრაქტორები საკმაოდ დატვირთულია. საშუალოდ თვითეული მათგანი ამუშავებს 160 ჰექტარ მიწას, შეიძლება მათი ამაზე მეტად დატვირთვა. ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებმაც უნდა მიიღონ ზომები, რომ ძვირფასი მანქანები არ ცდებოდეს, ან დანიშნულებისამებრ არ იხმარებოდეს.

მიწადმოწყობა აზერბეიჯანში ნელი ტემპით მიმდინარეობს, იმ მიზეზის გამო, რომ მიწის მზომელთა რიცხვი აზერბეიჯანში მცირეა. ამ დარგში მუშაობენ უმთავრესად მეზობელ რესპუბლიკიდან მოსული ძალები. მიწადმოქმედების მიერ მიღებულია ღონისძიებები მიწის მზომელთა შტატის გასადიდებლად.

შემდეგ მომხსენებელი ეხება კოლექტივიზაციის საკითხს და ამბობს, რომ მათში უმთავრესად ჩაბმული უნდა იქნენ მოჯამაგირეები, რომელთაც დიდი ხნის გამოცდილება აქვთ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში, ვინაიდან მათ მთელი წლობით უხდებოდათ პრაქტიკული მუშაობა მემამულეთა კულტურულ მეურნეობაში. ლენქორანის მაზრაში მოჯამაგირეებისაგან შედგენილმა კოლექტივმა მოსავლიანობა ერთი წლის მუშაობით 50 პროცენტით გაადიდა, რაც მათი შრომის უნარით და პრაქტიკული გამოცდილებით აიხსნება. ეს მჭერმეტყველურად აბათილებს იმ ყალბ შეხედულებას, თითქოს მოჯამაგირე და ღარიბი გლეხი გადაჩვეული იყოს თავისი საკუთარი მეურნეობის წარმოებას.

ცხადია, მარტო მოჯამაგირეების გამოცდილებაზე დამყარება იმდენ ნაყოფს არ გამოიღებს. აუცილებელია გლეხობის ძირითადი მასის სასოფლო-სამეურნეო ცოდნის ამაღლება. ამ მიზნით განზრახულია გლეხობისათვის სპეციალურად მოეწყოს მოკლევადიანი კურსები, რომელშიაც ხუთი წლის განმავლობაში უნდა გატარდეს დაახლოებით 50—70 ათასი მეურნე. ამასთან ერთად მიღებული უნდა იქნეს რადიკალური ზომები აგროპერსონალის გასადიდებლად. დღეს იგი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს საჭიროებას, დღევანდელი შტატი ვერ აუვა მარტო კოლექტივების სამსახურს. აზერბეიჯანში სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი გადაეცა მიწადმოქმედების სახ. კომისარიატს, რომელიც ამ ფაკულტეტის მუშაობას წარმართავს სოფლის მეურნეობის საჭიროებასთან შეფარდებით. ამ დარგის მთავარ ამოცანათ ხდება ახალგაზრდობის შერჩევა და მომზადება ჩვენი სოფლისათვის. სწავლის საშუალება ამ ფაკულტეტზე მიეცემა მხოლოდ იმ ახალგაზრდას რომელიც თავის მოღვაწეობას გადაიტანს სოფლად.

ამხ. ერზინკიანის თანამოხსენება

მეორე თანამომხსენებელი ამხ. ერზინკიანი შეჩერდა მესაქონლეობის განვითარებაზე. მან ყრილობას დაწვრილებით გააცნო თუ რა დიდ კრიზისს განიცდის ამიერ-კავკასიის მესაქონლეობა საკვები რესურსების ნაკლებობის გამო. ჩვენი საძოვრები ისეთ მდგომარეობაშია, რომ ვერ იტევს მსხვილ და წვრილფეხა საქონლის არსებულ რაოდენობას, სპეციალური კომისიის გამოკვლევით, თუ ასეთი წესით გაგრძელდა საძოვრების ექსპლოატაცია, ათი წლის შემდეგ ისინი ვერ გამოჰკვებავენ საქონლის დღევანდელი რიცხვის ნახევარსაც კი. მესაქონლეობის განვითარებისათვის აუცილებელია გავადიდოთ საძოვრების ფართობი და შევამციროთ მომთაბარე მეჯოგეობა. საძოვრების ფართობის გადიდება შესაძლებელია ზოგიერთი მიწების მორწყვით და საკვებ ბალახების თესვის შემოღებით. ამ უკანასკნელ ღონისძიებას გვიკარნახებს თესლბრუნვაზე გადასვლის საჭიროებაც. მომთაბარე მეჯოგეობა დიდ ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობას საერთოდ. უკვე დამტკიცებულია, რომ იქ, სადაც ჯოგი მომთაბარეობს, მოსავლიანობა ყველაზე მეტად კლებულობს. მეორე მხრით— შეუძლებელი ხდება მომთაბარეთა კულტურულ დონის ამაღლება, მათში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება. თვით მომთაბარე მეჯოგეების სოციალური შემადგენლობაც არ ეგუება ჩვენს დღევანდელ ამოცანებს, 50—60 პროცენტს მათ შორის წარმოადგენენ კულაკები, რომელნიც ღარიბ მოსახლეობის ექსპლოატაციით მდიდრდებიან. ადმინისტრატიული ღონისძიებებით არ შეიძლება მომთაბარე მეჯოგეობის გაუქმება, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ დაგვჭირდება მთელ რიგ და სამეურნეო ღონისძიებების გატარება, ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებას მომთაბარეობის აღსაკვეთად წარმოადგენს სარწყავების მოწყობა. მეჯოგეები ხშირად ადგილიდან ადგილზე გადადიან უწყლობის გამო, ჩვენი მესაქონლეობის განვითარებას აბრკოლებს აგრეთვე ეპიზოოტიის გავრცელება. სავეტერინარო საქმე სათანადოთ არ არის დაყენებული, ბეითალთა რიცხვი მცირეა. საკმარისი არ არის აგრეთვე სავეტერინარო სადგურები. უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე პროფილაქტიურ ღონისძიებებს, ჩვენი საქონლის საცხოვრებელი ბინების სანიტარული პირობები ვერ უძლებს კრიტიკას. საქონლის საცხოვრებელი ბინა უმეტესად ისეთია, რომ ხელს უწყობს ყოველგვარ სენის გავრცელებას და საქონლის დაღორისებას. ამ გარემოებასაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

შემდეგ მომხსენებელი ეხება რძის მეურნეობას და ყრილობას აცნობს, თუ რა უნდა გაკეთდეს ხუთი წლის განმავლობაში რძის პროდუქტების გადამუშავების დარგში.

ყრილობის დელეგატები თბილისის მუშებთან

გუშინ, 9 მაისს საღამოს 9 საათზე მელითონეთა კლუბში საშეფო საზოგადოების თბილისის საბჭომ მოაწყო თბილისის მუშების და ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეხუთე ყრილობის დელეგატების დაკავშირების საღამო, რომელზედაც დაესწრო 700-მდე მუშა და დელეგატი.

საზეიმო სხდომა გახსნა ამხ. გ. სტურუამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ქალაქისა და სოფლის კავშირი აუცილებელი პირობაა სოციალისტური მშენებლობის წარმატებისათვის. გამწვავებული კლასთა ბრძოლის და კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის კავშირი სოციალისტური აღმშენებლობის და კაპიტალისტურ ელემენტებზე გამარჯვების საწინდარია.

შემდეგ მისალმებებით გამოვიდნენ: ამხ. აბდულაევი (ბაქო), ჰასანოვა ბანუ (ქურდისტანი), ალიევი (აზერბეიჯანი) შახბაზიანი, (სომხეთი), ნიკოლეიშვილი (ქუთაისი) კერიმოვა (ბაქო) და ბარხუდაროვი (ლენრაიკომის მუშების სახელით). საზეიმო სხდომის დახურვის შემდეგ გაიმართა კონცერტი, ფიზკულტურნიკების გამოსვლები და სხვ.

პარტიაში

პარტგანათლება მშრომელი მასების ლენინური აღზრდის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა

ჩვენი მიღწევები და ამოცანები

დღევანდელ მომენტში ბოლშევიკურ-ლენინურ აღზრდის მთავარ მიზან - დასახულებათ უნდა ჩაითვალოს სასტიკი იერიშის მიტანა ლენინურ ხაზიდან ყოველი ჯურის წვრილ - ბურჟუაზიული გადახრების, მეტადრე კი მემარჯვენე გადახრის და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ. ამ მთავარი დებულებიდან გამომდინარეობს დღეს პარტგანათლების შინაარსი და ამოცანები. პარტგანათლების მთელმა სისტემამ უნდა დაიკავოს ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი პარტიული მუშაობის საერთო სისტემაში, პარტიის მიერ წვრილ - ბურჟუაზიული გადახრების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

თუ ამ თვალსაზრისით შევაფასებთ პარტიული განათლების დარგში მუშაობის განვლილ პერიოდს და მომავალ პერსპექტივებს უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთოდ ჩვენ მიმდინარე წელს გვაქვს მიღწევები ამ საქმეში. მაგრამ ამავე დროს ჩვენს წინაშე იჩრებიან ზოგიერთი არსებითი ხასიათის საკითხები, რომელთა გათვალისწინება, საჭიროა როგორც ამ წლის ნამუშევარის შეჯამების, ისე ახალი ქსელის ჩამოყალიბების დროს.

უპირველეს ყოვლისა პარტიული მასის მიერ სწორად უნდა იქნეს გაგებული პარტგანათლების ნებაყოფლობით პრინციპზე აგება. მიმდინარე წელს სკოლებში პარტიული მასის ფართედ ჩაბმას ხელი შეუწყო სწორედ ნებაყოფლობითი პრინციპის დაცვამ და პარტგანათლების ფორმების მრავალ ფეროვანობამ.

სამწუხაროდ ამ ერთი წლის განმავლობაში გამოირკვა, რომ პარტიული მასის განსაზღვრული ნაწილის მიერ ნებაყოფლობითი პრინციპი სწორად არ იყო გაგებული, ცალკე კომუნისტების მხრივ ადგილი ჰქონდა ამ პრინციპის დამახინჯების ტენდენციებსაც.

ეხლა, პარტქსელის გამოშვების დროს, როცა ჩვენ, ვამოწმებთ პარტიის წევრთა მომზადების დონეს და ვარაუდით ვსაზღვრავთ იმას, თუ პარტგანათლების რა ფორმა იქნება შესაფერი ამა თუ იმ კომუნისტისათვის მომავალში, აგრეთვე პარტქსელის ჩამოყალიბებისათვის სამზადისის ჩატარების პროცესში ძირშივე უნდა ჩავკლათ ბიუროკრატიული მიდგომა, რომელიც ახასიათებდა პარტგანათლების ქსელში განმანაწილებელ კომისიების ზოგიერთ წევრებს. ეს გამოიხატებოდა იმაში, რომ განმანაწილებელი კომისიების ცალკე წევრები კმაყოფილდებოდნენ მსმენელების მოკლე პასუხით იმის შესახებ, თუ სად სურს იმეცადინოს ამა თუ იმ ამხანაგს, ზოგჯერ კი სკოლებში ამაგრებდნენ მსმენელებს ისე, როგორც თვითონ მოესურვებოდათ.

საბჭოთა პარტიულ სკოლების მსმენელი საქალაქო კონფერენციაზე ერთი პროპაგანდისტი, იცავდა შემცდარ აზრს: თითქოს ნებაყოფლობითი პრინციპი ეწინააღმდეგება წრეობრივ მუშაობას და ასუსტებს დისციპლინას. ეს აზრი, რასაკვირველია სწორი არ არის და იგი კატეგორიულად უარყოფილ უნდა იქნეს.

პარტგანათლების ნებაყოფლობითი პრინციპი მთელი პარტიული მასის და უპირველესად ყოვლისა პროპაგანდისტების მიერ სწორად უნდა იქნეს გაგებული და განხორციელებული.

პარტგანათლების ფორმების გამრავალნაირება და მასში პარტიულ, უპარტიო და კომკავშირულ მასების მეტი რიცხვის ჩაბმა უნდა გახდეს 1929 — 30 სამოსწავლო წლისათვის ერთ უმთავრეს ამოცანად.

მიმდინარე წლის მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მარქსისტულ ლენინურ აღზრდის საქმეში ჩვენ ჩავაბით პარტიული და უპარტიო მასის დიდი რაოდენობა. თბილისის პარტგანათლების ქსელში, უმაღლეს სასწავლებლებთან, მუშფაკებთან და საერთო განათლების სკოლებთან არსებულ მარქსისტულ ლენინური წრეების გარდა, სულ ჩაბმული იყო 7.486 კაცი, რაც პარტორგანიზაციის წევრთა 63,2 პროცენტს შეადგენს.

პარტქსელის ზრდის საკითხი დაკავშირებული უნდა იყოს იმასთან, თუ რამდენად შეიძლება მასში გაერთიანებული მასის ხელმძღვანელობა. უნდა აღმოიფხვრას ორგანიზაციაში არა ჯანსაღი ტენდენციები, რომლებიც მდგომარეობს იმაში, რომ ცდილობენ „რაც შეიძლება მეტი ჩააბან". ამ ტენდენციის შედეგი იყო ის, რომ მიმდინარე წელს მრავალ სკოლებში ბლომად იყვნენ ე. წ. „მკვდარი სულები".

მთავარი, რასაც უნდა მიექცეს ჩვენი ყურადღება 1929 — 30 სამოსწ. წლისათვის ეს არის ის, რომ მივაღწიოთ განათლების ქსელის ერთდროულად გაშლას პარტიის, კომკავშირის, პროფკავშირების, პოლიტგანის და კოოპერაციის ხაზით. ამით ჩვენ შევსძლებთ ერთი მხრივ პარალელიზმის აცდენას მუშაობაში, მეორეს მხრივ კი მსმენელთა საკმაოდ განტვირთვას სხვადასხვა დავალებათაგან.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროპაგანდისტთა სათანადო კადრის მომზადების და გადამზადების საკითხს. წელს ჩვენ გვქონდა მუშა - პროპაგანდისტთა კურსები, მაგრამ ის რიცხვი პროპაგანდისტებისა, რომელიც ჩვენ ამ კურსებმა მოგვცა უმნიშვნელოა პროპაგანდისტთა საერთო რიცხვთან შედარებით. უნდა მიღებულ იქნეს აგრეთვე ყოველი ღონისძიება, პროპაგანდისტთა შემადგენლობის გამუშრებისათვის.

აუცილებლად უნდა მივაღწიოთ სკოლების თავის დროზე უზრუნველყოფას ლიტერატურით. საჭიროა საგამომცემლო ორგანოებმა აქედანვე მიიღონ შესაფერი ღონისძიებანი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დააფასებს პარტიის საშუალო და ძირითადი აქტივი პარტმასის იდეოლოგიური მომზადების საკითხს. უნდა აღვნიშნოთ, თვითკრიტიკის წესით, რომ ზოგიერთი პასუხისმგებელი პარტმუშაკი ჯერ კიდევ არ სთვლის საპროპაგანდო მუშაობას პარტმუშაობის საერთო სისტემის ძირითად შემადგენელ ელემენტად. მათი ჩვეულებრივი ფორმულა ასეთია: „კარგია თეორეტიული მომზადებაც, მაგრამ რომ არ არის საშუალება რა უნდა ექნათო". ჩვენი ამოცანა კი არის მივაღწიოთ, რომ საკითხი ასე ისმებოდეს: თეორეტიული მზადება კარგია და, იმდენად უნდა გავატაროთ პარტმუშაობის რაციონალიზაცია, რომ ყოველმა კომუნისტმა შესძლოს იმუშაოს თავისი თეორეტიული მომზადების ამაღლებისათვის...

აი მოკლეთ ის ძირითადი საკითხები, რომელთა სწორათ და თავის დროზე გადაწყვეტისაგან დამოკიდებულია პარტიული მასის მარქსისტულ - ლენინური აღზრდის გაუმჯობესება, მისი სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

ალ. მდივანი.

პარტგანათლება ადგილებზე

ლენინის რაიონი

პარტიის მე-15 ყრილობამ აღნიშნა, რომ მეურნეობის რეკონსტრუქცია და კულტურული რევოლიუციის მოხდენა შეიძლება მხოლოდ მშრომელი მასების და პირველ რიგში პარტიის წევრების კულტურულ პოლიტიკური დონის ამაღლებით. პარტიის წევრი, უპარტიო მუშა, კომკავშირელი, რომელსაც არ აქვს პარტიის დირექტივები სათანადოდ შესწავლილი, არ შეიძლება გახდეს მათი ცხოვრებაში გატარების აქტიური მონაწილე. პარტიის დირექტივებისა და მორიგი ამოცანების შესწავლის გზა და საშუალება კი არის პარტგანათლების ქსელი და კომკავშირის პოლიტგანათლების სკოლები.

ჩვენი ამოცანა იყო მუშათა, რაც შეიძლება მეტი რიცხვის ჩაბმა პარტგანათლების ქსელში, მაგრამ ლენინის რაიონში ამ ამოცანის მთლიანად შესრულება არ მოხერხდა. მიზეზი არის ის, რომ მიმდინარე სამოსწავლო წლისათვის თავის დროზე არ იქნა ჩატარებული ფართო მოსამზადებელი კამპანია.

სკოლების და წრეების მუშაობა შეფერხდა იმით, რომ დროზე არ იქნა შეძენილი საჭირო ლიტერატურა, განსაკუთრებით ადგილობრივ ენებზე. ამას გარდა პარტქსელის მუშაობას ხელი შეუშალა უბინაობამაც. იყო შემთხვევები, როდესაც წრეს ერთი შენობიდან მეორე შენობაში გადასვლა უხდებოდა.

დასწრების პროცენტის სიმცირის მთავარი მიზეზი კი იყო სუსტი ხელმძღვანელობა ზოგიერთი უჯრედის მხრივ; იყო შემთხვევები, როდესაც უჯრედების მდივნებმა არ უშვებდნენ მსმენელებს სკოლებში სამეცადინო დღეებში კრების მოწვევის გამო, ზოგან კი უჯრედის მდივანმა არც იცოდა, რომ მის უჯრედთან წრე არის ჩამოყალიბებული. სუსტი დასწრების მიზეზათ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე მსმენელების ზედმეტად დატვირთვა სხვადასხვა მოვალეობით, ხშირია შემთხვევა, როდესაც მსმენელს, რომელმაც კვირაში სამჯერ უნდა იაროს პარტსკოლაში, უჯრედის ბიურო ხუთ-ექვს სხვადასხვა საზოგადო მოვალეობას აკისრებს იმიტომ, რომ ის აქტიური მუშაკია. დაუსწრებლობაში, ცოტა ბრალი აუცილებლად თვით მსმენელებსაც მიუძღვით.

მიუხედავად ზემოაღნიშნული დაბრკოლებებისა, ლენინის რაიონში პარტგანათლების ქსელს აქვს მთელი რიგი მიღწევა: არსებობს 17 საღამოს საბჭოთა პარტიული სკოლა, სადაც სწავლობენ 382 ამხანაგები, 23 მთლიანი პოლიტსკოლა 584 მსმენელით, 4 ლენინიზმის წრე 65 მსმენელით, 4 პარტისტორიის წრე — 92 მსმენელით, 2 პოლიტიკური ეკონომიის წრე —91 მსმენელით, 18 მიმდინარე პოლიტიკის წრე 457 ამხანაგით, 3 უღმერთოთა საზოგადოების წრე 53 მსმენელით, 6 ქალთა წრე — 271 მსმენელით, 13 წრე ახალ მიღებულ კანდიდატთათვის, სადაც სწავლობს 311 ამხანაგი და სხვ. სულ ლენინის რაიონში სხვადასხვა სკოლებში და წრეებში ჩაბმულია სამი ათასი კომუნისტი და უპარტიო მუშა. მიუხედავად იმისა, რომ ეს რიცხვი საკმაოდ დიდია, იგი დამაკმაყოფილებლად მაინც არ ჩაითვლება, ვინაიდან ოთხი ათასზე მეტი მუშა და მოსამსახურე კიდევ დარჩა პოლიტსკოლების გარეშე.

იმ მიზნით, რათა მომავალ სამოსწავლო წელში, ჩვენ შევსძლოთ პარტიის დირექტივების შესრულება პარტგანათლების დარგში, საჭიროა ყველა აქ აღნიშნული ნაკლი სწავლის დაწყებამდე ავიცილოთ თავიდან.

გ. დოინჯაშვილი.

კახეთი

მაზრას ყავს 10 ჯამაგირიანი პროპაგანდისტი, აქედან 4 ადგილობრივ ხარჯზე ირიცხება, დანარჩენი პოლიტგანათლების მთავარ მართველობისა. ამას გარდა პროპაგანდისტებად გამოყენებულნი არიან კომუნისტი მასწავლებლებიც. მაზრაში მოსამზადებელი მუშაობა სასწავლო წლისათვის სხვადასხვა მიზეზების გამო სათანადოთ ვერ ჩატარდა. ამით აიხსნება ის, რომ 3 სკოლა დაიშალა. მსმენელებში არ იყო ჩატარებული საკმაო ახსნა - განმარტებითი მუშაობა, რასაც შედეგად მოყვა მათი დაუინტერესებლობა მეცადინეობით. წლის დასაწყისში მოეწყო პროპაგანდისტთა კურსი — კონფერენცია, მაგრამ მას მნიშვნელოვანი ნაყოფი არ მოუცია. მთლიანი პარტსკოლების რიცხვი წლის დასაწყისში უდრიდა 22 (აქედან 3 დაიშალა), რომლებშიც გაერთიანებული იყო 719 მსმენელი. პარტიის წევრი — 117; კანდიდატი — 132; კომკავშირელი — 308; უპარტიო — 162; ქალი — 114 ქალებს შორის პარტიულები და კომკავშირელები შეადგენენ მხოლოდ 19, დანარჩენი უპარტიოებია.

მსმენელები სოციალური შემადგენლობის მიხედვით ასე დაიყოფიან: მუშა — 84; სას.-სამეურნეო მუშა და მოჯამაგირე — 17; გლეხი 505; მოსამსახურე — 113.

თუ გასული წლის პარტქსელს შევადარებთ ახლანდელს, დავინახავთ, რომ პარტგანათლების საქმეს საგრძნობი ნაბიჯი გადაუდგამს წინ. 1927 — 28 სასწ. წელში თელავის და სიღნაღის მაზრებში (ახლანდელი კახეთის მაზრა) ჩვენ გვქონდა სულ 10 სასწავლო ერთეული 469 მსმენელით. ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ პარტქსელში ორგანიზაციის წევრების და კანდიდატების მხოლოდ 16 პროცენტია ჩაბმული. როგორც სჩანს პარტგანათლებას პარტიულ ორგანიზაციაში გულგრილად უცქერიან. მომავალ წელში ეს ნაკლი აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

მთლიან პარტსკოლებს გარდა მაზრაში, არსებობს მიმდინ. პოლიტიკის 23 წრე. მაგრამ ეს წრეები შესაფერისად ვერ მუშაობენ, მიმდინარე პოლიტიკის საკითხები: ნოემბრის პლენუმის შედეგები, მემარჯვენე გადახრა და სხვა, დამუშავდა ამ წრეებში.

პარტქსელს ხელი შეუშალა სახელმძღვანელოების გვიან მიღებამ.

რაჭა-ლეჩხუმი

სასწავლო წლის დასაწყისში პარტორგანიზაციაში ჩატარდა ახსნა-განმარტებითი კამპანია პარტგანათლების მნიშვნელობის, მისი ამოცანების და ფორმების შესახებ. მოწვეულ იქნა პოლიტსკოლების და წრეების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელზედაც დამუშავდა ორგანიზაციული და მეთოდიური საკითხები, პარტგანათლების ქსელი გაიშალა ოქტომბრის მეორე ნახევარში. ქსელში ჩაბმულ იქნა პარტიული მასის უმრავლესობა.

პარტქსელი ამჟამად შემდეგ სურათს წარმოადგენს. გახსნილია 6 მთლიანი პარტსკოლა, რომელშიაც სწავლობს 191 კაცი. ამასთანავე არსებობს ნებაყოფლობითი პარტსწავლის ფორმებიც. პარტისტორიის შემსწავლელი წრე — 4—38 მსმენელით; მიმდინარე პოლიტიკის 4—39 მსმენელით, გაზეთის კითხვის წრე 34— 386 მსმენელით; თვითგანვითარების წრე (მთლიან პარტსკოლის პროგრამით) 28—493 მსმენელით.

ამრიგად მთელს მაზრაში არის სულ 76 სასწავლო ერთეული, რომლებშიაც ჩაბმულია 1152 მსმენელი. აქედან კომპარტიის წევრებია 310; კანდიდატები—147; კომკავშირლები—408; უპარტიოები—287; ქალები—148. ქალებს შორის კ. პ. (ბ) და კომკავშირის წევრებია მხოლოდ 27, დანარჩენი უპარტიოები არიან.

მსმენელთა სოციალური შემადგენლობა ასეთია: მუშები—25; მოჯამაგირეები და სას.-სამ. მუშები—47; მშრომელი გლეხობა—912; მოსამსახურენი—176.

პარტქსელში ჩაბმულთა (1152 მსმენელი) რიცხვში არ შედიან ის ამხანაგები, რომლებიც გამოშვებულ იქნა იანვარში, დაახლოებით 180 კაცი.

პარტიული მასა დაინტერესებულია პოლიტიკური ცოდნის შეძენით. ამას ამტკიცებს ის, რომ პარტორგანიზაციის მთელი შემადგენლობის ნახევარზე მეტი ჩაბმულია პარტგანათლების ქსელში.

აღსანიშნავია ის, რომ მაზრაში ფართოდ ვითარდება პოლიტთვითგანვითარებითი მუშაობა. საქართველოს არც ერთ მაზრაში არაა იმდენი პოლიტთვითგანვითარების წრეები, რამდენიც რაჭა-ლეჩხუმში (28 წრე—498 მსმენელით). ამ მხრივ ეს მაზრა მაგალითის მაჩვენებელია სხვა მაზრებისათვის.

პარტიულების, კომკავშირელების და უპარტიოების პარტქსელში ჩაბმის საქმეში, დაცულია პარტიის დირექტივები. რაც შეეხება ქალების და მოჯამაგირეთა ჩაბმას, აქ მდგომარეობა უფრო ცუდია. ქალთა რიცხვი უდრის 8 პროც., პრაქტიკულში, მოჯამაგირეთა—4 პროც.

პარტ-ქსელის მუშაობას დიდათ შეუშალა ხელი იმა გარემოებამ, რომ პოლიტგანათლების მთავარმა სამმართველომ მას პირველ სემესტრში ლიტერატურა ვერ მიაწოდა.

ჩამოთვლილი ნაკლთა გამოსწორებას მომავალი წლიდან უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

დ.—მ.

თათბირი შრომის დისციპლინის შესახებ

დღეს, საღამოს 6 საათზე საქ. კომპარტიის ცეკას საორგ.-გან. განყოფილება, ამხ. სვანიძის კაბინეტში იწვევს თათბირს შრომის დისციპლინის შესახებ (მომხსენებელია ამხ. პეცცოვი).

თათბირს უნდა დაესწრონ: ამხ. შოგირაძე (თბ. კომიტეტი), მაშკეევიჩი (პროფსაბჭო), ნესტეროვი (კომკავშირის ცეკა), გეორგობიანი (ს მ. უ. ს.), ეირანოვი, ავაქოვი, ომაროვი (პროფსაბჭო), სამაზრო კომიტეტის მდივნები და სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეები, პარტიისა და კომკავშირის თბ. ორგანიზაციის რაიკომების საორგ. განყოფ. გამგეები, ტრესტების თავმჯდომარეები, ყველა კავშირების ცენტრ. გამგეობათა თავმჯდომარეები და შემდეგი წარმოებების უჯრედების მდივნები და საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტების თავმჯდომარეები: სტალინის სახ. ქარხნის, 26 კომუნარის ქარხნის, არსენალის, „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბის, კალინინის სახ. ქარხნის, № 1 და 2 ტყავის ქარხნის, თამბაქოს ქარხნის, აგურის ქარხნების, ბამბის ფაბრიკის, დეპოსი, ტრამვაის; ფეხსაცმელების ფაბრიკის, ზეთსახდელი ქარხნის და ლუდის ქარხნის.

ქვემოდჩამოთვლილი ამხანაგები დღეს დილის 10 საათ. უნდა გამოცხადდნენ ამხ. თარხანოვთან (თბ. კომიტეტს განმ. ქვეგანყ.): ლევან ტაკნიაშვილი, კონსტანტინე რაზუვაევი, ტატევოს კაზაროვი, ზალიკო მიხრაძე, იულია შანიძე, მარია ზუბიევა, დიმიტრი გუნდიაშვილი, მექვაბიშვილი.

როგორ სრულდება კოლხელშეკრულებები ადგილებზე

გავაუმჯობესოთ მუშაობის პირობები

ხელფასის საკითხი ზოგიერთ ადგილას ჯერ კიდევ მოსაგვარებელია

ძეხვის ქარხანაში ერთ და იმავე საქმეზე და ერთ და იმავე პირობებში მომუშავე მუშები სხვა დასხვა თანრიგით ღებულობენ ხელფასს.— ჯამაგირების დარიგება ბევრ საწარმოში საგრძნობლად გვიანდება

რად არის ასეთი განსხვავება?

(ძეხვის ქარხანა)

კვების კომბინატის ძეხვის ქარხანას, გასული წლის 15 აგვისტოდან შეუერთდა „ზაკმასოტორგი"-ს ძეხვის ქარხანა; რომელსაც დეფიციტიანობის გამო არ შეეძლო ცალკე, დამოუკიდებელი არსებობა. ამ ქარხნის შეერთებით კვების კომბინატის ქარხანა გაფართოვდა და წარმოებაც საგრძნობლად გაუმჯობესდა; შედარებით წინანდელთან შრომის ნაყოფიერება გაიზარდა და პროდუქციის ხარისხმაც აიწია.

მაგრამ თვით მუშების მდგომარეობას კი არავითარი გაუმჯობესება არ ეტყობა. ისინი კვლავ ძველ პირობებში მუშაობენ. მართალია კავშირსა და ადმინისტრაციას შორის დაიდო კოლექტიური ხელშეკრულება, რომელშიაც მთელი რიგი ახალი მუხლებია შეტანილი, მაგრამ ამ მუხლებმა არამც თუ გააუმჯობესეს მუშების მდგომარეობა, არამედ ზოგიერთი გაუგებრობაც შეიტანეს ხელფასის საკითხში.

მაგალითად, ერთ და იმავე პირობებში და ერთ და იმავე საქმეზე მომუშავე მუშები სხვადასხვა ხარისხით იღებენ ხელფასს. ნაწილი მუშებისა ხელფასს ღებულობენ მეცხრე კატეგორიის მიხედვით, 73 მან. და 50 კაპ. თვეში, ხოლო ნაწილი კი მეექვსე კატეგორიით, 64 მანეთს თვეში. მუშაობით კი ორივე კატეგორიის მუშები, ერთ და იმავე პირობებში მუშაობენ.

ადმინისტრაცია შეპირდა მუშებს, რომ პირველ იანვრიდან გამოასწორებდა ამ ნაკლს და გაათანასწორებდა კატეგორიებს, მაგრამ აპრილიც გადის და ჯერჯერობით დაპირების შესრულებაზე არაფერი ისმის.

მუშა.

ხელშეკრულებათა დადება დამთავრდა

(წერილი სენაკიდან)

საბჭ. და სავაჭ. მუშაკების პროფკავშირმა დაასრულა კოლხელშეკრულებათა დადება მაზრაში არსებულ ყველა წარმოება დაწესებულებასთან.

კოლხელშეკრულების დადების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ჩამორჩენილი ჯგუფებისათვის ხელფასის აწევის საკითხს, რაც გატარებულ იქნა მთელ რიგ წარმოება - დაწესებულებებში. მაგრამ სოფლად მომუშავე დაწესებულებებისთვის უფრო საინტერესო იყო დასვენების საკითხი.

გამოირკვა, რომ ზაფხულის პერიოდში ცალკე დასასვენებელი დღეებით ვერ სარგებლობენ სოფლის მუშაკები, რადგანაც მათი უქმე დღე ორშაბათია და დასვენების დღეც იმ დღეს ხვდება. ამიტომ ხელშეკრულებაში აღნიშნული იქნა, რომ ადმინისტრაციამ მუშა-მოსამსახურეებს მისცეს დასასვენებელ დღედ სამშაბათი, მაშინ როცა ორშაბათი იქნება გამოცხადებული განსაკუთრებულ დასასვენებელ დღედ.

ამავე დროს მიექცა ყურადღება სპეც. ტანისამოსებით მომარაგებას დაბალ მუშებისათვის.

ზ. უჩანეიშვილი.

ხელფასის საკითხი ა.-კ. რკინის გზებზე

რკინის გზის ცენტრალურმა კომიტეტმა, მუშების მოთხოვნით კოლექტიური ხელშეკრულების უფლებრივი მხარე ძალაში დასტოვა მიმდინარე წლის დეკემბრამდე. ძველ ხელშეკრულებას დაუმატა რამდენიმე ახალი მუხლი, ამ დამატებების თანახმად, ხელფასის ფონდი, ნაცვლად 770 მილიონი მანეთისა 29 წლის განმავლობაში გადიდებულია 35 მილიონ მანეთით, ე. ი. სულ ხელფასისთვის გადადებულია 805 მილიონი მანეთი. ხსენებული თანხა მოხმარდება, როგორც მუშათა ხელფასს, ისე ადმინისტრატიულ და ტეხნიკურ პერსონალსაც. 35 მილიონი მანეთი კი მოხმარდება ხელფასის ბუნებრივ ზრდას მონარდეებისათვის. ამრიგად შრომის ხელფასი საშუალოდ გადიდებული იქნება 73 მან. 20 კაპ. 77 მანეთამდე, ე. ი. 5 პროცენტით.

შრომის დაცვის გასაუმჯობესებლად ა.-კ. რკ. გზებზე, ნაცვლად 194 ათასი მანეთისა გადადებულია 300 ათასი მანეთი. დასასვენებელი ბინების ასაშენებლად 30 ათასი მანეთის მაგიერ გადადებულია 235 ათასი მანეთი. აბანოების ასაშენებლად 40 ათასი მანეთი. საოლიანდაგო დარგის მუშების ბინებისათვის ავეჯეულობის შესაძენად 71 ათასი მანეთი. საბინაო მშენებლობისათვის რკინისგზელებისათვის ნაცვლად 1.400 ათასი მანეთისა გადადებულია 2 მილიონი მანეთი და სხვ.

ამრიგად რკინისგზელ მუშების მოთხოვნილების დიდი ნაწილი დაკმაყოფილებულია. საერთოდ რკინის გზის შემოსავალი არ ფარავს გასავალს. მაგალითად, 1929 წლის შემოსავალი გათვალისწინებულია 1.830 მილიონ მანეთით. გასავალი კი 1.368 მილ. მან. ახალი და კაპიტალური სამუშევრების დაწყება-დამთავრებისათვის 528 მილ. მან. როგორც ვხედავთ, გასავალი მეტია შემოსავალზე—66 მილ. მანეთით. ასეთი ფინანსიური მდგომარეობით თავის-თავად ცხადია, რომ არ შეიძლება ყველა იმ მოთხოვნილებების გატარება ც. კ-ის მიერ, რაც წამოაყენეს მუშათა კრებებმა კოლხელშეკრულების განხილვის დროს.

კოლხელშეკრულების უფლებრივ ცხოვრებაში გატარება, დამოკიდებულია თვით რკინისგზელზე. მხოლოდ შრომის ნაყოფიერების აწევით, შრომის დისციპლინის განმტკიცებით და საქმისადმი მუყაითობით, შევძლებთ კოლხელშეკრულების უცვლელად გატარებას.

ნ. ვაჭარაძე.

ექსპლოატაციას უჩივიან

(რკინის გზის მესამე ბავშთა ბაგა)

რკინისგზის მესამე ბავშთა ბაგაში, რომელიც მდებარეობს მაგისტრალის ქუჩაზე, ყველაფერი არ არის რიგზე. აქ ადგილი აქვს დაუდევრობას, უყაირათობას და ექსპლოატაციას.

მზარეული პაპოვიჩი არ შეეფერება თავის თანამდებობას. ის მუდმივად არის ყელით და ცხვირით ავადმყოფი. სულ ადვილად შეიძლება ეს ავადმყოფობა გადაედოს ბავშვებსაც. გარდა ამისა პაპოვიჩმა არ იცის სადილის ხარშვა, ამიტომ მის საქმეს უმთავრესად აკეთებს არაოფიციალურად დაქირავებული ზდანკევიჩის ქალი, რომელიც პაპოვიჩისაგან ღებულობს თვეში 5 მანეთს. აღსანიშნავია, რომ ამ ექსპლოატაციას 5—6 წლის ისტორია აქვს.

პაპოვიჩისთვის წაუბაძია ამავე დაწესებულების დამლაგებელ ქალს აკოფოვას. მას დაზარებია მუშაობა და თავისი საქმე მიუნდვია ზდანკევიჩის ქალისათვის თვეში 5 მანეთად. ქალისათვის რვა საათის სამუშაო დღე არ არსებობს. ის დილიდან საღამომდე მუშაობს დაუსვენებლივ და ტანჯვითა და წვალებით ზიდავს ექსპლოატაციის ,უღელს.

კავშირის წევრ აკოფოვას, არამც თუ სათაკილოდ მიაჩნია ასეთი საქციელი, არამედ ამაყობს კიდეც, რომ მას დაქირავებული ჰყავს თავისი მოვალეობის შემსრულებელი ქალი, რომელსაც უმნიშვნელო ხელფასს აძლევს. ამასწინად დამლაგებელ სმირნოვის ქალის საქმე მიანდვეს აკოფოვას: მან დიდი სიამოვნებით მიიღო ზედმეტი სამუშაო და ფულიც კი ჩაიჯიბა, მაგრამ თითონ ხელიც არ გაუნძრევია. ეს საქმეებიც ზდანევიჩის ქალს შეასრულებინა.

საყურადღებოა დარაჯის საქმიანობა. ეს კაცი ორი წელია, რაც აღნიშნულ ბაგაში მსახურობს და თვეში 35 მანეთს ჯამაგირს ღებულობს, მაგრამ მიუხედავად ასეთი მცირე ხელფასისა, წვრილ შვილის პატრონმა დარაჯმა ორი წლის განმავლობაში ისე მოაწყო სახლი ავეჯით, რომ დარაჯი კი არა, რომელიმე ტრესტის გამგე გეგონებათ. ან რატომაც არ მოაწყობდა? საქმეში ფულს არ ხარჯავს, შეშა იმდენი აქვს, რომ მით კარებს აკეთებს; ამტვრევს და ამსხვრევს ბაგის ავეჯს, ბავშვების დანარჩენ პურით კვებავს „საკუთარ ღორებს, რომლებსაც ასუქებს და ყიდის და სხვ.

ბავშვებს ხშირად რამდენიმე დღის პურს აძლევენ, ბავშვები მას არ სჭამენ. ეს ეკონომია კი მიდის დარაჯისა და მისი ღორების სასარგებლოდ. ყველაფერი ეს იცის გამგემ, მაგრამ ის არავითარ ზომებს არ ღებულობს ასეთ [illegible] წინააღმდეგ.

ფ.

ეს საკითხი უნდა მოგვარდეს

მიმდინარე წლის 15 მარტს ფოთის ნავთსადგურის მტვირთველ მუშების საერთო კრებაზე, კოლექტიური ხელშეკრულების განხილვის დროს, სხვა საკითხთა შორის წამოიჭრა საკითხი. სამუშაოზე გამოსვლის საჭიროების წინა დღით გამოცხადების შესახებ მუშებისათვის.

ფოთის საბჭ.-სავაჭრო ფლოტის სამუშაოებზე ჩაბმულია 400-ე მტვირთველი მუშა. მუშები სამუშაოზე იგზავნებიან რიგ-რიგობით, საჭიროების და მიხედვით, 50, ხან 100, 200 ხან კი მთლიანად 400 კაცი. ამის გამო მუშებმა წინა დღით არ იციან თუ რამდენი კაცია საჭირო სამუშაოზე გასაგზავნად და ვის უწევს გამოსვლა. მათ ყოველდღე, დილის 6 საათიდან უხდებათ გამოსვლა და ცდა 10 და ხან 12 საათამდე. მუშაობა სწარმოებს ნარდათ. ისე, რომ მუშებს გაცდენილ საათებისათვის ხელფასი არ ეძლევათ. საბჭოთა სავაჭრო ფლოტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა საერთო კრებაზე განაცხადა, რომ შეუძლებელია წინა დღით ვიცოდეთ თუ რამდენი კაცია საჭირო სამუშაოებისათვის. ეს განცხადება სინამდვილეს არ შეეფერება; ნავთსადგურში მუშაობა დამოკიდებულია გემებისა და მატარებლების მოსვლაზე. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს ყოველთვის გავიგოთ წინასწარ ის თუ რამდენი მუშა საჭირო მეორე დღისათვის. ეს უნდა ხდებოდეს რადიო-ტელეგრაფის საშუალებით.

რაც შეეხება წვრილმან სამუშაოების შესრულებას, ასეთებისათვის საკმარისია გამოძახებული იქნას მორიგე ჯგუფი 25—30 კაცის რაოდენობით. ერთი სიტყვით ადმინისტრაციის განცხადება სინამდვილეს არ შეეფერება. ამ საკითხზე „ზაკპოგრუზი"-ს გამგეობას ლაპარაკი ჰქონდა რკ. გზის დატვირთვა-გადმოტვირთვის განყოფილებასთან, რომელიც დაეთანხმა „ზაკპოგრუზ"-ს მუშების წინა დღით გაფრთხილებაში.

სამეურნეო ორგანიზაციამ უნდა იცოდეს რა უნდა აკეთოს მან დღეს და რა ხვალ. ეს მინიმალური მოთხოვნილებაა, რომლის შესრულება სამეურნეო ორგანიზაციის კეთილდღეობასთან არის დაკავშირებული. ამ საქმის ტეხნიკურად მოგვარება არ არის შეუძლებელი.

ლ. ფრუიძე.

კოლხელშეკრულებების დადება რიონჰესში

(წერილი ქუთაისიდან)

ცენტრალური გამგეობის და ადგილობრივ კომიტეტის დირექტივების საფუძველზე მშენებელთა კავშირის გამგეობამ ახალ კოლხელშეკრულებების დადებას რიონჰესში მომუშავე ახალგაზრდებს შორის შეუდგა ა.წ. იანვრიდან და დაამთავრა 1-ლ აპრილს. სამ. გამგეობისა და კომკავშირის უჯრედების ინიციატივით ორჯერ მოწვეული იყო ახ. შორის მომუშავეთა თათბირი ახალგაზრდათა აქტივთან ერთად, სადაც გაირჩა საკითხი კოლექტიურ ხელშეკრულებების დადების მნიშვნელობის და მისი გატარების შესახებ. აგრეთვე ჩატარდა ადგილებზე საინსტრუქციო მოხსენება. დაგზავნილი იყო ადგილებზე დირექტივები სანიმუშო მუხლების გასარჩევად, მუშკომებთან ერთად ახალგაზრდათა კრებებზე ირჩეოდა მუხლები ახალი კოლხელშეკრულებაში შესატანად და სხვ. ხელშეკრულებები დადებულია 1-ლ მე-2 და მე-3 დისტანციებში, დანარჩენ ადგილებში ხელშეკრულების დადება გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს, წარსულთან შედარებით მიღწევები დიდია ახალგაზრდა მუშების და ჯავშნის მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში.

ნ. მიქაშავიძე.

დავიცვათ ტყეები გაჩეხვისაგან

ტყეების უთავბოლოდ გაჩეხვა ზოგიერთ რაიონებში კიდევ არაა აღმოფხვრილი—ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დაცვის საქმე მოუწესრიგებელია. — ტყისმცველები კეთილსინდისიერად არ ასრულებენ ნაკისრ მოვალეობას. — მივიღოთ გადამჭრელი ზომები ტყეების მოვლა - პატრონობისათვის.

მოუაროთ ტყეებს

უკვე რამოდენიმე წელიწადია მიწადმოქმედების კომისარიატის ხელმძღვანელობით საქართველოში ტარდება „ტყის დღე". მისი მიზანია ერთის მხრივ გააღრმაოს პროპაგანდა - აგიტაცია მშრომელ გლეხობაში, ტყის მოვლა - პატრონობის შესახებ, ხოლო მეორეს მხრივ ხელი შეუწყოს ტყეებს ახალი ფართობის მოშენებას.

ტყის დღე ჩვეულებრივ ტარდება გაზაფხულზე და ასეთის ჩატარება სწარმოებს წელსაც. თითქმის ყველა მაზრის მიწადმოქმედების განყოფილებები ამ მიმართულებით თავის დროზე შეუდგნენ სამზადისს. მაგრამ ისმის საკითხი, რამდენად აღწევს მიზანს ასეთი დღეების ჩატარება და რა შედეგები მოგვცა მან გასულ წლებში.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ განვლილი წლების მუშაობიდან მიღებული შედეგები ამ მიმართულებით მაინცა და მაინც ვერ იძლევიან დადებით ეფექტს მცირე გამონაკლისის გარდა. მართალია ტყეების ისეთი უთავბოლო გაჩეხვა, როგორც ამას წინად ჰქონდა ადგილი, ამჟამად საკმაოდ შემცირებულია, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ამ მხრივ ჩვენ ყველაფერი რიგზე გვქონდეს. პირველ ყოვლისა, ტყეების უთავბოლოდ და უგეგმოდ გაჩეხვას ხელს უწყობენ კერძო მოიჯარადრენი, რომლებიც ეწევიან ტყეების ექსპლოატაციას, ამა თუ იმ ორგანიზაციის დავალებით. მეორეს მხრივ, ვერ არის სათანადოთ დაყენებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დაცვის საქმე. როგორც ვიცით, ასეთი ტყეები საკმაო რაოდენობით არის გადაცემული მშრომელ გლეხობაზე და მათი მოვლა - პატრონობა მოუწესრიგებელია. ხშირად სჩადიან ბოროტებას აგრეთვე თვით ტყის მცველებიც, რომელთა შესახებ არა ერთი და ორი კორესპონდენცია მოსდის რედაქციას.

ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია ლაპარაკი ტყის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ ჩვენი სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

ამიტომ ყველა ზემოდ აღნიშნულ უარყოფითი მოვლენების აღმოფხვრას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. არ იქნება სამართლიანი ეს მოვალეობა მხოლოდ მიწადმოქმედების კომისარიატს და ადგილობრივ მის ორგანოებს დავაკისროთ. ტყის დაცვის საქმეში აქტიურად უნდა ჩაებან თემსაბჭოები და თემაღმასკომები. მათ ფხიზლად უნდა ადევნონ თვალი ტყეების მოვლა - პატრონობას და სასტიკად ებრძოლონ მის უთავბოლოდ გაჩეხვას. ამასთანავე ტყის დღესთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს ტყის ახალი ფართობ.ს მოშენების საქმესაც.

სოფლელი.

გლეხობის შემავიწროებელი მოურავი

(წერილი რაჭიდან)

მინა მაისურაძე საკმაოდ ცნობილია იმ გლეხებისათვის, ვისაც ქვედის აგარაკში უხდება ხე-ტყის დამზადება. ის გახლავთ სამხრეთ - ოსეთის სატყეოს ტყის მცველი. შეიძლება ერთი შეხედვით პატარა კაცად მოგეჩვენოთ, მაგრამ სინამდვილეში ის თავის უფლებებით თვით სატყეო განყოფილებაზედაც უფრო მაღლა დგას. განყოფილებების მიერ გაცემულ ხე-ტყის ბარათებს მაისურაძისთვის არავითარი ღირებულება არა აქვს და მასალას დააკავებს თუ გაუშვებს, ეს პირადათ მისი საქმეა. მაისურაძის სამოქმედო ასპარეზი ქვედრულაა. თვით აგარაკის ის ძალიან ძვირი სტუმარია. ჩამოივლის ხოლმე თოფით გვერდზე და ვაი იმას, ვისაც შეხვდება, სულ ერთია ბარათი ექნება თუ არა.

— მასალა დაკავებულია, განაცხადებს მაისურაძე და თან გლეხს ათვალიერებს, ჩამოეთლება რაიმე თუ არა.

— ჩვენ გვაქვს სატყეოდან ბარათები, ეუბნებიან გლეხები. მაგრამ განკარგულება გაცემულია და რა საჭიროა სიტყვის შებრუნება? გლეხებიც აწყობენ ქვედრულაზე მასალას და მიდიან შინ ხელცარიელი. ხოლო, ვინც გაიღებს მაისურაძის ჯიბისათვის ქრთამს, მისთვის გზაც ხსნილია. ასეთ ხალხს იგი თავისუფლად უშვებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც გლეხს ერთი და იგივე ბილეთით რამოდენიმეჯერ გამოაქვს ხე-ტყე. ასე მოიქცა მაგალითად ხე-ტყის ბარათის № 339-ის პატრონი.

სოფ. სომიწოს გლეხს (უღარიბესს) ნიკოფორე მეტრეველს მაისურაძემ დაუკავა მასალა იმ დროს, როდესაც ამ უკანასკნელს ხე-ტყის საჭირო ბარათი ჰქონდა. ასეთი შემთხვევები კი მრავალია.

პარასკეობით „ტყეების მოურავი" ეწვევა ხოლმე ქ. ონის სამიკიტნოებს და გლეხების ზურგზე ამძვრალი ფულით ხეირს აძლევს მიკიტანს.

ასეთ გასტროლების დროს, ღვინით გალეშილ მინას, არა ერთხელ „აწყენია" მილიციამ და მიაბრძანა სადაც საჭირო იყო.

ტყის მცველის ფორმაში გამოწყობილ „მოურავს" ხშირად თავი ძველი ოფიცერი ჰგონია და იერიში მიაქვს ხოლმე ქვედის დედრობითი სქესის წარმომადგენლებზე. მან ამას წინედაც ღირსეულად ჩაატარა „სამხედრო ოპერაცია" ქვედში №-ის ქალთან.

ადგილობრივ კედლის გაზეთში არა ერთხელ იქნა გამოქვეყნებული მისი საქმენი—საგმირონი, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია. როდემდის გაგრძელდება ასეთი მდგომარეობა?

ის—არი.

ტყეს ანადგურებენ

კურზუს თემი, სენაკის მაზრა

კურზუს თემის მიდამოები მდიდარია სხვა დასხვა ჯიშის ხე-ტყით. მათ შორის ყველაზე უფრო იშვიათი და ძვირფასია ბზის ხე. ბზა საექსპორტო საქონელია და მასზე დიდი მოთხოვნილება და ფასიცაა. გასულ წელს, კურზუს თემის აღმასკომმა 3.000 ფუთამდე ბზა მოსჭრა და დაამზადა, რომელიც გაყიდა სენაკის მრეწველობის ტრესტის საშუალებით.

წელსაც ხსენებულ თემის აღმასკომის თავმჯდომარე აქსენტი ბერულავამ მოინდომა ბზის დამზადება და ეს საქმე გადასცა კერძო მოიჯარადრეებს, რომლებიც სრულიად უგეგმოდ და უმოწყალოდ ანადგურებენ ასეთი ძვირფასი და სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეს, ჰრიან ბზის ხეებს ვანდალურად, ვარგა თუ არა ის, რაიმე მოსახმარად და შემდეგ გამოაქვთ მხოლოდ ის, რომელიც ძალიან გამოდგება, დანარჩენი კი რჩება უპატრონოდ.

ხსენებული ტყის გეგმიანი გამოყენებით შეიძლებოდა სისტემატიურად მიეღო საბჭოთა ხელისუფლებას, საექსპორტო საქონელი, როგორიც არის ძვირფასი ბზის ხე. ყველაფერი ეს ხდება სატყეო განყ. გამგის და მისი ტყის მცველების ცხვირ წინ, ალბათ ესენი შეგნებულად უვლიან გვერდს ამ საქმეს.

აგრეთვე ხსენებულ თემის აღმასკომის თავმჯდომარე აქსენტი ბერულავამ, რომელიც განთქმულია ასეთი ოპერაციების შესრულებაში, დაამზადა ცაცხვის ხიდან გობები, რომელიც სასტიკად აკრძალულია ტყის დაცვის მიზნით. ხსენებული გობები მან გაიტანა გასაყიდად ზუგდიდის ბაზარზე, სადაც ეს საქონელი ერთ - ერთ აღმასკომის მიერ იქნა დაკავებული. თუ რითი გათავდა შემდეგ ეს საქმე არ ვიცით, მაგრამ, ესეც დიდი დანაშაულია.

საჭიროა სათანადო ორგანოების მიერ სასწრაფო ზომების მიღება, რათა თავის დროზე აღკვეთილ იქნას ტყის ასე უმოწყალოდ განადგურება, ხოლო დამნაშავეთ მოეთხოვოთ სასტიკი პასუხი.

„ერგვა".

გაიძვერა მოიჯარადრე აღმასკომის მანდატით

ჩიბათის თემი, გურია

არა ერთხელ იყო მიღებული ზომები მოიჯარადრე კალისტე კუკულაძის შესახებ მისი გაიძვერული მუშაობის გამო, დაწესებულების სახელით. კუკულაძის სპეკულიანტობაზე წერილი გამოქვეყნდა გასულ წელს გაზ. „კომუნისტი"-ს ფურცლებზე, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია.

დღესაც კუკულაძე აწარმოებს შეშის შესყიდვას ჩიბათის თემაღმასკომის რწმუნებულის სახელით. ვაუბატონ კუკულაძემ ისარგებლა რწმუნებულის იარლიკით და თავი დაიძვრინა გასული წლის სახელმწიფო გადასახადიდან, როდესაც ის შეშით, ეწეოდა კერძო სპეკულიაციას. მის მიერ მოხდენილ ოპერაციების საერთო ბრუნვა დაახლოებით სამასი ათას მანეთს უდრიდა. მოიჯარადრე კუკულაძე არის კულაკი და საარჩევნო უფლებას მოკლებული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდანვე.

კუკულაძეს ჩიბათის თემაღმასკომის თავმჯდომარის მიერ მიმდინარე წლის მარტიდან მიღებული აქვს მოწმობა, რომ ის არის აღმასკომის რწმუნებული და ამ მოწმობით შესაფერისადაც სარგებლობს.

ნუ თუ დასაშვებია ძველი, გაიძვერა მოიჯარადრის აღჭურვა თემაღმასკომის რწმუნებულის მანდატით?

ვფიქრობთ საკონტროლო ორგანოები მიაქცევენ ამ გარემოებას ყურადღებას, მოიჯარადრე კუკულაძეს ჩამოართმევენ თემაღმასკომიდან მიღებულ მანდატს და სავსებით გააძევებენ რწმუნებულის თანამდებობიდან.

ზ—ძე.

„საქართველოს მუშ-გლეხკორი"
მუშ-გლეხკორების ორკვირეული ჟურნალი
თანახმად საქართველოს მუშ-გლეხკორთა პირველი თათბირის დადგენილებისა, მზადდება და ამ დღეებში გამოვა ჟურნალი
„საქართველოს მუშ-გლეხკორი"
გამომცემელნი: „კომუნისტი"-ს, „მუშა"-ს, „ახალი სოფელი"-ს, „რაბოჩაია პრავდა"-ს, „ახალგაზრდა კომუნისტი"-ს, „წითელ არმიელი"-ს, „მოჯამაგირის ხმა"-ს, „პროლეტარი"-ს, (სომხურ ენაზე) და „ენი ქენდი"-ს (თურქულ ენაზე) რედაქციები.
მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, კამოს ქ. № 68, „კომუნისტი"-ს რედაქცია, ჟურნალ „საქართველოს მუშ-გლეხკორი"-სათვის.
ჟურნალის თითო ნომერი ღირება 10 კაპ.
ადგილობრივ კედლის გაზეთების რედკოლეგიებს, რომლებიც იკისრებენ ჟურნალის გავრცელებას, ვთხოვთ შეგვატყობინონ, სად, ვის და რამდენი ეგზემპლიარი გავუგზავნოთ.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

დამატებითი მელიორატიული ფონდი

ა. კ. სახკომსაბჭომ მელიორატიული სამუშაოების გასაფართოებლად გამოყო დამატებითი ფონდი 400.000 მანეთის რაოდენობით. აღნიშნული თანხა გამოყენებული იქნება როგორც ძველ წყალ-საქაჩავების შესაკეთებლად, ისე ახალი წყალსაქაჩავების ასაგებად.

მრეწველობის საკონტროლო ციფრები

ა. კ. მრეწველობის საკონტროლო ციფრების შემუშავება 1929-30 წლისათვის და მისი გატარება სათანადო ინსტანციებში დაევალა ა. კ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს. რესპუბლიკანურ სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს წინადადება მიეცათ წარუდგინონ ა. კ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საჭირო მასალები.

ბრძოლა ბავშთა უპატრონობასთან

ბავშთა უპატრონობასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით ა. კ. სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო, რომ ბაქოში მოეწყოს შრომის კომუნა 16 და მეტ წლიან უპატრონო ბავშთათვის. რესპუბლიკანურ სახკომსაბჭოებს წინადადება მიეცათ შეიმუშაონ უპატრონო ბავშვების მოგროვების და აღნიშნულ კომუნაში გადაგზავნის წესები.

საქ. სახკომსაბჭოში

პასუხისმგებლობა სამინდე გადასახადის დარღვევისათვის

იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასკვნის თანახმად წინადადება მიეცა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს დააწესოს ადმინისტრატ. სასჯელი სამინდე გადასახადის შესახებ არსებული წესების დარღვევისათვის იმ წესით, რაც სისხლ. სამ. 212 მუხ. და საქართველოს ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 28-ს № 82 დადგენილებით არის გათვალისწინებული.

სააქციო საზ-ბა „საქართველოს ჩაი"-ს 1929 წ. საოპერაციო გეგმა

სახკომსაბჭომ და ეკონომსაბჭომ დაამტკიცა სააქციო საზ-ბა „საქართველოს ჩაი"-ს 1929 წ. საოპერაციო გეგმა, რაც ნაწილია შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ 1927 წ. აგვისტოს 19-ს დამტკიცებულ 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმისა და რაც ითვალისწინებს ჩაის პლანტაციების სივრცის აყვანას 20.000 ჰექტარამდე.

ხსენებული გეგმა საბოლოო დასკვნისათვის გადაეცა ა.-კავკასიის სახკომსაბჭოს.

წინადადება მიეცა საზ-ბა „საქართველოს ჩაი"-ს ჩაატაროს საოპერაციო წლის განმავლობაში ამომწურავი მუშაობა, როგორც კოლმეურნეობებში, ისე გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებში ჩაის პლანტაციების სივრცის ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მასვე დაევალა ზედმიწევნით დაამუშაოს კოლმეურნეობათათვის ადგილის ამორჩევისა და მათი რაოდენობის საკითხები.

1929 წ. საოპერაციო გეგმაში შეტანილ უნდა იქნეს აჭარისტანში და აგრეთვე სხვა რაიონებში ახალი საბჭოთა მეურნეობების მოწყობა.

ცხინვალის სარწყავი არხის შეკეთება

წინადადება მიეცა წყალთა მეურნეობის სამმართველოს აწარმოოს ცხინვალის სარწყავი არხის შეკეთება, როგორც თავის საშუალებებიდან, ისე შრომის ბეგარის წესით მოსახლეობის გამოყვანით.

შავი ზღვის ოლქში გლეხების გადამსახლებელ აპარატის შესანახი ხარჯთაღრიცხვა

შავი ზღვის ოლქში (სოჭის რაიონში) გადასასახლებელი კონტინგენტის შემრჩევი აპარატის ხარჯები დამტკიცებულია 14.977 მან. რაოდენობით.

საამშენებლო მასალების ეზოების მოწყობა

ს.ს.რ. კავშირის მ.-გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილების შესასრულებლად დაევალა სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას მოაწყოს თბილისში, ბათომში და ქუთაისში საამშენებლო მასალების ეზოები.

ადგილობრივი მრეწველობა

თბილისის აღმასკომის ადგილობრივ მრეწველობის განყოფილება მიმდინარე მე-3 კვარტალში, ადგილობრივ მრეწველობის გასაფართოვებლად დახარჯავს 427.000 მანეთს.

აქედან 110.000 მანეთი მოხმარდება აგურის ქარხნების რეკონსტრუქციის და მათი გაფართოების საქმეს, 82.000 მანეთი ქვანის აგურ-კრამიტის ქარხნის გადაკეთებას. გარდა ამისა, წელს აგებული იქნება გაჯის ახალი ქარხანა, რომელზედაც დაიხარჯება 100.000 მანეთი და კირის საწვავი ქარხანა ძეგვში. ამ უკანასკნელის მოსაწყობად გადადებულია 35.000 მანეთი.

წელს აგრეთვე განზრახულია დაიწყოს საუტილიზაციო ქარხნის აგება ქალაქის სასაკლაოსთან და მოეწყოს ტომატის ქარხანა მუხრანში. ამავე დროს იწარმოებს კვების კომბინატის წარმოებების გადაკეთება-გაფართოება.

სამხ. კოოპერაციის რწმუნებულთა კრება

8 აპრილს დამთავრდა სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოების რწმუნებულთა თბილისის სარაიონო კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნა საზოგადოების გამგეობის საანგარიშო მოხსენება წარსული მუშაობის შესახებ.

მოხსენების გარშემო გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, რომლითაც გამგეობას წინადადება ეძლევა არავითარ შემთხვევაში არ გაადიდოს წითელარმიელთა მოხმარების საგნების ფასები, თუნდაც ეს დაკავშირებული იქნეს ხარჯების ზრდასთან. გამგეობას ევალება აპარატის რაციონალიზაციის გზით შეამციროს ხარჯები, მიიღოს ზომები სამხედრო მოსამსახურეთა მთელი 100 პროცენტით კოოპერაციაში ჩასაბმელად, გააძლიეროს კულტმუშაობა წევრთა შორის და სხვა.

ა.-კ. სას.-სამ. კოოპერაციის თათბირი

მეოთხე სხდომა

თათბირის მეოთხე სხდომაზე 8 მაისს საღამოს მოსმენილი იქნა ამხ. ბობინინის და ვალტერის მოხსენებები, ა.-კ. სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. მოხსენებების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა და გამოირკვა, რომ საბოლოო გეგმის შედგენა თათბირზე შეუძლებელია. პერსპექტიული გეგმის პროექტი განსახილველად უნდა გადაეცეს სას.-სამ. კოოპერაციის რესპუბლიკანურ ცენტრებს, ხოლო მიმდინარე თათბირზე კი შემუშავებული უნდა იქნეს გეგმის ძირითადი საფუძვლები, რა მიზნითაც თათბირმა გამოყო სპეციალური კომისია.

შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხ. ი. წიწვაძის მოხსენება სოფლის მეურნეობის იარაღ-მანქანების მომარაგების გეგმის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამჟამად სახნავ - სათესი მიწების სივრცე მთელ ამიერკავკასიაში უდრის 2.133.000 ჰექტარს. სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმით 1930-31 წლისათვის სახნავ-სათესი მიწების სივრცე გადიდებული უნდა იქნეს 2.500.000 ჰექტარამდე.

ამჟამად ამიერ - კავკასიაში ირიცხება სულ 980 ტრაქტორი, რომლებიდანაც ნაწილი გამოუყენებულია არა სამიწად-მოქმედო მიზნებისათვის. სამი წლის განმავლობაში აღნიშნულ რაოდენობიდან ხმარებაში დარჩება არა უმეტეს 600 ტრაქტორისა, დანარჩენი რაოდენობა კი გამოვა ხმარებიდან. ამავე ხნის განმავლობაში გეგმის მიხედვით შემოზიდული იქნება 3.000 ახალი ტრაქტორი (ხუთი წლის განმავლობაში შემოზიდული უნდა იქნეს 5.000 ცალი) და 1930-31 წლისათვის ტრაქტორების საშუალებით დამუშავებული იქნება 300.000 ჰექტარი მიწა. დანარჩენ 2.200.000 ჰექტარ მიწის დასამუშავებლად საჭირო იქნება 239.350 გუთანი. ამჟამად ა.-კავკასიაში მუშაობს 80.000 გუთანი, რომლებიდანაც გაცვეთის გამო ნაწილი გამოვა ხმარებიდან. მომარაგების გეგმის თანახმად 1930-31 წლამდე ა.-კავკასიაში შემოზიდული იქნება 191.350 ახალი გუთანი. მთელი ეს იარაღ-მანქანები დამზადებული იქნება საბჭოთა კავშირის მრეწველობის მიერ.

მოხსენებას გარშემო გაიმართა კამათი.

გუშინ 9 მაისს სწარმოებდა კომისიების მუშაობა.

„ზაკსოიუზ"-ის საბჭოს მე-9 სესია

მესამე სხდომა

სესიის მესამე სხდომაზე, 9 მაისს დილით, სწარმოებდა კამათი ფასების მოძრაობის შესახებ. კამათში გამოსული ამხანაგები მთავარ ყურადღებას აქცევდნენ სასურსათო საგნების ფასების ზრდას. ამ საგნების ფასების ზრდა უმთავრესად გამოწვეულია დასამზადებელი ფასების ზრდით. სამომხმარებლო კოოპერაცია ყოველ ღონეს ხმარობს ფასების ზრდის შესაჩერებლად, რა მიზნითაც მინიმუმამდე ამცირებს თავის პროცენტულ დანარიცხებს. ზოგიერთ საქონელს სამომხმარებლო კოოპერაცია ყიდის უფრო დაბალ ფასებში, ვიდრე იძენს. საცალო ფასების ზრდის ერთ - ერთი მიზეზია, საქონლის დამზადების საქმის მოუწესრიგებლობა. ზოგიერთი საქონელი (მაგ., კარტოფილი) აქედან მიაქვთ აზერბეიჯანში, მაშინ, როდესაც იგივე საქონელი საქართველოს ბაზრისთვის მოაქვთ ჩრდილოეთ-კავკასიიდან.

აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ სასურსათო საგნების დამზადების რაიონები ხშირად სათანადოთ ვერ არიან შერჩეული. დამამზადებელი ორგანიზაციები ხშირად პატარა მიზეზის გამო არღვევენ დამზადების შესახებ დადებულ პირობას და ამისთვის მათ არ ედებათ არავითარი სასჯელი. ამ საკითხს აუცილებლად უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება და დამამზადებლებისთვის დაწესებული უნდა იქნეს სასტიკი პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში.

კამათის დამთავრების შემდეგ, არჩეული იქნა კომისია, რომელსაც დაევალა რეზოლიუციისა და პრაქტიკულ წინადადებათა შემუშავება.

მეოთხე სხდომა

სესიის მეოთხე სხდომაზე, 9 მაისს საღამოს, განხილული და დამტკიცებული იქნა ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა კოოპერაციაში გაერთიანებულ მოსახლეობის რაოდენობა და შესამჩნევად გაფართოვდა სამომხმარებლო კოოპერაციის მიწოდება-მომარაგების ფუნქციები, რაც მოითხოვს კოოპერაციის კვალიფიციურ მუშაკების დიდ კადრებს. ამიტომ პერსპექტიული გეგმა მთავარ ყურადღებას აქცევს კადრების მომზადებას.

ხუთი წლის დამლევისათვის კოოპერაციაში შეკავშირებული უნდა იქნეს პროფკავშირების წევრთა მთელი რაოდენობა, ქალთა მოსახლეობის 60 პროცენტი და სოფლის მეურნეობათა მთელი რაოდენობის 87 პროცენტი. მოჯამაგირეების და ღარიბ გლეხობის მთლიანად შეკავშირება უნდა დამთავრდეს უახლოეს ორი წლის განმავლობაში; მათ შესაკავშირებლად ფონდში 5 წლის განმავლობაში გადადებული იქნება 2.300.000 მანეთი. სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ქსელი გაფართოებული იქნება იმ ვარაუდით, რომ თითოეულ დუქანზე მოვიდეს სოფელში—338 მცხოვრები, ქალაქში კი 592. საქონლის ბრუნვა 1927—28 წელთან შედარებით გადიდებული იქნება საშუალოთ 270 პროცენტით. სავაჭრო მოგება 1927—28 წელთან შედარებით შემცირებული იქნება 0,20 პროცენტით. საცალო ფასები ხუთი წლის დამლევისათვის შემცირებული იქნება 20,1 პროცენტით. კულტმუშაობაზე და სავაჭრო-ორგანიზაციული აპარატის კვალიფიკაციის ამაღლებაზე დახარჯული იქნება 10 მილიონი მანეთი; გამოცემული იქნება 740 სხვადასხვა წიგნი, გამოშვებული იქნება 2 კინო ფილმი, მოწყობილი იქნება 213 კინო თეატრი და 655 რადიო-სადგური სამომხმარებლო კოოპერაციის სარეწავების პროდუქცია 1927—28 წელთან შედარებით გადიდებული იქნება 278 პროცენტით. კოოპერატიულ მშენებლობაზე (დუქნები, საწყობები და სხვ.) ხუთი წლის განმავლობაში დაიხარჯება 22.583.800 მანეთი. აქედან ნასესხები თანხა 18.442.000 მანეთი, საკუთარი — 4.141.800 მანეთი.

ხუთი წლის განმავლობაში ა. კ. სამომხმარებლო კოოპერაციის ბალანსი გაიზრდება 95.970.800 მანეთით.

სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემკეთებელ ბრიგადების მუშაობის შედეგები

(მეორე სხდომა)

მეორე სხდომაზე, გუშინ საღამოს, რკინის გზის სახელოსნო-საფაბრიკო სკოლის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მინდიაშვილმა. ამ ბრიგადამ ორი კვირის განმავლობაში სოფ. წნორის წყალში და წითელ წყაროში შეაკეთა 17 გუთანი, 1 ტრაქტორი, თავის მკონავი და სათესი მანქანები და სხვ. გარდა ამისა ბრიგადამ წითელ წყაროში კოლექტიურ მეურნეობას მოუწყო სამჭედლო და საზეინკლო.

შემდეგ სკოლის იმ მოწაფეთა მუშაობის შესახებ, რომელნიც მიმაგრებულნი იყვნენ ბრიგადებზე, მოხსენება გააკეთა იმავე სკოლის მოწაფემ ამხ. წირქვაძემ. მან კრებას გააცნო დაწვრილებით თვითეულ მოწაფის მიერ ჩატარებული მუშაობა, რის შემდეგაც შეეხო ადგილობრივ ორგანოების საქმიანობას. მან მოიყვანა ბევრი მაგალითი იმის შესახებ, თუ ზოგიერთი ადგილობრივი მუშაკი როგორ გულგრილათ ეპყრობა გლეხებს და ავიწროებს მათ. საბჭოებში და პარტიულ ორგანიზაციებში შეპარულნი არიან ბნელი წარსულის მქონე პირები და სახელს უტეხენ საბჭოთა ხელისუფლებას. მაგალითად, ქვენაკოცაში (გორის მაზრა) კომუჯრედის წევრს ტარიელ ხაჭაპურიძეს ტერორის ქვეშ ჰყავს არა მარტო გლეხობა, არამედ ყველა ადგილობრივი ორგანიზაციები. ის ყოფ. მემამულე და მევახშეა.

კავკასიის წითელდროშოვან არმიის მე—10 პოლკის ბრიგადების მუშაობის შესახებ მოხსენებები გააკეთეს ამხ. ნარიუნიმ, ლუგავოიმ და კირიჩენკომ. აღნიშნულ პოლკს ბრიგადები გაუგზავნია ლენინის სახელობის ახალშენში, საგარეჯოში და ლისში. ბრიგადებს „აღდგომის" უქმეებზე გლეხებისათვის შეუკეთებია როგორც სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ისე საოჯახო ნივთები. გარდა ამისა საგარეჯოში წითელ არმიელთა ბრიგადას ერთ ქვრივ ღარიბ ქალისათვის მთლიანად შეუკეთებია სახლი, რომელიც ინგრეოდა.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი..

როგორც კამათიდან გამოირკვა, ზოგიერთ თემებში საბჭოთა აპარატს კულაკები და ყოფ. თავად-აზნაურები იყენებენ თავიანთ სასარგებლოდ. მაგალითად, კავთისხევში თემსაბჭოს თავმჯდომარე ეხმარება კულაკებს და დახმარებას უწევს მათ. საბჭოში შეპარული ბნელი ელემენტები ფლანგავენ სახალხო ქონებას და ღარიბ გლეხებისათვის დასარიგებელ სესხს ინაწილებენ თავიანთ შორის. კავთისხევის კოოპერატივიდან თვითეულ მათგანს ნისიათ გატანილი აქვს 200—300 მანეთის საქონელი და არც ფიქრობენ გადახდას. გორის თემში სათესლე მასალას აძლევენ შეძლებულებს და კულაკებს. ღარიბებს არ აძლევენ იმიტომ, რომ ისინი ვერ შესძლებენ გადახდას.

სოფლებში იშვიათია აგრონომიული პუნქტები, რაც არის ისიც მოუწყობელია.მანქანების გამქირავებელ პუნქტებზე მანქანები მოუვლელობით გაფუჭებულია და სხვ. გლეხები თვითდაბეგვრის წესით სამუშაოდ გაყავთ სწორედ თესვის დროს.

კრების თავმჯდომარემ ამხ. ვ. მეიფარიანმა აღნიშნა, რომ ბრიგადების წევრების მიერ წარმოდგენილი მასალა და აღნუსხული მაგალითები შესაფერი ზომების მისაღებათ გადაეცემა სათანადო ორგანოებს.

საუკეთესოდ მომუშავე ბრიგადების დაჯილდოების საკითხი გადაეცა კომისიას.

გეოლოგიური ექსპედიციების მოწყობა

ს. მ. უ. ს. სამთო სამმართველოს გეგმის თანახმად, მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში მოწყობილი იქნება რამოდენიმე გეოლოგიური ექსპედიცია რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში აღმოჩენილ მადნების გამოსაკვლევათ. გეოლოგიური ექსპედიციების საერთო ხელმძღვანელად დანიშნულია გეოლოგი ლ. კონიუშევსკი. სულ მიმდინარე წლის განმავლობაში გეოლოგიური გამოკვლევები ჩატარებულ იქნება სამხრეთ - ოსეთში — ტყვია - ცინკის მადნების შესასწავლად; მუშაობას ჩაატარებს გამოყენებითი მინეროლოგიის ინსტიტუტის გეოლოგიური ექსპედიცია.

ელდარის ველზე იმუშავებს პროფ. [illegible] გაჩოვის და გეოლოგ გაბუნიას ხელმძღვანელობით შედგენილი ექსპედიცია ბიტუმის მადნების გამოსაკვლევად. გაგრის რაიონში მუშაობას ჩაატარებს საკავშირო გეოლოგიური კომიტეტის სპეციალისტთა პარტია ასფალტის მადნების შესასწავლად. ბარიტის ახალი ბუდობების გამოკვლევები ჩატარდება ლეჩხუმში და აფხაზეთში. სამუშაოთა ხელმძღვანელად დანიშნულია გეოლოგი ბეჟანიშვილი. დიატომიტის მადნების გამოსაკვლევათ იმუშავებს სპეციალური გეოლოგიური პარტია სოფ. ქესთიბის მიდამოებში (ახალციხის მაზრა) და სადგ. რიონის რაიონში (ქუთაისის მაზრა). ექსპედიციაში სამუშაოთ დანიშნული არიან გეოლოგი ქ. გაბუნია, ჯაოშვილი და ნიკოლაიშვილი.

გარდა ჩამოთვლილი მადნეულობისა, მიმდინარე წლის განმავლობაში ჩატარებული იქნება მინერალური საღებავების მადნეულობის (ოხრა) გლაუბერის მარილის მადნების და სახურავი ფიქალის ბუდობების გამოკვლევა.

ყველა ხარჯების დასაფარავად და ექსპედიციებისათვის საჭირო ტეხნიკური მოწყობილობის შესაძენათ გადადებულია 200.000 მანეთი. ზოგიერთი სამუშაოების შესასრულებლათ მუშაობა უკვე დაწყებულია.

ცოტა რამ ფშავ-ხევსურეთზე

ფშავ-ხევსურეთი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მოწყვეტილია ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცენტრს და ეს არის ერთი იმის მიზეზთაგანი, რომ ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობა სავსებით ჩამორჩა საერთო განვითარებას, წინსვლას და სწავლა-განათლების გზას.

ფშავ-ხევსურების აზრით სწავლა-განათლების მიღება, ეკონომიური აღორძინება შეუძლებელია უგზოობით. გზა მათი აზრით ყველაფერს ნიშნავს და ცხადია, რომ ისინი ამ მხრივ სრულიად მართალი არიან. მათი მოთხოვნილება კანონიერია. მიუხედავად იმისა, რომ გზის გაყვანა უკვე კარგა ხანია დაწყებულია, მათ მაინც არ სჯერათ გზის ფშავ-ხევსურეთამდე გაყვანა.

უგზოობით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ფშავ-ხევსურეთში დღეს თითქმის არაფერი კეთდება — როგორც პარტიული ხაზით, ისე საერთო კულტურის მხრივაც. მაგალითად, იქ არ არსებობს არც კომუჯრედი, არც სოფლის კოლექტივი, არც შესაფერ დონეზე მდგარი სკოლა და სამკითხველო.

მართალია, ფშავ-ხევსურეთი ზაფხულობით ბევრს გაახსენდება, მაგრამ არა საქმისათვის, არამედ უბრალო, საექსკურსიო მიზნით. დროა ფშავ-ხევსურეთს სათანადო ყურადღება მიექცეს, ხოლო პირველ რიგში კი დაჩქარებულ იქნას დაწყებული გზის გაყვანა.

ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობის უმრავლესობა შესდგება ღარიბი და საშუალო გლეხებისაგან. შეძლებული გლეხობა ფშავ-ხევსურეთში მეტად უმნიშვნელო პროცენტს წარმოადგენს. არც კლასობრივი ბრძოლაა ისე გამწვავებული ფშავ-ხევსურეთში, როგორც ჩვენი ქვეყნის დანარჩენ კუთხეებში.

ძველად ფშავ-ხევსურები თოფ-იარაღის ხმარებაში იყვნენ მამაცები, დღეს კი მათ უკვე შეიგნეს სწავლა-განათლების მნიშვნელობა. ამიტომაა, რომ დღეს ისინი აქტიურად მიისწრაფვიან სწავლა-განათლებისაკენ, რაც უსათუოდ თავდებია ფშავ-ხევსურების კარგი მომავლის. ახლა ჩვენ ხშირათ ვხვდებით ხევსურეთის ზოგიერთ კუთხეს, საიდანაც ხევსური ახალგაზრდობა ელტვის სწავლა-განათლებას. ეს განსაკუთრებით ითქმის არხოტის თემზე, რომლიდანაც დღეს ბევრი ახალგაზრდა ქალი და ვაჟი სწავლობს თბილისის სხვადასხვა სასწავლებელში. ამ მხრივ ენერგიულ მუშაობას ეწევა ადგილობრივი მასწავლებელი ალექსი ოჩიაური, რომელიც ენერგიულად მოუწოდებს ფშავ-ხევსურეთის ახალგაზრდობას სწავლა-განათლებისაკენ. არხოტის თემი უკვე დაიძრა გაყინულ წერტილიდან—სინათლისაკენ. ხოლო რაც შეეხება ხევსურეთის დანარჩენ თემებს, როგორიცაა შატილის, ბარისახოს და ბაცალიგოს—იქ სულ სხვაგვარი მდგომარეობაა სწავლა-განათლების მხრივ. ამ სამი თემის მოსახლეობაში ჯერ კიდევ არ არის გაღვიძებული სწავლის სურვილი და ის ისევ ძველი დროის გაყინულ წერტილზე სდგას. აქაურ ხევსურეთის მდგომარეობა უფრო უნუგეშოა გონებრივ ჩამორჩენილობის მხრივ, ვიდრე არხოტის თემის ხევსურების.

ფშავ-ხევსურები ჩამორჩენილნი არა მარტო სწავლა-განათლების მხრივ, არამედ ეკონომიურადაც დიდ სივიწროვეს განიცდიან. ისინი შედარებით ღარიბია მოსავლიანი ადგილებით, რის გამო საკმაოდ ვერ მოჰყავთ საზრდო. მათ მთიან ადგილებში მხოლოდ ქერი და ჭვავი მოდის, რომელიც ხშირად სეტყვისაგან ნადგურდება. ამის გამო ფშავ-ხევსურებს შიმშილობაც არა ერთხელ განუცდიათ. ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ამ ბუნებრივ სტიქიის პატივსაცემად ხევსურები უქმობენ ორშაბათ დღეს, რომელიც ფშავის ზოგიერთ სოფელშიაც არის წესად შემოღებული.

ხევსურეთის ერთად-ერთ სიმდიდრეს შეიცავს რძის ნაწარმოები—ერბო, რომელიც განთქმულია თავისი საუკეთესო ხარისხით. ფშავში კი უფრო მატყლისა და ყველის ნაწარმოებია, რომლითაც ფშაველები უფრო მდიდარია, ვიდრე ხევსურები. ფშავ-ხევსურების საცხოვრებელი სახლები სავსებით პრიმიტიულია, ისინი ცხოვრობენ პირდაპირ ანტიჰიგიენურ პირობებში.

ფშავ-ხევსურების მრავალ მავნე ზნე-ჩვეულებათა შორის ყველაზე უფრო გამანადგურებელია ლოთობა. ისინი ყოველ კვირაში ხდიან არაყს, ყოველ თვეში ადუღებენ ლუდს, რომელსაც ორი-სამი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ შეექცევიან. ეს იმიტომ ხდება, რომ ფშავ-ხევსურებმა არაფერი იციან ალკოჰოლის გამანადგურებელი მავნებლობის შესახებ. ესაა იმის მთავარი მიზეზი, რომ მათი სახეები არ გამოიყურებიან ისე, როგორც ეს შეეფერება ნამდვილ მთის შვილებს. ჩვენ არა ერთხელ გვქონია საუბარი ფშავ-ხევსურებთან ალკოჰოლიზმის მავნებლობის შესახებ.

ამიტომ ყოველ ხევსურმა და ფშაველმა უნდა შეიგნონ ლოთობის გამანადგურებელი თვისება, ებრძოლოს ამ მავნე ჩვეულებას. ამასთან ერთად აუცილებლად საჭიროა ფშავ-ხევსურეთს უფრო მეტი ყურადღება მიექცეს და იქ სამუშაოდ გაიგზავნონ გამოცდილი და ენერგიული მუშაკები როგორც კულტურულ, ისე ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

ექ. გიორგი თედორაძე.

საქ. უნივერსიტეტში

საზაფხულო სესია

გუშინ, სახელმწიფო უნივერსიტეტში დამთავრდა მეცადინეობა. დღეიდან იწყება საზაფხულო საგამოცდო სესია, რომელიც გასტანს 1 თვეს.

სტუდენტები კურორტებზე

წელს ავადმყოფ სტუდენტების გასაგზავნათ კურორტებზე, უნივერსიტეტის კლინიკასთან დაარსებულია გადამრჩევი კომისია, რომელიც იმუშავებს 10 ივლისამდე.

პრაქტიკაზე

დაიწყო სტუდენტების შერჩევა პრაქტიკაზე გასაგზავნათ. პრაქტიკაზე სტუდენტები გაიგზავნებიან როგორც საქართველოს, ისე ამიერ - კავკასიის და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების წარმოებებში.

ახალი ლაბორატორიები

აგრონომიულ ფაკულტეტთან დამთავრდა 2 ახალი ლაბორატორიის მოწყობა.

ქუთაისი

საბჭოთა აპარატის წმენდა

ქუთაისი, 8 მაისი. მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულმა გამოიკვლია ქუთაისის გამსახლი. გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ გამსახლის აპარატში მოკალათებულნი იყვნენ ანტისაბჭოთა ელემენტები. გამოკვლევის შემდეგ სამსახურიდან მოხსნილ იქნა შვიდი კაცი. მათ შორის — ყოფილი პოლიციელი, მევახშე და ის თანამშრომლები, რომლებიც სისტემატიურად ლოთობდნენ და ქუჩებში უწესოებას ახდენდნენ. (ადს)

თბ. პროლეტარიატის პროტესტი

გერმანიის სოციალ-ფაშისტების წინააღმდეგ

თბილისის მუშები მხურვალეთ ესალმებიან ბერლინის გმირულ პროლეტარიატს

სტალინის სახელობის ქარხანაში

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა რა ამხ. ბოგდანოვის მოხსენება გერმანიაში პირველ მაისს მომხდარ ამბების შესახებ. მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია შემდეგი:

„ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონების შემკეთებელი ქარხნის მუშები გამოვსთქვამთ ღრმა აღშფოთებას სოციალ - დემოკრატების დერჟიმორდთა და პოლიციის საზიზღარი მოქმედების გამო. გერმანიის სოციალ - დემოკრატებმა მთლიანად გაამართლეს მათზე დამყარებული ბურჟუაზიის იმედები. დაე იცოდნენ სოციალ-დემოკრატებმა, რომ გერმანიის პროლეტარიატს რევოლიუციონურ ბრძოლაში ვერ შეაშინებს ვერავითარი ჯავშნოსან - ტყვიამფრქვევლები. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ გერმანიის პროლეტარიატის მიერ პირველ მაისს კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ დაწყებული ბრძოლა მიაღწევს საბოლოო გამარჯვებას. ზიზღს უცხადებთ გერმანიის სოციალ - დემოკრატებს პროლეტარიატის ასეთი გამასპინძლებისათვის და ვესალმებით ბერლინის ბარიკადებზე გმირულად მებრძოლებს".

ზეთის სახდელ ქარხნის მუშების ხმა

გუშინ მუშაობის დამთავრების შემდეგ ზეთის სახდელი ქარხნის ეზოში შესდგა ამავე ქარხნის მუშათა სახელდახელო მიტინგი. მიტინგზე გერმანიაში საპირველმაისო დემონსტრაციის დროს მომხდარ სისხლის მღვრელ შეტაკების შესახებ მოკლე მოხსენება გააკეთა ამხ. ზარზარიანმა, რომელმაც გააცნო მუშებს გერმანიის პროლეტარიატის გმირული ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ საპირველმაისო დემონსტრაცია გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში და განსაკუთრებით კი ბერლინში, გადაიქცა ნამდვილ სამოქალაქო ომად. პოლიციამ არ დაინდო უიარაღო ხალხი და ტყვიით გაუმასპინძლდა დემონსტრაციაზე გამოსულ პროლეტარიატს. გერმანიის ფაშისტურმა პოლიციამ და მასთან ერთად სოციალ - დემოკრატიამ კიდევ ერთხელ დაიბანა ხელები გერმანიის პროლეტარიატის სისხლში, მაგრამ პროლეტარიატი არ შედრკება. ის დღეს თუ ხვალ შესძლებს გმირული ბრძოლით დაამხოს ბურჟუაზიული ხელისუფლება და დაამყაროს პროლეტარულ მართვა-გამგეობა.

მიტინგზე გამოვიდა რამდენიმე მუშა, რომლებმაც დაახასიათეს გერმანიის პოლიციის საზიზღარი მოქმედება.

დასასრულ, მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ზეთის სახდელი ქარხნის მუშები სასტიკ პროტესტს აცხადებენ გერმანიის ფაშისტური პოლიციის საზიზღარი მოქმედების წინააღმდეგ. — გერმანიის პროლეტარიატის ამ ბრძოლით, —ნათქვამია რეზოლიუციაში, კიდევ ერთხელ დარწმუნდა მსოფლიო მუშათა კლასი, რომ სოციალ-დემოკრატია არა თუ არ იბრძვის რევოლიუციისათვის, არამედ ის ყოველგვარ საშუალებას ხმარობს პროლეტარიატის დასამარცხებლად. ჩვენ, თბილისის ზეთის სახდელი ქარხნის მუშები, მივესალმებით გერმანიის პროლეტარიატს და ვუსურვებთ მომავალში უფრო მედგარ ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს გერმანიის პროლეტარიატს!

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

26 კომუნარის სახელობის ქარხანაში

გუშინ ნაშუადღევს შესდგა 26 კომუნარის სახელობის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კრება, რომელზედაც გერმანიაში პირველ მაისს მომხდარ ამბების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ორლოვმა.

მოხსენების ირგვლივ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია შემდეგი:

„26 კომუნარის სახელობის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კრება აღნიშნავს რა გერმანიის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას გერმანიის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, გამოსთქვამს აღშფოთებას და ზიზღს ბურჟუაზიის ლაქიების, პროლეტარიატის გამცემლების — სოციალ-დემოკრატების მიმართ. სოციალ-დემოკრატებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავიანთი გამცემლობა და მუშათა მასების წინააღმდეგ გაილაშქრეს ტყვიებით, ტყვიამფრქვევებით და ბომბებით. პირველი მაისის ბარიკადები ბერლინში, მუშათა სისხლით შეღებილი ქუჩები, გმირული სიკვდილი პროლეტარიატის საუკეთესო შვილებისა — თავდებია გერმანიის პროლეტარიატის ძლევამოსილი ბრძოლისა.

ჩვენ ერთხმად უერთებთ ჩვენს პროტესტს საბჭოთა კავშირის და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის პროტესტს და მოუწოდებთ გერმანიის მუშათა კლასს — დაეხმაროს პროლეტარიატის საუკეთესო შვილებს გააფთრებულ ბრძოლაში ბურჟუაზიისა და სოციალ - დემოკრატების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის დროს გერმანიის კომუნისტური პარტიის რიგები უფრო მეტად უნდა შეივსოს მშრომელთა ფართე მასებით.

ტრამვაის მუშების პროტესტი

გუშინ, 9 მაისს, მუშაობის დამთავრების შემდეგ, შესდგა ტრამვაის სახელოსნოების და მოძრაობის დარგის მუშათა მიტინგი, რომელზედაც გერმანიაში მომხდარ ამბების შესახებ მოკლე ინფორმაციული მოხსენება გააკეთა ამხ. შელიამ. მომხსენებელმა გააცნო მიტინგს კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ბურჟუაზიულ ქვეყნებში და აღნიშნა, რომ პირველ მაისის დღესასწაულის დროს გერმანიის სხვადასხვა ქალაქების და, განსაკუთრებით კი ბერლინის ქუჩები მოირწყო პოლიციის მიერ დახვრეტილ პროლეტარების სისხლით. გერმანიის პოლიცია, სოციალ - დემოკრატიის ხელმძღვანელობით ტყვიებით გაუმასპინძლდა დემონსტრაციაზე გამოსულ უიარაღო მუშებს.

მოხსენების ირგვლივ მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია შემდეგი:

„ჩვენ, თბილისის ტრამვაის მუშები სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ მსოფლიო ბურჟუაზიის და განსაკუთრებით კი გერმანიის ფაშისტური სოც. - დემოკრატიის საზიზღარ მოქმედების გამო. ჩვენ, მუშები, ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ სოციალ - დემოკრატია მოსისხლე მტერია მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციისა. დარწმუნებული ვართ, რომ გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლა ფუჭად არ ჩაივლის და, ახლო მომავალში გერმანიის მუშები დაამხობენ ბურჟუაზიულ - ფაშისტურ ხელისუფლებას და ააფრიალებენ პროლეტარულ დროშას.

ჩვენი ძმური სალამი გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატს.

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას".

აღმშენებლობა აფხაზეთში

მიმდინარე საამშენებლო სეზონში აფხაზეთში ჩატარებული იქნება შემდეგი სამუშაოები: განათლების კომისარიატი შეაკეთებს 10 სასოფლო სკოლას. გარდა ამისა განზრახულია სახელმწიფო მუზეუმის შენობის შეკეთება-გაფართოება.

ჯანმრთელობის კომისარიატმა შეიმუშავა სამკურნალო დაწესებულებების შენობების მშენებლობის გეგმა, რომლის მიხედვით წელს დაიწყება საავადმყოფოების აგება ტყვარჩელში და ოჩემჩირეში და დამთავრებული იქნება გალის საავადმყოფოს აგება, რომელიც დაიწყო გასულ წელს.

აგრეთვე საერთო მშენებლობის ძირითად გეგმით სამაზრო აღმასკომები ჩაატარებენ კომუნალურ შენობების საფუძვლიან შეკეთებას.

წელს სოხუმის აღმასკომი დაამთავრებს წყალსადენის გაყვანას, ააგებს მუშათა ახალ სამსართულიან სახლს, შეაკეთებს ქუჩებს, ხიდებს და სხვ.

გაგრის აღმასკომი აგებს სამ საცხოვრებელ ბარაკს და ამასთანავე საფუძვლიანად შეაკეთებს კანალიზაციას და წყალსადენს.

განზრახულია წელს აგებული იქნეს აბანოები გაგრასა და გალში.

კოდორის აღმასკომი შეუდგა დახურულ ბაზრისა და სასტუმროს აგებას.

სამრეწველო მშენებლობის დარგში ჩატარებული იქნება შემდეგი სამუშაოები: აგებული იქნება აგურის ქარხნები სოხუმში, გუდაუთში, ოჩემჩირეში და გალში. საუტილიზაციო ქარხანა ფსირცხაში, წისქვილი ოჩემჩირეში და კირის საწვავი ქარხნები გაგრასა და სოხუმის ახლო.

დაწყებულია კოდორში ახალი ხე-ტყის საზერხი ქარხნის მოწყობა და გაგრის ხე-ტყის ქარხნის რეკონსტრუქცია. აფხაზეთის „სახელმწიფო ვაჭრობა" ახლო ხანში დაამთავრებს სოხუმში პურის საცხობ ქარხნის აგების გეგმის შემუშავებას. მის მიერვე წელს აგებული იქნება ტყავის ორი ქარხანა.

აგრეთვე განზრახულია თამბაქოს ახალი საწყობების აგება ადგილებზე.

წითელ ჯარში

ახალწვეულთა სამთვიან შეკრებისათვის

1906 წელში დაბადებულ ახალწვეულ ცვალებად წითელარმიელთა სამთვიანი შეკრება დაიწყება მიმდინარე წლის 20 მაისიდან და ჩატარდება ტერიტორიალური დივიზიის საზაფხულო ბანაკში (ავჭალაში), რომლის მოწყობა ამ დღისათვის იქნება დამთავრებული.

ავჭალის ბანაკში 20 მაისისათვის თავს მოიყრიან ტერიტორიალური დივიზიის ყველა ნაწილები და ცალკე ერთეულები.

შეკრებაზე გაწვეულ ახალწვეულებს შეკრების განმავლობაში შეენახება ადგილი სამსახურში.

ახალწვეულები შეკრების დროს არ მიიღებენ ჯამაგირს სამსახურის ადგილიდან. მხოლოდ გაწვევის წინ მათ მიეცემათ ერთდროული დახმარება თვიური ხელფასის ნახევრის რაოდენობით.

შეკრებაზე გაწვეულ უმუშევართა ოჯახები, რომლებიც იმყოფებიან სოციალურ უზრუნველყოფაზე, მიიღებენ დამატებით დახმარებას, გათვალისწინებულს შრომის კოდექსის 183 და 184 მუხლებით.

სამხედრო - საზღვაო საქმეთა სახ. კომისარიატის განმარტების თანახმად, სამთვიან შეკრებიდან, როგორც წესი, არავინ არ იქნება განთავისუფლებული.

ის ახალწვეულები, რომლებიც საპატიო მიზეზის გარეშე არ გამოცხადდებიან შეკრებაზე, ან გამოცხადდებიან დაგვიანებით, მიცემული იქნებიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის ძალით.

ახალწვეული ცვალებადი შემადგენლობის წითელარმიელები, რომლებიც დაბადებული არიან 1906 წელს და მიეწერენ ამხ. ფრუნზეს სახელობის მე[illegible] ქართულ საარტილერიო ლეგიონს და საარტილერიო პარკს, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ სამთვიან შეკრებაზე საღამოს 6 საათზე, შემდეგ რიცხვებში: თბილისის რაიონში — კლარა ცეტკინის ქ. № 119, 19 მაისს, ქუთაისის რაიონში — ქუთაისის სამაზრო სამხედრო კომისარიატში, 18 მაისს, ხონის რაიონში — ხონის სამოსწავლო წერტზე, 18 მაისს, სამტრედიის რაიონში — სამტრედიის სამოსწავლო წერტზე, 18 მაისს, ასურეთის რაიონში — ასურეთის აღმასკომში, 18 მაისს, აღბულაღის რაიონში — აღბულაღის აღმასკომში 18 მაისს, და მანგლისის რაიონში — მანგლისის აღმასკომში 18 მაისს.

ვინც შეკრებაზე არ გამოცხადდება დანიშნულ დროს, მიცემული იქნება პასუხისგებაში.

თადარიგის მეთაურთა გადამზადება.

მიმდინარე წლის 20 მაისიდან კავკასიის წითელდროშოვან არმიის ნაწილებში ჩატარებული იქნება თადარიგის მეთაურთა გადამზადება სამოსწავლო შეკრების სახით.

შეკრებაზე გაიწვევიან თადარიგში მყოფი ის მეთაურები, რომლებიც გასულ წლებში არ ყოფილან გაწვეულნი გადამზადებაზე.

მეთაურთა შეკრება გაგრძელდება 45 დღეს.

შეკრებაზე გაწვეული უმუშევარი მეთაურები შეკრების განმავლობაში მიიღებენ დღიურებს, საშუალოდ 120 მანეთს თვეში.

თადარიგის ის მეთაურები, რომლებიც იმყოფებიან სამსახურში და რომელთა ჯამაგირი ნაკლებია ოცეულის მეთაურის ჯამაგირზე, მიიღებენ განსხვავებას.

ამასთანავე, შეკრებაზე გაწვეულ მეთაურებს ენახება ადგილი სამსახურში.

თადარიგის ის მეთაურები, რომლებიც წარმატებით გაივლიან სამოსწავლო შეკრებას, ისარგებლებენ მთელ რიგ შეღავათებით.

უმუშევარი თადარიგის მეთაურები მთავრობის კომისიის მიერ გაგზავნილი იქნებიან სამუშაოდ სამოქალაქო დაწესებულებებში, მეორე რიგში.

ტერიტორიალური დივიზიის საზაფხულო ბანაკი

კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის სამხედრო - რევოლიუციონურმა საბჭომ მიმართა მოწოდებით ამხ. ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართ. მსრ. დივიზიის წითელ არმიელებს, მეთაურებს და პოლიტმუშაკებს, ხელი შეუწყონ მათ ტერიტორიალური დივიზიის ბანაკის აგების და მოწყობის საქმეს.

მოწოდებაში ნათქვამია, რომ საკუთარი ბანაკის უქონლობა დიდათ აფერხებდა წითელარმიელთა სწავლებას და მათ სამხედრო მომზადებას. მიუხედავად ამისა, დივიზიამ მაინც შესძლო მრავალი დაბრკოლებების დაძლევა და გასული წლის საერთო შეკრების დროს დაიმსახურა სამხ. - რევოლ. საბჭოს მადლობა. საკუთარ ბანაკში დივიზიას ექნება საშუალება უფრო განამტკიცოს და გააღრმავოს გასულ წლებში მიღებული სამხედრო ცოდნა.

მოწოდებაში აგრეთვე ნათქვამია, რომ მომავალი წლიდან ბანაკად მოწყობილი იქნება სპეციალური უბანი მეთაურებისათვის, რათა ამ უკანასკნელებს ჰქონდეთ შეძლება, აცხოვრონ მუდმივად ოჯახებით თავის ნაწილებთან ახლო.

სამხედრო - რევოლიუციონური საბჭო თავის მოწოდებაში გამოსთქვამს რწმენას, რომ დივიზიის მთელი შემადგენლობის დაუღალავი შრომით და საქართველოს მუშების დახმარებით ბანაკი მზად იქნება 20 მაისისათვის — ახალწვეულ ცვალებად წითელარმიელების შეკრების პირველ დღისათვის.

სამხ.-რევ. საბჭოს სახელით აღნიშნულ მოწოდებას ხელს აწერენ არმიის სარდალი ამხ. ავქსენტიევსკი და ამხ. შ. ელიავა.

ქრონიკა

ინდუსტრიალიზაციის 1-ლ სესხის მე-7 ტირაჟი

20, 21 და 22 მაისს ქ. გროზნოში გაიმართება ინდუსტრიალიზაციის 1-ლი სესხის მე-7 ტირაჟი.

საკონკურსო გეგმების გამოფენა

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება ინჟენერთა დარბაზში (მუშათა სასახლე) აწყობს ფეიქართა კავშირის კლუბის (ქ. ოზურგეთში) საკონკურსო გეგმარების მეორე გამოფენას.

გამოფენა ღია იქნება შაბათს, 11 მაისს საღ. 5-დან 10 საათამდე და კვირას, 12 მაისს დილის 10-დან 3 საათამდე და საღ. 5-დან 10 საათამდე.

ორშაბათს, 13 მაისს, საღ. 6 საათზე შესდგება საკლუბო მშენებლობის კომიტეტის საჯარო სხდომა, რომელზედაც გამოცხადებული იქნება ჟიურის გადაწყვეტილება ჯილდოს მინიჭების შესახებ.

სკოლის ტიპიური შენობები

თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიამ დაამტკიცა სკოლის ტიპიური შენობების გეგმა. გეგმის მიხედვით მაზრაში სკოლების ახალი შენობები აგებული იქნება 5 სასწავლო ოთახით, მასწავლებელთა და დარაჯის ბინებით. ოთახებს ექნება ფართო მაღალი ფანჯრები, რომ კარგ ამინდში შესაძლებელი იქნეს სუფთა ჰაერზე მეცადინეობა. სკოლას ექნება 700 — 800 კვ. მეტრი ეზო, სადაც მოეწყობა ბაღი, ბოსტანი, ფიზკულტურის მოედანი და სხვ.

მანუფაქტურა

მიმდინარე სამეურნეო წლის მე-3 კვარტალში საქართველოში შემოტანილი იქნება 156 ვაგონი სხვადასხვა ფართალეულობა. აქედან თბილისისათვის მუშკოოპს მიეცემა — 18 ვაგონი, სამხედრო კოოპერაციას — 4 ნახ. ვაგონი, „ტექსტილტორგს“ — 8 ნახ. ვაგ., სატრანსპორტო - სამომხმარებლო კოოპერაციას —10 ნახ. ვაგ. და სახელმწიფო ვაჭრობას — 4 ნახ. ვაგ., ცეკავშირს სამაზრო ქალაქებისა და სოფლისათვის — 70 ვაგონი.

მეაბრეშუმეობის რაიონებში განაწილებული იქნება 17 ვაგონი, მეცხვარეობის რაიონებში — 9 და მებამბეობის რაიონებში — 2 ვაგონი ფართალი.

საქ. პროფკავშირების მუშაკების გადაყვანა ა.-კ. პროფსაბჭოში

გუშინ შესდგა საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც დაადგინა ა.-კ. პროფსაბჭოში სამუშაოდ საქართველოს პროფკავშირებიდან წამოყენებული იქნენ: ამხ. **ნიკიტინი** (მბეჭდავთა კავშირის თავმჯდომარე), **დემეტრაშვილი** (ხეზე მომუშავეთა კავშირის თავმჯდომარე), **ფეოდოროვი** (საქ. პროფსაბჭოს ინსტრუქტორი) და **ფრუიძე** (ტრანსპორტელთა კავშირის სატარიფო-ეკონომიური განყოფილების გამგე).

მუშკორების საგზაო თათბირი

20 მაისისათვის თბილისში მოწვეულია ა.-კ. რკინისგზის მუშკორების საგზაო თათბირი.

თათბირი გაიხსნება ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში.

ნაოსნობის გაერთიანებული მმართველობა

მდ. მტკვარსა, რიონსა და სევანის ტბაზე ნაოსნობის მოწესრიგებისა და გაუმჯობესებისათვის განზრახულია ნაოსნობის ცენტრალური მმართველობის მოწყობა. გაერთიანების ვარიანტი ითვალისწინებს ორ შესაძლებლობას: ამიერ - კავკასიის მდინარეებზე ნაოსნობის განსაკუთრებული ცენტრალური სამმართველოს ორგანიზაციას ან მთელი საქმის გადაცემას კასპიის ზღვის სანაოსნო საზოგადოებისათვის. საკითხს საბოლოოდ გადასწყვეტს ამიერ-კავკასიის მთავრობა.

თბ. აღმასკომში

◆ **ლომბარდის მუშაობის** გასაფართოებლად და ახალი განყოფილების გასახსნელად თბ. აღმასკომმა სახელმწიფო ბანკიდან სესხათ გამოითხოვა 100.000 მან.

◆ **საიჯარო - საბინაო კოოპერატიულ** ამხ-ების განკარგულებაში გადაცემულ სახლების მდგომარეობის შესასწავლად აღმასკომმა გამოჰყო ცალკე კომისია.

სხვადასხვა

◆ **მინდვრის მავნებლებთან** ბრძოლის შესასწავლი კურსები, რომელიც მოწყობილი იყო ავიაქიმის საზ-ბის მიერ, უკვე დაამთავრა 30 კაცმა. კურსდამთავრებულები გაიგზავნენ მაზრებში.

◆ **ხალიჩების დამზადების საქმეზე** წელს საქართველოში დაიხარჯება 88.741 მან.

◆ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო: სეზმან ერთაწმინდელის „პარად - ალლე“, (ლექსები), გვ. 40, ფასი — 30 კაპ.; ალ. ჩხეიძის — „წერილი დასავლეთის პროლეტარიატს“, გვ. 30, ფ. 25 კაპ.

◆ **პარასკევს, მაისის 10-ს საღ. 7 ს.** სახ. უნ-ტის გეოლოგიურ კაბინეტის აუდიტორიაში შესდგება საქ. გეოლოგიური ინსტიტუტის საჯარო სხდომა. მოხსენებას წაიკითხავს პროფ. ალ. ჯანელიძე: „ქუთაისში რიონჰესის სამუშაოზე აღმოჩენილ ,გვირაბის შესახებ“.

◆ **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** კვირას, 12 მაისს, დღის 12 საათზე, თბილისის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში (კამოს ქ. № 70) შესდგება საქართ. ტეხნიკური საზოგადოების კრება, რომელზედაც წაკითხული იქნება ამხ. ლ. ჩიჯავაძის მოხსენება: „რკინა - ბეტონის შპალები და მათი დამუშავების ახალი გზები“.

◆ **პარასკევს, მაისის 10-ს,** საღამოს 7 საათზე, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივ კრებაზე წაიკითხავენ მოხსენებას: ა) დოცენტი ლ. მელიქსეთბეგი — „ვარძიისა და ხუნანის ეთიმოლოგიისათვის“ და ბ) აპ. როგავა — „ახლად აღმოჩენილი ანტონ კათალიკოზის ნაწარმოები: „სპეკალი“. კრება საჯაროა.

◆ **ჩაუბარეს. დეპეშები.** ბილა ცერკოვიდან — ჩერკასსკის, აშხაბადიდან—რობაქიძეს, ბალტიიდან — პოლეტაევისას, სოჭიდან — მიმინაშვილს, ლობნიდან — პეტროსიანს, ახალ - სენაკიდან მაისაიას, ლენინაკანიდან — ოსეპიანს.

ხელოვნება

პროფკავშირის მონაწილეობა თეატრების მუშაობაში

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების ცნობით, პროფკავშირების მონაწილეობა თბილისის თეატრების მუშაობაში გამოიხატება შემდეგში:

მუშათა თეატრში შეძენილი იყო 23 მიზნობრივი წარმოდგენა, ამას გარდა მუშათა ზოლის სალაროს საშუალებით ბილეთები იყიდებოდა 13 წარმოდგენაზე. სულ ყველა წარმოდგენებზე გატარებული იქნა 25.200 მაყურებელი, რამაც თეატრს მისცა 19.548 მანეთი.

რუსთაველის თეატრში შეძენილი იყო 29 წარმოდგენა, თეატრში გაიარა 30.500 მაყურებელმა, თეატრის შემოსავალი პროფკავშირთა წევრებისაგან უდრიდა 20.378 მანეთს. მიზნობრივი წარმოდგენების გარდა მუშათა ზოლის სალარო ბილეთებს ავრცელებდა სხვა წარმოდგენებზეც.

ქუთაის - ბათომის სახ. თეატრში შეძენილი იყო 2 წარმოდგენა, თეატრში გაიარა 2500 შეკავშირებულმა მაყურებელმა, რომლებმაც თეატრს მისცეს 2.237 მანეთი.

სახელმ. ოპერაში მიზნობრივი წარმოდგენები იყო 4, სულ თეატრში გაიარა 5.200 მაყურებელმა, რომელთაგან თეატრმა მიიღო 5.557 მანეთი.

სომხურ დრამაში შეძენილი იქნა 2 წარმოდგენა, თეატრში გაიარა 2.000 შეკავშირებულმა მაყურებელმა, თეატრმა მიიღო 1.549 მანეთი.

თურქულ დრამაში შეძენილი იყო ერთი წარმოდგენის ბილეთების ნახევარი ნაწილი, თეატრში გაიარა 1.000 მაყურებელმა, რომლებმაც თეატრს მისცეს 686 მანეთი.

ცირკში მუშათა ზოლის სალაროს საშუალებით გასაღებული იქნა 4.656 ბილეთი, რამაც ცირკს მისცა 3.677 მანეთის შემოსავალი.

სხვადასხვა კონცერტებზე შეძენილი იყო 2.628 ბილეთი 2.358 მანეთის ღირებულებისა. სულ ყველა თეატრებში შეძენილი იყო 76 მიზნობრივი წარმოდგენა, რამაც თეატრს მისცა 55.993 მანეთი. ყველა თეატრებში გაიარა სულ 66.200 შეკავშირებულმა მაყურებელმა.

კომკავშირელ მუშა - ახალგაზრდობის თეატრი
(ქუთაისი)

ქუთაისში, ლენინურ კომკავშირის სამაზრო კომიტეტის ინიციატივით კომკავშირელ და უპარტიო მუშა- ახალგაზრდობის კულტურულ დონის ასამაღლებლად დაარსდა კომკავშირელ მუშა - ახალგაზრდობის თეატრი, სადაც ირიცხება 40 ახალგაზრდა მუშა ქალ-ვაჟი. თეატრის მთავარ ხელმძღვანელად და სამხატვრო ნაწილის გამგეთ მოწვეულია რეჟისორი **ივანე ბარველი**, ხოლო თანარეჟისორებათ კომკავშირელი მუშები: ამხ. **ივ. ჟორჟოლიანი, ს. იობიძე** და **ხუნდაძე.**

ცეკვის ხელმძღვანელად მოწვეულია **ლიდია შჩერბაცკაია,** მუსიკალური ნაწილის ხელმძღვანელად ქუთაისის მუსტეხნიკუმის გამგე **ილიკო აბაშიძე.**

თეატრმა სამივე დარგში მეცადინეობა უკვე დაიწყო. მზადდება დასადგმელათ ივ. ბარველის რევოლიუციონური პიესა „აფეთქება“. სეზონის გახსნა მოხდება მაისის ბოლო რიცხვებში ქუთაისის აკადემიურ თეატრში.

თეატრს ფრიად სერიოზული პერსპექტივები აქვს. საჭიროა მხოლოდ თეატრისათვის დახმარების გაწევა და ხელის შეწყობა, რათა ახლად დაწყებული მეტად მნიშვნელოვანი საქმე არ შეფერხდეს.

ივანე ბუხაიძე.

ცდები სურამის უღელტეხილზე
რა გაკეთდა დღემდე

სპეციალურმა კომისიამ, რომელიც ამჟამად სურამის უღელტეხილზე აწარმოებს ცდებს იმის გამოსაკვლევად, შესაძლებელია თუ არა უღელტეხილზე ოთხი ორთქლმავლით დიდი სიმძიმის და შემადგენლობის საქონლის მატარებლების წაყვანა, დღემდე საუღელტეხილო უბანზე —ხაშურიდან ზესტაფონამდე და უკან მოახდინა თორმეტი საცდელი მგზავრობა.

ჩატარებული იყო დაღმართზე მატარებლების სისწრაფის გადიდების ცდები (30 კილომეტრამდე საათში); ამ ცდების წარმოების დროს მატარებელი უღელტეხილზე ეშვებოდა ორი ორთქლმავლით, ავტომატიურ მუხრუჭებზე.

ეს ცდები სავსებით დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. ცდებმა ცხადჰყვეს, რომ დაღმართზე საქონლის მატარებლის სისწრაფის 30 კილომეტრამდე გადიდება სავსებით შესაძლებელია.

ამ ღონისძიების საბოლოოდ ცხოვრებაში გატარებამდე საჭიროა კიდევ რამოდენიმე დამატებითი ღონისძიებების განხორციელება.

ამასთანავე წარმოებული იყო საცდელი მგზავრობა აღმართზე მატარებლების სიმძიმის და სისწრაფის გადიდების შესაძლებლობის გამოსარკვევად.

პირველად უღელტეხილზე აჰყავდათ 400 ტონიანი შემადგენლობა, შემდეგ 800, 900 და ბოლოს 1.000 ტონიანი. ათას ტონიანი მატარებლის შემადგენლობის სიგრძე საუღელტეხილო უბნისათვის სარეკორდო აღმოჩნდა, იგი უდრიდა 555 მეტრს.

ასეთი მატარებლების წაყვანის დროს იყენებდნენ ოთხი ორთქლმავლის ძალას. (ორი — თავში, ერთი — შუაში და ერთიც — ბოლოში).

ასეთი მგზავრობის დროს ადგილი ჰქონდა შემადგენლობის გაწყვეტის შემთხვევებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უღელტეხილზე ათას ტონიანი მატარებლის აყვანა სავსებით შესაძლებელია. ამასთანავე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საჭიროა მთელ რიგ ისეთი ღონისძიებების ცხოვრებაში გატარება, რომლებიც გაადვილებენ მატარებლების წაყვანას და უზრუნველჰყოფენ მოძრაობას უშიშროებას. მთავარი ამ ღონისძიებათა შორის არის ოთხივე ორთქლმავალზე მომუშავე პერსონალის ურთიერთ - შეთანხმებული მოქმედება, ვინაიდან მათ შორის ოდნავი შეუთანხმებელი მოქმედება უეჭველად გამოიწვევს მატარებლის გაწყვეტას.

ცდები სურამის უღელტეხილზე კიდევ გაგრძელდება ათ დღეს.

ა.-კ. შრომის კომისარიატში

სპეციალისტების ხელფასის მოწესრიგება

ა.-კ. შრომის კომისარიატმა წინადადება მისცა რესპუბლიკანურ შრომის კომისარიატებს გააძლიერონ მეთვალყურეობა, რათა სახელმწიფო დაწესებულებებმა და წარმოებებმა, კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა და შერეულმა სააქციო საზოგადოებებმა სისწორით შეასრულონ იმ სპეციალისტების ხელფასის მომწესრიგებელი წესები, რომლებიც იღებენ ზემაქსიმალურ ჯამაგირს (360 მან. მეტს თვეში). ვინც დაარღვევს ამ წესებს, ადმინისტრატიულ პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული

მოჯამაგირეების დაზღვევა

ა.-კ. შრომის კომისარიატმა აუცილებლად სცნო გაძლიერებული იქნეს რესპუბლიკანურ შრომის კომისარიატების ორგანოების მეთვალყურეობა, რომ დაზღვევის ორგანოებმა ცხოვრებაში გაატარონ მოჯამაგირეების სოცდაზღვევა. სასოფლო - სამეურნეო და საუფლებო ინსპექციამ უნდა გააძლიეროს მეთვალყურეობა დაზღვევის ორგანოების მუშაობაზე. ამ მუშაობას სისტემატიური ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ა.-კ. სოცდაზღვევის მთავარ სამმართველომ. წელს ა.-კ. შრომის კომისარიატის დავალებით ადგილებზე ჩატარებული იქნება სპეციალური გამოკვლევა, რომელიც გამოარკვევს, თუ რა მდგომარეობაშია მოჯამაგირეთა დასაზღვევად წარმოებული მუშაობა.

საკურორტო სეზონი

მთავარ საკურორტო სამმართველო დიდძალ მოთხოვნილებებს იღებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან საქართველოს კურორტებზე ბინებისა და საწოლების დათმობის შესახებ. განსაკუთრებით ბევრია მოთხოვნილებები ბორჯომის და აბასთუმნის კურორტებზე. მარტო მოსკოვიდან მოსულია შეკვეთა ბორჯომში 150 და აბასთუმანში 75 ადგილზე. ბაქოდან მოსულია შეკვეთა 400 ადგილზე.

ამჟამად მთელ რიგ კურორტებზე უკვე გაქირავებულია ბინების მეტი ნაწილი. ასე, მაგალითად, აბასთუმანში გასაქირავებელი 400 ოთახიდან ამჟამად თავისუფალია მხოლოდ 150 ოთახი. ასეთივე მდგომარეობაა ბორჯომში, წაღვერში და სხ.

საკურორტო სამმართველოს წინასწარი ვარაუდით წელს საქართველოს კურორტებზე მოაგარაკეთა რიცხვი გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე წინა წლებში იყო. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კურორტების უზრუნველყოფას სურსათ-სანოვაგით, მედიკამენტებით და სხვ.

მთელ რიგ კურორტებზე მწვავეთ სდგას ექსკურსანტების უზრუნველყოფის საკითხი. მარტო კურორტ შოვში წელს ყოველდღიურათ გაივლის საშუალოთ 100—150 ექსკურსანტი. საკურორტო სამმართველო იღებს ზომებს, რომ ექსკურსანტები უზრუნველყოფილი იქნენ, როგორც ბინით, ისე სურსათ - სანოვაგით.

სესხების ობლიგაციების შენახვის წესი

ივლისიდან, როცა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე ხელის მომწერი კოლექტივები ანგარიშს გაუსწორებენ საკრედიტო დაწესებულებებს, შემოღებული იქნება ობლიგაციების შენახვის ახალი წესი.

ობლიგაციების პატრონს შეუძლია თავისი ობლიგაციები მიაბაროს ბანკს და მას მიეცემა შესაფერი მოწმობა, რომლითაც შეუძლია აწარმოოს ყოველგვარი ოპერაციები (დააგიროვოს ან გაჰყიდოს ობლიგაციები ან მათი ნაწილი) ობლიგაციების მიუღებლად ხელზე; გარდა ამისა, ბანკი მოვალეა თვალყური ადევნოს კუპონების განაღდების ვადებს, შეამოწმოს — ხვდა თუ არა ობლიგაციას მოგება, თვალყური ადევნოს ობლიგაციების გასვლას ტირაჟში და სხვ.

ამასთან ერთად, შემოღებული იქნება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ჯგუფობრივად გადაცემა შესანახად ამ შეღავათიანი წესით. თითეულ მუშა - მოსამსახურეს მიეცემა ცალკე შესანახი მოწმობა, რომლითაც მას საშუალება ექნება აწარმოოს ყოველგვარი ოპერაციები, როცა ამას მოისურვებს. თუ ობლიგაციების შემნახველი მოისურვებს თავისი ობლიგაციების გაყიდვას ან დაგირავებას და, ამისათვის უშუალოდ მიმართავს ბანკს ან საკრედიტო დაწესებულებას, მისთვის არ იქნება საჭირო ადგილკომის ან „ხელის შემწყობ კომისიის“ დასტური.

ფინსახკომს წინადადება აქვს მიცემული, რომ მშრომელთა მიერ ობლიგაციების შესანახად მიბარების კამპანია ჩატარდეს სრული ნებაყოფლობით და ძალდაუტანებლობის პირობებში.

სასამართლო

პურის გამფუჭებლები საბრალმდებლო სკამზე

თბილისის მაზრა - ქალაქის სასამართლომ გაასამართლა მუშკოოპის № 311 თორნის პასუხისმგებელი მომუშავეები **ილია იოსებისძე ომანიძე და შალვა ბაგრატისძე ტაბუცაძე.**

როგორც ვსწერდით, დასახელებულ თორნიდან შეძენილ პურში 7 აპრილს მოქ. ფირცხალაურმა აღმოაჩინა ქიმიური ფანქრის ნამტვრევები. ეს არ არის პურის დაუდევრად გამოცხობის პირველი შემთხვევა ამ თორნეში. წინად იქ შეძენილ პურში ნახეს თევზის ფხა.

სასამართლომ ბრალდებულებს მიუსაჯა ორ-ორი თვით თავისუფლების აღკვეთა.

მატლი პურში

პასუხისგებაში არის მიცემული მუშკოოპის № 292 თორნის გამგე **კონდრატი დიმიტრისძე ჭიჭინაძე.**

№ 292 თორნეში მოქ. ბუაჩიძემ 26 აპრილს, შეიძინა პური, რომელშიაც აღმოჩნდა ვეებერთელა ჰრელი მატლი. მატლიანი პურის ნაჭერი მოქ. ბუაჩიძემ წარუდგინა 1 უბნის პროკურორს.

ჭიჭინაძე დაპატიმრებულია. მას გაასამართლებს თბილისის მაზრა - ქალაქის სასამართლო. გამოძიება უკვე დამთავრებულია.

სპეკულიაცია პურით

დაპატიმრებულია მუშკოოპის № 202 თორნის გამგე **მინა თედორესძე ნაფარიძე,** რომელიც, როგორც საბრალმდებლო დასკვნა მოწმობს, სისტემატიურად სპეკულიაციას ეწეოდა მუშკოოპის პურით.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ თორნიდან ბარათებით უნდა გაყიდულიყო პური, მხოლოდ და მხოლოდ მშრომელ ელემენტებზე, ნაფარიძეს კავშირი გაუბამს მიკიტნებთან და მათ განუსაზღვრელი რაოდენობით აწვდიდა პურს აწეულ ფასებში. გირვანქა პურს მიკიტნებზე ჰყიდდა 16 კაპეიკად. ზედმეტად აღებულ ფულს ნაფარიძე ითვისებდა.

გერ.

ჭადრაკი
ვ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) **ს. კალანდაძე** (თბილისი)
(იბეჭდება პირველად)



შამათი ოთხ სვლაში

(ამოცანა) **დ. ჟღენტი** (თბილისი)
(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

პარტია № 21 (ინდიური
გათამაშებულია თბილისის მოჭადრაკეთა შეჯიბრების მე 18-ტე ტურში

თეთრები: **ნ. საროკინი** შავები **ვ. გოგლიძე**

1. d2—d4, მg8—f6 2. მg1—f3, e7—e6 3. c2—c4, b7—b6 4. g2—g3, კc8—b7 5. კf1—g2, კf8—e7 6. მb1—c3, d7—d6 7. 0—0, 0—0 8. b2—b3, მb8—d7 9. კc1—b2, c7—c5 10. ლd1—d2 (გოგლიძის და გრიგორიევის შეჯიბრების მეშვიდე პარტიაში თეთრებმა ამ მდგომარეობაში ითამაშეს ლc2, რათა შემდეგში h7 არეზე შეტევის შესაძლებლობა მისცემოდათ, რაც, რასაკვირველია, ბევრად უკეთესია) 10..., მf6—e4 11. მc3:e4, კb7:e4 12. ლd2—e3, კe4—b7 13. ეf1—d1, მd7—f6 (ამ სვლით შავები წინაამდეგობას უწევენ თეთრებს d4—d5 ითამაშონ; მაგ. 13.., h6 14. d5!e5 15. მ:e5, მ:e5 16. კ:e5, de 17. d6!, კ:d6 18. კ:b7, ლ:b7 19. ე:d6, ე:d6 20. ე:d6, ლe7 21. ლd3 და თეთრებს მოგებული მდგომარეობა აქვთ; არ ვარგა აგრეთვე შავებისთვის 17.., ე:d6 18. ე:d6, კ:d6 19. კ:b7, ეd8 22. კd5 და თეთრებს უკეთესი მდგომარეობა აქვთ) 14. მf3—e1, კb7:g2 15. მe1:g2, d6—d5 16. c4:d5, მf6:d5 (არ ივარგებდა ed 17. მf4, მe4 18. მ:d5!, ე:d5 19. ლ:e4 და თეთრები იგებენ) 17. ლe3—e4, კe7—f6 18. მg2—e3 (ამ სვლით თეთრებმა აიძულეს შავები წასულიყვნენ მდგომარეობის გამარტივებაზე, რის შემდეგ პარტია მალე დამთავრდა ყაიმით) 18..., მd5:e3 19. ლe4:e3, c5:d4 20. კb2:d4, კf6:d4 21. ეd2:d4, ეd8:d4 22. ლe3:d4, ეa8—c8 მიღებულ მდგომარეობის სიმარტივის გამო მოთამაშენი შეთანხმდენ ყაიმზე.

საროკინის და ნენაროკოვის შეჯიბრება
2-რე პარტია

მეორე პარტიაში მაესტრო ნენაროკოვმა ფრანგულ პარტიის გაცვლითი ვარიანტი აირჩია. საროკინმა დებიუტშივე დაუშვა თეორიული შეცდომა და დაკარგა ტემპი, რითაც საშუალება მისცა ნენაროკოვს ფიგურათა უკეთესი გაწყობა მიეღო და ინიციატივაც ხელთ ეგდო. ფიგურათა განწყობა ნენაროკოვმა სათანადოდ გამოიყენა და მძლავრი იერიში მიიტანა საროკინის მეფეზე. მოსალოდნელი იყო რომ საროკინი ვერ გადურჩებოდა ამ შეტევას, მაგრამ, როგორც შემდეგში გამოირკვა, კარგი დაცვით ამ საშიშროების თავიდან აცილება ადვილი იყო. ნენაროკოვს შესაძლებლობა ეძლეოდა უფრო მშვიდი თამაშით და ლაზიერების გაცვლით თამაში თავისთვის რამოდენიმედ უკეთეს ენდშპილში გადაეყვანა, მაგრამ მან ეს არ მოისურვა და პაიკის შეწირვით განაგრძო შეტევის მიტანა საროკინის მეფეზე. უკანასკნელი კარგად იცავდა თავს, — ფიგურათა გაცვლით და ხარისხის შეწირვით კუში და ორ პაიკში მან ყოველი საშიშროება თავიდან აიცილა. პარტიამ საყაიმო მდგომარეობა მიიღო. ნენაროკოვი ყაიმზე არ დასთანხმდა და განაგრძო თამაში მოგებაზე, მაგრამ საროკინი კარგად თამაშობდა შემდეგშიაც და პარტია გადაიდო საყაიმო მდგომარეობაში.

შემთხვევები

წყალსადენის მილის დაზიანება

გუშინ დილით თბილისის მახლობლად გასკდა წყალსადენის 16 დიუმიანი მაგისტრალური მილი, რის გამოც ქალაქის ზოგიერთ უბნებში წყალის მიწოდება შეფერხდა.

წყალსადენის მილის შესაკეთებლად თბილისიდან გაიგზავნა მუშების ბრიგადა. საღ. 6 საათზე მილის შეკეთება დასრულდა და ქალაქს კვლავ მიეცა საჭირო რაოდენობის წყალი.

დაჭრა

ჩეხოვის ქუჩაზე, გუშინწინ, საღამოს 5 საათზე, ერვანდე ალექსისძე არუთინოვმა დანით მძიმედ დასჭრა მუცელში გიორგი ბაგრატისძე შარმადანოვი, რომელიც მოთავსებულ იქნა 1-ლ საავადმყოფოში. ბოროტმოქმედმა მოასწრო მიმალვა; — იაგორ აბრამისძე ისაბუკიანცმა ენგელსის ქუჩაზე რევოლვერით ფეხში დასჭრა მირონ აკოფისძე სუკიასოვი. დაჭრილი გადაიგზავნა 1-ლ საავადმყოფოში.

თავის მოწამვლა

ოჯახურ უსიამოვნების ნიადაგზე ეკატერინე მიხეილის ასულ ბოძიშვილმა (მცხ. ლაზარევის ქ. № 15) მოიწამლა თავი, მაგრამ სიკვდილს გადაარჩინეს.

ქურდობა

გაქურდეს მარიამ იოსების ასულ ტივიძეს ბინა, (ბუფერის ქ. № 14); — გაქურდეს მუშკოოპის მაღაზია (პლეხანოვის პრ. № 174);—ანდრო პეტრესძე სარაჯიშვილს, რკინისგზის სადგურთან ეტლში ჩაჯდომის დროს მოპარეს 152 მანეთის ნივთები; — ჯავაირა კირიმის ასულ ბახტატინსკაიას (მცხ. ობოლაძის ქ. № 4) მისმა ნაცნობმა ქალმა, (რომლის გვარი დაზარალებულმა არ იცის) ბინიდან მოპარა რედიკული 10 მანეთით და სხვადასხვა საბუთებით; — გაქურდეს მარიამ მაჭარაშვილის ბინა, (არაგვინის ქ. № 8). და ნიკოლოზ საპისკის ბინა (ბერლინის ქ. № 7), წაღებულ ნივთების ღირებულება გამოურკვეველია.

რკინის გზეზე

ტვირთების დაგროვება

უკანასკნელ დღეებში ა.-კ. რკინისგზის ბევრ საკვანძო სადგურზე დაგროვდა დიდძალი ტვირთები, რომლებსაც თავის დროზე არ იხსნიან მეპატრონეები.

მთელი რიგი სადგურების, საწყობები გაჭედილია ტვირთებით და შეუძლებელი ხდება ახლად მიღებულ საქონლის გადმოტვირთვა.

ასეთ მდგომარეობას ადგილი აქვს თბილისშიაც, სადაც უკვე რამოდენიმე დღეა, განუტვირთავად სდგას საქ. ს. მ. უ. საბჭოს სახელზე მიღებული 20 ცისტერნა ნავთი, მაზუთი და ბენზინი და ცეკავშირის — 17 ცისტერნა ნავთი.

ავსებულია აგრეთვე ბაქოს ნავთსადგურის სავაჭრო საწყობები. ამის გამო შეუძლებელი გახდა საბჭოთა - სავაჭრო ფლოტის სახელზე მიღებული სასოფ.-სამეურნეო მანქანებით დატვირთულ ვაგონების განტვირთვა. ვინაიდან მანქანების დასაწყობი ადგილი ბაქოში აღარ იყო, ისინი გადააგზავნეს ბალაჯარაში, სადაც აგრეთვე სდგას 150 განუტვირთავი ვაგონი.

ასეთივე მდგომარეობაა ბაქოს მეორე სადგურში.

ა.-კ. რკ. გზის გამგეობა 10 მაისიდან ვადა გადაცილებულ ტვირთების შენახვაზე აწესებს ორმაგ გადასახადს

ფეხბურთი

კალენდარული შეჯიბრებები

კვირას, 12 მაისს, ლენინის სახელობის და საზ. „დინამო“-ს სტადიონებზე გაიმართება სამივე კატეგორიის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი კალენდარული შეჯიბრებები.

პირველი კატეგორიის გუნდებიდან თამაშობენ:

„დინამო“-ს სტადიონზე — მელითონეები და საბჭოთა-სავაჭრო მუშაკები; დასაწყისი 2 საათსა 30 წუთზე.

საღამოს 5 საათზე ლენინის სახელობის სტადიონზე თამაშობენ მედსანშრომის და გემო-კვების მუშაკები

ნარევი

მიწისქვეშა სარდაფი განძეულობის შესანახად

თითქმის სამი წლის მუშაობის შემდეგ პარიზში დაასრულეს აგება სპეციალური სარდაფის, სადაც შენახული იქნება საფრანგეთის მთელი ოქროს მარაგი, რომელიც 2 მილიარდ ოქროს მანეთს აღწევს.

სარდაფი მოთავსებულია მიწაში, სამოც მეტრის სიღრმეზე. სარდაფის კედლები გაკეთებულია ბეტონიდან და ფოლადიდან. მათი დიდი სისქე იცავს სარდაფს ბომბებისა და ყუმბარებისაგან, მხრჩოლავ გაზებისაგან თავდასაცავად სარდაფი ყოველი მხრიდან დახურულია. რამდენიმე გრძელი მილით სარდაფში წმინდა ჰაერი შედის გარედან. თუ ეს მილები გაფუჭდა, სარდაფში მოიპოვება რამოდენიმე დღის განმავლობაში საკმარისი ჰაერის მარაგი. სარდაფი [illegible] თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ 1.000 კაც. იქვე მოიპოვება ნახევარი წლის განმავლობაში საკმარისი სურსათ-სანოვაგე, სამზარეულო, საწოლი ოთახები და სხვ. ქუჩიდან სარდაფში მიდის რამდენიმე ჯავშნიანი გვირაბი, რომლებშიც მრავლად მოიპოვება სპეციალური მბრუნავი კარები, რომელთა გაღება არასპეციალისტს არ შეუძლია.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ანდრომახა ჟღენტს

კითხვა:

მამა ჩემი მოკლული იქნა 1917 წელში. დავრჩი მცირეწლოვანი. მამა ჩემის ქონება, რომელიც მამიჩემის სიკვდილამდე გამოყოფილი იყო ბაბუას ოჯახიდან დაიბრუნა ისევ ბაბუაჩემმა და მეც ერთხანს მასთან ვიზრდებოდი. შემდეგ ბაბუას ოჯახმა არ გამიტანა და უფროსმა ბიძამ, რომელიც მსახურობდა ჭიათურაში და ითვლებოდა ბაბუას ოჯახის განუყოფელ წევრად—წამოყვანა მასთან. როცა გავიზარდე, სრულიად უხარჯოთ და უქორწილოდ გავყევი ქმარს, რომელთანაც ვსცხოვრობდი ორი წელიწადი; ქმართან უთვისობას გამო. იძულებული გავხდი განქორწინებულვიყავი. რადგან ბიძაჩემი გარდაცვლილი იყო და მამაჩემს მიწა-მამული და დანგრეული ნადგომობა ბაბუასთან იმყოფებოდა. მე დავბრუნდი ისევ ბაბუას ოჯახში, სადაც პირველ ხანებში თანაგრძნობით მიმიღეს. მე მამაჩემის ქონება მოვითხოვე და, როგორც გამოირკვა, იგი, როგორც მოძრავი, ისე უძრავი, გაყიდული და გაფლანგულია, ამასთან მეუბნებიან: რომ „აქ შენი არაფერია, მამაშენს არაფერი დარჩენია“-ო, ისინი არ მცნობენ მამიჩემის მემკვიდრეთ, როგორც ერთხელ გათხოვილი. გთხოვთ მიპასუხოთ; აქვთ თუ არა უფლება მამიჩემის დედინაცვალს (ბაბუა გარდაცვლილია) და ბიძებს გამაგდონ ოჯახიდან. ან მაქვს თუ არა უფლება მე, მოვითხოვო მამაჩემის კუთვნილი ქონება?

პასუხი:

თქვენი შეკითხვიდან არ სჩანს, როდის გათხოვდით და რა სოციალური მდგომარეობის იყო თქვენი ქმარი. აგრეთვე შეკითხვიდან არ სჩანს, თუ როდის გაეყარეთ ქმარს და დაბრუნდით იმ ოჯახში, სადაც თქვენ ახლა სცხოვრობთ, ამიტომ არ შეიძლება მოგეცეთ გადაჭრილი პასუხი. თუ ის ოჯახი, სადაც თქვენ ეხლა ხართ, ეწევა სოფლის მეურნეობას და წარმოადგენს კომლს, აღარ შეიძლება ლაპარაკი თქვენი მამისეულ უძრავ და მოძრავ ქონებაზე. მთელი ქონება, რაც კომლის განკარგულებაშია, შეადგენს კომლის ქონებას. თუ გათხოვებამდი თქვენ ითვლებოდით ამ კომლის წევრად, ხოლო თქვენ გათხოვდით სოფლის მეურნეზე, უნდა ითქვას, რომ გამოსულხართ იმ კომლიდან, სადაც თქვენ ითვლებოდით წევრად, და გამხდარხართ ახალი კომლის წევრი. როცა თქვენ დაბრუნდით ბაბუას ოჯახში და ამ ოჯახში მიგიღეს, თქვენ ხელახლავ შეგეძლოთ გამხდარიყავით ამ ოჯახის წევრი. ამ პირობებში თქვენი გამოგდება ამ ოჯახიდან არ შეიძლება. რასაკვირველია კომლის დანარჩენ წევრებს შეუძლიათ მოითხოვონ კომლის გაყოფა. იმ შემთხვევაში თქვენ გერგებათ წილი, როგორც კომლის ერთ-ერთ წევრს. თუ კომლის დანარჩენი წევრები არ გაყრებიან, შეგიძლიათ მოითხოვოთ გამოყოფა, როგორც ერთ წევრს, გამოყოფის შესახებ უნდა მიმართოთ ადგილობრივ რაიონის სადავო-მამულო სასამართლო კოლეგიას.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარასკევს, 10 მაისს, საღ. 6 საათზე, დანიშნულია სამკურნალო ფაკულტეტის კომპარტიის ბიუროს სხდომა; (ევანგულოვის ქ. № 12). გარდა ბიუროს წევრებისა უნდა გამოცხადდეს ამხ. მერი ლეჟავა.

ს. ს. პ. ი. სამთო - ქიმიურ ფაკულტეტთან არსებული კომპარტიის და ა. ლ. კ. კ. უჯრედების ღია კრება შესდგება დღეს 10 მაისს. საღამოს 6 ნახევარ საათზე.

პარასკევს, 10 მაისს, საღამოს 6 საათზე, რკინისგზის მე-8 სკოლის შენობაში (პლეხანოვის 136), მოწვეულია გან. კავშირის უჯრედის ღია კრება. 1-ლი რაიონის სკოლის გამგეებისა და დამხმარე საბჭოს თავმჯდომარეების დასწრება აუცილებელია.

სახ .უნივ. ა. ლ. კ. კ. მე-2 უჯრედის კრება შესდგება დღეს, 10 მაისს, საღამოს, სრულ 7 ნახ. საათზე. დასწრება უჯრედის წევრ - კანდიდატებისა სავალდებულოა დაუგვიანებლად.

სახ. უნივ. ა. ლ. კ. კ. მე-2 უჯრედის ბიუროს სხდომა აქტივთან ერთად შესდგება, დღეს, 10 მაისს, საღამოს სრულ 5 საათზე. ბიუროს წევრ - კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად. აგრეთვე უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები:

1) ძინძიბაძე ივანე, 2) ამირაძე ნიკოლოზ, 3) დუმბაძე ტ., 4) კვანტალიანი კონსტანტინე. 5) პეტრიაშვილი ალექსანდრე, 6) ჩორგოლაშვილი ივლიანე, 7) წერეთელი ტელემაკ.

თ. ს. უ.-ტის ა. ლ. კ. კ.-ის ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს აგრონომიული ფაკულტეტის მე-3 და მე-4 კურსის ა. ლ. კ. კ.-ის უჯრედის წევრ - კანდიდატებს დღეს, 10 მაისს, საღამოს სრულ 6 საათზე გამოცხადდენ აგროფაკის შენობაში. თესვის კამპანიის ჩასატარებლად წასულ ამხანაგებისა და მეოთხე კურსის კომკავშირელთა დასწრება სავალდებულოა უკლებლივ.

კვირას, 12 მაისს, შუადღის 12 საათზე ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

სილოვან ზუნდაძის

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებს საზოგადოებას განსვენებულის ოჯახი. 1692 2-1

მამიდები—თეო და ალათი ქმრებით—ფრიდონ შარაშიძე და ნესტორ შაქარაშვილი იუწყებიან დაუვიწყარ

დოდო (ზ. ნა) ზაქარიას ასული ცინცაძის

უდროოდ გარდაიცვალებას. გამოსვენება დღეს 10 მაისს, (კამოს ქ. 40) ნაშუადღევის 4 ს. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (ე)

დამწუხრებულნი მეგობრები: ქეთო პაიჭაძე, ოლია გაგუა, ვერა შეროზია, თამარა ვოლკოვა, ბუცა გეგელია, თამარა ქაჭუთია, თათუშა კარტოზია, ქსენიკო ფალავა და მარუსია ქოიავა აუწყებენ ნაცნობებს ძვირფას

დოდო ცინცაძის

უდროოდ დაკარგვას. (ო)

თავზარდაცემული ძმა გრიშა, რძალი ლიზა, აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ 7 მაისს მოულოდნელად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

მათე მიხეილის ძე ლლონტი

დაკრძალვა კვირას, 12 მაისს, 3 საათზე ოზურგეთის თემში. (ე)

დამწუხრებულნი მეუღლე ოლღა, შვილები: შურა, ქეთო, ტატიანა, ნინა, თინა იუწყებიან, რომ კვირას, 12 მაისს, ქალ. ლანჩხუთში დაუვიწყარ

სერგო ფილიპეს ძე ჯიბლაძის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 1694

საქ. სახ. კინომრეწველ. ნაწარმოები 1928—29 წ. სეზონის

მალე **საბა** მალე

დადგმა რეჟისორ მიხეილ ჭიაურელის
ოპერატორი ა. პოლიკევიჩი

მთავარ როლებში:
ვერიკო ანჯაფარიძე, სანდრო ჟალიაშვილი,
ა. ჟანუაშვილი, ე. ჭავჭავაძე ჰ. ოსტროვსკ.

რუსთაველის თეატრი
2—1 ნ. 2661

შაბათს, 11 მაისს ღია წარმოდგენა საზოგადოებისათვის
„ხოჭოების დოლი“ ხოზიკას
კომედია 3 მოქ.
დადგმა: ალ. ახმეტელის ღ კ. პატარიძის, მხატვ ირ. გამრეკელი
დასაწყისი სრულ 8 ნახ. საათზე
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და მუშათა ზოლის სალაროში

ალმშენებელთა კავშირის საზაფხულო კლუბი

შაბათს, 11 მაისს, პლეხანოვის გამზირი № 65
გახსნა დიდი კონცერტი, კინო, ახალი სურათი, ბალში სამხედ. ორკესტრი და საზანდარი
დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე ბაღი ღიაა საღამოს 6 საათიდან
2—1—1699 გამგეობა

თბ. ახალი წყალსადენის სააღმშენებ. სამუშაოთა სამმართველო
ა. წ. 24 მაისს დღის 12 საათზე სამმართველოს ბინაზე
ქ. თბილისი კომინტერნის ქ. № 5

ნიშნავს შეჯიბრებას

1. წყალსადენის ბეტონის სამუშაოებზე დაახლოვებით 16 კილომეტრის მანძილზე.
2. არაგვის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე გვირაბის გამოღება-გამაგრებაზე საერთო მანძილით 2100 მეტრი.
3. ხრეშის და სილის დამზადება და ადგილზე მიტანაზე დაახლოვებით 4.000 კუბ. მეტრი ხრეში და 2.800 კუბ. მეტრი სილა.

ხელშეკრულება დაიდება დაახლოვებით 1931 წლის მაისამდე. დაწვრილებითი ცნობების მიღება, ტეხნიკური და სხ. პირობების გაგება შეიძლება სამმართველოს ტეხნიკურ განყოფილებაში, იქვე, მეორე სართულში (ეზოში) დღის 12 საათიდან—2 საათამდე ყოველდღიურად.

ყველა სახელმწიფო დაწესებულებანი, კოოპერატიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კერძო პირები და ცალკე ჯგუფები, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა შეჯიბრებაში, ვალდებულნი არიან არა უგვიანეს ა.-წ. 24 მაისის დღის 10 საათისა გამოგზავნონ სამმართველოში სათანადო საღერბო გამოსაღებების გადახდით განცხადებები დახურულ კონვერტებში ზედ წარწერით: „ზემო აღნიშნულ სამუშაოებზე შეჯიბრისათვის“.

კერძო ორგანიზაციები და კერძო პირები, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა შეჯიბრებაში, ამას გარდა ვალდებულნი არიან თავიანთ განცხადებებს დაურთონ ქვითარი იმის შესახებ, რომ მათ შეტანილი აქვთ სამმართველოს სალაროში საწინდარის სახით ხელშეკრულების ღირებულების 10% და აგრეთვე წარმოადგინონ შეჯიბრების დაწყებამდე სახელმწიფო ორგანოების სათანადო რეკომენდაციები მათ მიერ კეთილსინდისიერად შესრულებულ წარსულ სამუშაოებზე.

სამუშაოთა სამმართველო.

ნ. 2663

სახკინმრეწვის კინოთეატრები

განთიადი	მსოფლიო ფილმი **ჩანგ**
არფასტო	პატი და პატაშონი სურათში **პატი ზღვაში**
სოლეი	მხატვრული სურათი **მთვარე მარცხნით** რეჟისორი ალ. ივანოვი
აპოლო	მსოფლიო ფილმი **ახალი ბაბილონი** რეჟისორები—გ. კოზინცევი და ლ. ტრაუბერგი
მინიონი	კინო მოთხრობა **ღვიძლი ძმა** რეჟისორი გ. კროლი
პალასი	გაროლდ ლოიდი ახალ კომედიაში **შვილის შვილი**
დარბაზი	სამეცნიერო-საყოფა-ცხოვრებო ფილმი **გონორეა** (სხვისი ცოდვებისათვის)
პროლეტარი	**გრაფი მონტე-კრისტო** 5 და 6 სერია

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 495 2—5

ექ. **დ. ლ. თევზაძე**
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
პონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: საღამოს 7—8 საათ. გარდა კვირა დღეებისა.
ტელ. №25—73 25—6 1240

თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა
ექიმ **ნ. ბ. კონტოროვიჩისა**
ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა
ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება
მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—11

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი (შეშხ. „914“ გერმანული პრეპ.) ვენერიული (მწვავე და ქრონიკ. ტრიპერი) და კანის ავადმყოფობანი
მიღება: დილ. 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. საღ. 7—8 ნახ. საათ.
კამოს ქ. № 72 (ყოფ. დიდი-მთავრის ქუჩა) ქალ. მეორე საავადმყოფოს მახლობლად
1274—25—1

თმის მკურნალობა
ვ. ი. დანილევსკაიას
საექიმო კოსმეტიკა
ლადო დუმბაძის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 18 პირისახის ყოველგვარი დეფექტის რადიკალური მკურნალობა. უცხოეთის უკანასკნელი მეთოდები. პირისახის და ხელების ყოველგვარი მასაჟი, აბაზანი, ნიღაბი. ყოველგვარი ელექტრიზაცია. რადიო-მოკს. მსურველთა მიღება ნაშუადღევის 1 ნახ. დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან—8-მდე. 25—1

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი უძლურების მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღება დილით 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათ.
კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ., № 3. 25—

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს
(ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვისპროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავად. მყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ექიმი
ი. ტერ - ოვაკიმოვი
გადავიდა
სოლოლაკში
დუმბაძის ქ. № 22 (ყ. ველიამინოვის) სპეციალობა სქესობრივი ფუნქციების დარღვევა (სქესობრივი ნევრასტენია)
ფსიქოთერაპია
მიღება საღ. 6—8 საათ.
სიფილისით ავადმყოფთა მიღება დილით 11 საათიდან 1 საათამდე

„კომუნისტი“-ს
წლიური („კაპიტალი“-ს დამატებით)
ხელისმომწერლების
საყურადღებოდ

გაზეთ „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა აცხადებს, რომ ვისაც არ აქვს გადახდილი მორიგი (მაისის თვის) შემოსატანი თანხა, მათ ამ თვის 10-დან შეუწყდება გაზეთების გზავნა. 3—3

11 მაისს, დღის 12 საათზე განათლების მუშაკთა სახლში
(კალოუბნის ქ. № 3)

შესდგება
უმუშევარ განათლების მუშაკთა მუშკოოპის წევრთა საერთო კრება

შემდეგი დღის წესრიგით:
1. მოხსენება მუშკოოპის მუშაობის შესახებ.
2. მუშკოოპის წარმომადგენელთა არჩევნები.
3. სადუქნო კომისიის არჩევა.

წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ნ. 2662 ცენტრალური გამგეობა

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება:
ყურის, ცხვირის, ყელის სნეულებანი და მათი ქირურგია
მიღება 5—7 საათ. საღამოს
მისამართი: ჯუღაშვილის ქუჩა (ყოფილი რტიშჩევის) № 14
ტელეფონი 20—10

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილიბის ღ პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე
ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს)“ პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი №8. ნ. 10. 25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.
ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილით 7—8 ნახ. საღამ ქ.ლ. 5-5 კაც. 6

ქ. ქუთაისი
ექიმი
თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულება — სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით).

თანახმად სრ. საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრულ. კომიტეტისა და საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებისა № 12 1925 წ. 13 მარტის თარიღით ვაცხადებთ, რომ აბაშის თემის მცხ. ძმები პეტრე და ნოე რემას ძე ჭატუ-რიებმა თავისი გვარი გამოიცვალეს „კაჭარავებად“

სენაკის სამაზრო
1693 მმაჩის ბიურო

დავკარგე: ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მეექვსე თანრიგის შემდეგი ობლიგაციები № № 034427 სერია № 14, № № 024549 სერ. № 25 № № 034428 სერია № 14, № № 024550 სერია № 25 არჩილ იოსებისძე ბუბაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1651

დავკარგე: განქორწინების მოწმობა ზაქარია ძამაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1703

დავკარგე: ბიულეტენი № 74591 ალექსანდრე დარსაველიძეს სახელზე, ჩ. გ. 1703

დავკარგე ინვალიდობის მოწმობა მიღებული შორაპნის სამაღმასკომის სოც. უზრ-ყოფის განყ-ან № 541, სამსახურის მოწმობები მიღებული საქ. სახ. საალმშე ებლო დაწესებულებიდან, ა. კ. რკ. გზის სამმართველოს არტელიდან და რკ. გზის მე-6—7. საუბნო ნაწილიდან ქაიხოსრო (ქუჩა) ივანეს ძე დეკანოსიძის სახელზე, ჩ. გ. 1701

დავკარგე: დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 122 ვლადიმერ ადამიძეს სახელზე, ჩ. გ. 1700

დავკარგე: მატრიკული № 1824 გაცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ილია გიორგისძე ბაბუნაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1694

დავკარგე: საბჭ. და სავაჭრო მუშაკთა კავშირის წიგნაკი ზინობი ალექსანდრესძე რამიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1696

ტირაჟი—38.205
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68
მთავლიტი № 904.